# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 20 სექტემბერი 1997 №113 (478) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ტურის გამოტოვებული მატჩი
დინამო 2:0 მეტალურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 6 | 5 | 1 | 0 | 13:6 | 16 |
| დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 19:3 | 15 |
| ოდიში | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:7 | 10 |
| მერანი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| დილა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| მორკინალი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| ტორპედო | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | 9 |
| მეტალურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| სამგურალი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:14 | 5 |
| მარგვეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:16 | 4 |
| გურია | 6 | 0 | 3 | 3 | 3:11 | 3 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:19 | 3 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |
| სიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | 0 |

თბილისი
ეროვნული
19 სექტემბერი

**დინამო 2:0 მეტალურგი**

**დინამო:** ზოიძე, ჩიხრაძე, ჯელაძე, დიდავა (გელაძე 53), მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, ჩხაიძე, ალექსიძე (ხუციშვილი 65), გოგობერიშვილი (ლობჟანიძე 51), მუჯირი, გუჩუა

**მეტალურგი:** მ. ქორიძე, ფაცურია, ბექაური, კვდელაშვილი, მ. სახვაძე, ზირაქაძე (პატარიძე 65), მელაძე, გაბელაია, ნ. მინდიაშვილი (ლ. ალადაშვილი 84), დ. გოგოლაძე (მიშველიძე 78), კ. ალადაშვილი

1:0 გელაძე (56), 2:0 მუჯირი (87)

მე-17 წუთზე გოგიჩაიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი

**გაფრთხილება:** ბექაური, გოგოლაძე, ფაცურია, მუჯირი

**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)



გუშინ ეროვნულზე: „დინამო“ — „მეტალურგი“
მელაძემ (შუაში) და გაბელაიამ კი მოინდომეს,
მაგრამ დიდავას (№4) და „დინამოს“ ვერაფერი დააკლეს

მოლდოვა საქართველო

კიშინიოვი. 24 სექტემბერი

# კარასს წყალი შეუდგა

როცა იონ კარასის მოსახელთებლად მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციაში დავრეკეთ, ყურმილი თავად პრეზიდენტმა პაველ ჩებანუმ აიღო. ნახევარი საათია, ბელარუსიდან დავბრუნდი, ერთ-ერთ საერთაშორისო შეხვედრას ვკომისრობდი და ვერ გეტყვით, ნაკრების მთავარ მწვრთნელს სად დაიჭერთ, მგონი, სასტუმროში უნდა იყოს ფეხბურთელებთან ერთად, მომიცადეთ, იქაური ტელეფონის ნომერს გეტყვითო. ნომერი რომ ჩაგვაწერინა, ესეც დააყოლა, კარასი იქ თუ არ იქნება, გვიან ღამით სახლში აუცილებლად მიბრუნდება, ინტერვიუზე უარს ნამდვილად არ გეტყვითო. ბატონი ჩებანუ ისე საუბრობდა, თითქოს კარგა ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან. კარგია, ასეთ თბილ, გულისხმიერ ადამიანთან რომ გაქვს საქმე, თანაც ფედერაციის პრეზიდენტთან. ჰოდა, ამ ლაპარაკში ერთი საინტერესო რამ გვითხრა, უფრო სწორად, პასუხი გაგვცა.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მეოთხე ადგილზე დაამთავრეთ. ახლა რა მოგივიდათ? გაცილებით უარესი შედეგი გაქვთ. რას აპირებთ? მოლდოვურ ფეხბურთში რეფორმები ხომ არაა მოსალოდნელი?

— არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. რა გვჭირს, ჯერაც ვერ გამიგია. შეიძლება, გუნდმა ექვსი თამაში ჩაატაროს და ორი გოლი გაიტანოს? ინგლისელებთან ბოლო თამაშზე ნუ მკითხავთ. ყველაფერს ველოდი, ასეთ შედეგს კი არა. ქართველებთანაც თუ წავაგეთ, ჩვენთან ბევრი რამ შეიცვლება. თქვენთან მარცხს შეიძლება მთავარი მწვრთნელი იონ კარასიც შეეწიროს, სხვებზე აღარაფერს ვამბობ... ბოლო-ბოლო, რა უბედურებაა — ერთი გამარჯვება, თუნდაც ერთი ფრე, ერთი ქულის აღება არ შეიძლება? არა, აქ რაღაც უნდა ვიღონოთ და...

კიდევ ვაპირებდით რაღაც-რაღაცეების კითხვას, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ასეთ პასუხს ნამდვილად არ ველოდით. მით უმეტეს, მოლდოველთა მწვრთნელსაც თუ წყალი შეუდგებოდა. საკმაოდ გულახდილ და ენაწყლიან პრეზიდენტს აქ დავემშვიდობეთ.

მანამდე კი მოლდოვის ნაკრების შემადგენლობის დადგენაც გავახერხეთ. საოთხმაბათოდ იონ კარასი ამათ ენდობა: მეკარეები — დენის რომანენკო, სერგეი დიმასი. მცველები — სერგეი ტროენკო, ოლეგ ფისტიკანი, იონ ტესტიმიცანუ, ვიტალი კულიბაბა, სერგეი სეკუ, დენის დიგა. ნახევარმცველები — ბორის ჩებოტარი, სერგეი ნებორიანუ, სერგეი ბელოუსი, სერგეი გადამაშუკი, ოლეგ შიშკინი, ალექსანდრ კურტიანუ, დინუ კარასი. თავდამსხმელები — სერგი როგაჩოვი, სერგეი კლეშჩენკო, სერგეი კირილოვი, ვადიმ გავრილიუკი, ალექსანდრ პოპოვიჩი.

საღამოს კი იონ კარასსაც შევეხმიანეთ. მასთან ინტერვიუს მეორე გვერდზე იხილავთ.

# პირველი ტური გუშინ მორჩა

კობა ინასარიძე

მართალია, დინამოელებს გუშინდელ შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ იმდენი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, ზოგ გუნდს სამ-ოთხ თამაშშიც ეყოფოდა. მასპინძლებზე, ეტყობა, მოზირიდან მომქანცველმა მგზავრობამ იმოქმედა, მაგრამ რუსთაველთათვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. არადა, პირველ ტაიმში სტუმრებმა ღირსეული ბრძოლა გაუმართეს თბილისელებს, საკუთარ კარს თავგამოდებით იცავდნენ და შესვენებამდე მისი მშრალად შენახვაც მოახერხეს. მეორე ნახევარში კი ყიფიანმა ზედიზედ ორი შეცვლა გააკეთა, მასპინძლებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს და საკადრისადაც გაიმარჯვეს. მანამდე კი რუსთაველი მცველები პოზიციურად შეცდნენ, ამით კარგად ისარგებლა რატი ალექსიძემ, შემოტრიალებითაც სცადა კარში დარტყმა, მაგრამ ქორიძემდე გაბელაიამ ითამაშა ხელით. სილაგავამ პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. გოგიჩაიშვილს მეკარემ აჯობა, იქვე ალექსიძემ დაამატა, მაგრამ ქორიძემ მასაც აუღო. ერთი წუთის შემდეგ კი დიდავასაც აჯობა და კიდევ ერთხელ გადაარჩინა „მეტალურგი“. თუმცა, პენალტამდე ისეთი მომენტიც შეიქმნა რუსთაველთა კართან, მეკარეც უძლური იქნებოდა, რომ არა ფაცურიას თავგამოდება — კუთხურიდან ჩამოწოდებულზე ჯელაძის დართული თაური ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. სტუმრები დაბნეულად გამოიყურებოდნენ, დაცვაშიც იმდენად ზუსტად მოქმედებდნენ, რამდენადაც მეტოქე აძლევდა საამისო საშუალებას. საგოლე ვითარება შეექმნათ გოგიჩაიშვილს, გუჩუას, ალექსიძესაც, თანაც ისეთები, ერთ ზუსტ დარტყმას რომ შეეძლო ხეირის მოტანა, მაგრამ სამივემ ააცილა. რუსთაველებმა პირველად შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე დაარტყეს ზოიძისკენ: გელაძე რამდენიმე თბილისელს შორის გაძვრა და საჯარიმოს ხაზიდან დაუმიზნა კარს, მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში „დინამოს“ ნახევარდაცვა უფრო გააქტიურდა და გოლიც ვიხილეთ. ლობჟანიძემ მარცხნიდან ჩააწოდა, გაბელაიამ თავით გამოიტანა ბურთი, მაგრამ ზედ ფეხზე დაასვა თამაშში ორი წუთის ჩართულ გელაძეს, რომლის ბურთთან პირველივე შეხება შეუჩერებელი დარტყმით და ლამაზი გოლით დასრულდა.

გატანილი გოლის შემდეგ, წესით, დინამოელებს აღარ უნდა გასჭირვებოდათ. მაგრამ რუსთაველებმა ორჯერ ისე მწვავედ შეუტიეს, ეტყობა, თავადვე ვერ ირწმუნეს, ასეთი მომენტები რომ შეექმნათ და ველარ ივარგეს. ამათგან გამოსარჩევი კი გოგოლაძისა გახლდათ. გადმოვარდნილი ბურთი ზოიძეს მოულოდნელად ფეხიდან აეჭრა, თანაც კარიდან 20 მეტრის მოშორებით, გოგოლაძეც საჩუქრისკენ გაქანდა, მაგრამ, ისლა მოახერხა, ბადეს გარედან მოარტყა ბურთი. „დინამომ“ უმალ შეუტია, მუჯირს ორჯერ გაუცუდდა ხელსაყრელი მომენტი, მესამედ კი ქორიძეს ათიოდე მეტრიდან აუღებელი დაურტყა.

სამი წუთის შემდეგ შეხვედრის არბიტრმა ელგუჯა სილაგავამაც ჩასტვინა და, როგორც იქნა, პირველი ტურიც მორჩა.

**ფუჩქი**

**ფეხბურთი.** ბუნდესლიგა. VI ტური. კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი 2:4; მიუნხენი — დუისბურგი 0:1. ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური. ხიტარდი — გრააფსხაპი 1:0. ბელგიის ჩემპიონატი. VI ტური. ანდერლეხტი — მუსკრონი 1:2.

**ჩოგბურთი.** დევისის თასი. ნახევარფინალი. შვედეთი — იტალია 1:1 (ბიორკმანი — კამპორეზე 6:7, 6:3, 6:2, 3:6, 6:3; ენკვისტი — ფურლანი 6:3, 3:6, 4:6, 6:3, 3:6); აშშ — ავსტრალია 2:0 (ჩანგი — რაფტერი 6:4, 1:6, 6:3, 6:4; ხამპრასი — ფილიპუსისი 6:1, 6:2, 7:6). პირველ ჯგუფში გადასასვლელი: ზიმბაბვე — ავსტრია 1:1; ბრაზილია — ზელანდია 2:0, ინდოეთი — ჩილე 1:1; გერმანია — მექსიკა 2:0; რუსეთი — რუმინეთი 2:0; შვეიცარია — კორეა 2:0; ბელგია — საფრანგეთი 2:0.

# როცა მეტოქეც ფაშს გიკრავს

აია-ჰეი 36:18 აზოტი

„აიას“ ახალ უფროსობას ლამის ჩამოწერილი გუნდის აღორძინება დაუსახავს. სხვაზე მერე ვილაპარაკოთ და „ანტილოპამ და კომპანიამ“ რომ სერიოზულად მოკიდა საქმეს ხელი, ამას თითქოს უმნიშვნელო ფაქტიც მოწმობს: ქუთაისში რაგბის აფიშები გამოჩნდა ერთი სიახლეც — საკავშირო ჩემპიონატების შემდეგ „აიას“ „დინამოზე“ ფეხი არ დაუდგამს.

მესამე სიურპრიზი ქუთაისელთა ლაღი, ჯიგრიანი თამაში გახლდათ. მე-6 წუთისთვის მასპინძლები 10:0 იგებდნენ. უმცროსი „ანტილოპა“ (ბესიკ ხამაშურიძე) მოედნის ცენტრიდან შურდულივით გაექანა, რუსთაველთა დაცვა გაარღვია და ლამაზი ლელოც გაიტანა. ჩუბინიძემ იქვე გარდასახა, მერე კი საკმაოდ შორიდან სნაიპერივით დაარტყა საჯარიმო.

სტუმრებმა ტაიმის მიწურულს გამოიღეს ხელი, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში ანგარიში 16:13 გახადეს. მერე ისევ „აიამ“ იძალა, შერვაშიძემ და შვანგირაძემ მეტოქეს მატჩის გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. სოფრომაძის ლელოც ეფექტური იყო.

თამაშის შემდეგ რუსთაველებმა ტაში დაუკრეს მეტოქეს, ეს კი რაღაცას ნიშნავს. „აიამ“ თუ ასე გააგრძელა, საპლეიფო ოთხეულში მოხვედრას ალბათ არ დაჯერდება. თუმც ნუ აჩქარდებით. სამშაბათს ქუთაისელები ქუთაისშივე ლიდერ „ყოჩებს“ უნდა დაუდგნენ.

იუზა ძაძიტაძე

# ვაკეში რაგბი აგვიფერადდა

გუმარი 16:16 ქორები

ვაკეში ყველაფერი ძველებურად იყო. რაგბის დიდმა ქომაგმა, სტადიონის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ მორაგბეთა თვითნებობით იავარქმნილი ცალი კარი წელში გამართა და ზებრასავით შეღება. აღარც ფეხბურთის კარები ხვდებოდა თვალს მურმანის ეკალივით და მოედანიც უნაკლოდ იყო დახაზული. ერთი სიტყვით, რკინიგზამ რაგბის კავშირის დასანახად მორიგი ქველი ჟესტი გააკეთა. რამდენად შეიფერებენ ამას ოვალური ბურთის ოსტატები, მომავალი გვანახებს.

თამაში თავიდან არ ვარგოდა. მაშინაც და მერეც ორივე გუნდი შეტევაში იმდენჯერ დაჯარიმდა, რომ რაიმე სიმწყობრეზე და უწყვეტობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მიუხედავად ამისა, ორივე ლელო შესვენებამდე გავიდა: ნორჩი გუმარელი მახო ურჯუკაშვილის მიერ თავის 22-დან წამოღებული ბურთი ვეტერანმა მერაბ ბესელიამ საფუძვლიანად წაწია წინ, მერე თამაშში გიო ბუგიანიშვილი ჩაერთო, ლელო კი მაინც ურჯუკაშვილმა გაიტანა 10:3. ამისგან განსხვავებით „ქორების“ ლელო მთლიანად კახა ალანიას დამსახურება იყო: მეტოქეებს ბურთი ფეხით ზურგს უკან გადაუკიდა და მას თავადვე დაეუფლა 10:10.

ამ მომენტის წინ შერკინებისას კისრის ტრავმა მიიღო „ქორების“ კვაჭმა კობა ირემაძემ. სასწრაფო დახმარება სტადიონზე 18 წუთის შემდეგღა მოვიდა. ხუთ წუთში მეორე კონკურენტი ეკიპაჟიც მოგრიალდა. კობა მაინც პირველმა წაიყვანა. როგორც მისმა თანაგუნდელებმა აცნობეს რაგბის კავშირს, ბიჭს სერიოზული არაფერი ჭირს.

რაკი რაგბის კავშირი ვახსენეთ, მისი ერთი სიქველეც უნდა შევნიშნოთ. საფრანგეთში მოღვაწე მისი ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი მეთოდურად ასხამს ხორცს ეროვნული პირველობის აფერადების ორიგინალურ პროგრამას. კოხტად შემოსვის რიგმა ამჯერად „ქორებს“ უწიათ და მათაც „გუმართან“ პირველად მოიზომეს ახალი, ქაცვისფერ-იისფერზოლიანი კვართები.

შესვენების შემდეგ „გუმარი“ ორჯერ გაიჭრა წინ და „ქორებმაც“ ორჯერვე გააყაიმეს ანგარიში: პირველად დიდი გარჯით, მეორედ — მალევე. ეს მათივე ბრალია: 54-ე წუთიდან მოყოლებული ზედიზედ სამი, 58-ე წუთიდან კი ზედიზედ ხუთი საჯარიმო ლელოს იმედად გაათამაშეს, მაგრამ ბურთი ორივეჯერ დაკარგეს.

75-ე წუთზე დიდი ამბავი მოხდა: „გუმარმა“ ბოლომდე ჩაათამაშა ბურთი და დაკარგა. „ქორმა“ ალანიამ შარშანდელი ჩემპიონები შორს მოიტოვა, მაგრამ ურჯუკაშვილმა მაინც ბოლომდე მიდია და კვირის შეიდკაცისა არ იყოს, კვლავ ზედ ლელოსთან დაეწია ლტოლვილს და ბურთი გააგდებინა.

მსაჯმა რამაზ სანებლიძემ და გივი ჭანტურიძემ საკმაო ძალა შეალიეს მაყურებლების მოედნის კიდიდან ტრიბუნებზე გადადენას. ამის გამო თამაში გაიწელა და მაინც ფრედ დასრულდა: 35 მეტრიდან ჯერ მოდებაძემ გაიტანა საჯარიმო, მერე — კვინიხიძემ.

ზაზა ფხაძაძე

სტატისტიკა და ცხრილი იხილეთ ბოლო გვერდზე



# თქვენ მეტი შანსი გაქვთ
## ამბობს იონ კარასი

1994 წლის 7 სექტემბერი. თბილისი. საქართველოს ეროვნული ნაკრები თავის პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებს მოლდოველებთან. ჩვენები გახარებულნი არიან, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში კენჭისყრამ პირველივე მეტოქედ მოლდოველები რომ არგუნა. ყველა, მწვრთნელით დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული, იმედიანადაა განწყობილი. უეჭველად ჩვენ გავიმარჯვებთო, ამბობენ. თითქმის იგივეს იმეორებს სტუმართა მთავარი მწვრთნელი იონ კარასი. თამაშამდე ორი დღით ადრე მოლდოველები თბილისს ჩამოფრინდნენ. კარასთან პირველი, სახელდახელო ინტერვიუც მაშინ შედგა და 1994 წლის 6 სექტემბრის „სარბიელშიც" დაიბეჭდა:

**— თუ საიდუმლო არ არის, რას გეგმავთ თბილისში?**

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, რეალისტი გახლავართ და ვიცი, რომ მძიმე თამაში გველის, ძალიან მძიმე.

**— ნუთუ მთლად გადაიწურეთ იმედი?**

— ქართველები მუდამ ძლიერნი იყავით თავდასხმაში, მაგრამ თქვენი აქილევსის ქუსლი ყოველთვის დაცვა იყო. ახლა ესეც გაგიძლიერებიათ. ძნელი იქნება თქვენთან ჭიდილი. რა თქმა უნდა, ჩვენთან შეხვედრისას ფავორიტი საქართველოს ნაკრებია. მოლდოვა და ალბანეთი ჯგუფის აუტსაიდერებად მიმაჩნია. საქართველოს დიდი შანსი აქვს, ჩემპიონატზე ითამაშოს. ზეგინდელი შეხვედრის შედეგსაც აქედან გამომდინარე ვგეგმავთ... ჩვენი გამარჯვების იმედი ნაკლებად მაქვს...

როგორ დამთავრდა მაშინდელი მატჩი, ყველამ კარგად იცის. ისიც გეხსომებათ, საპასუხო შეხვედრა კიშინიოვის ნისლიან სტადიონზე რა შედეგით დასრულდა. იონ კარასი კი ერთობ დიპლომატიური, მეტად ტაქტიან კაცად მონათლეს. თუმცა, მე თუ მკითხავთ, მწვრთნელის სიტყვები უსაფუძვლო როდი იყო. მართლაც, სად იმათი, სად ჩვენი ფეხბურთი. ალბათ, ამიტომაც იყო, თბილისში მოგების შემდეგ ოცლიტრიანი ღვინის ბოცით ხელდამშვენებული მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზედ ტრაპთან რომ დახვდა კარასს და მის ბიჭებს და აეროპორტშივე გვარიანად მოალხინა. მერე რა იქნებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. გაუთავებელი ბანკეტები, სადღეგრძელოები მოლდოვური ფეხბურთის დასალოცად და...

მოკლედ, ისინი კარგ ხასიათზე იყვნენ, ჩვენ? ჩვენ ერთთავად იმას გაეიძახოდით, ეს ვისთან დავმარცხდითო. მიზეზებს ბოლო არ უჩანდა, სურვილი ყველას ერთი გვქონდა — მალე მოგვცემოდა რევანშის საშუალება. თითქოს ფიფაში ჩვენი ისმინესო, საფრანგეთისკენ სავალ გზაზე ისევ მოლდოველებს გადაგვყარეს. მეტი რაღა იყო საჭირო, ჩვენი სიძლიერე რომ დაგვემტკიცებინა? არაფერი, გარდა თამაშისა. ბათუმში რევანში შედგა, ოღონდ ნაწილობრივ. წინ კიდევ ერთი მატჩია, ამჯერად კიშინიოვში, ისევ იმ „ნისლიან სტადიონზე". დიდი შანსი გვაქვს, ოთხშაბათს ჩვენი ჯავრი ბოლომდე ვიყაროთ. მოლდოველთა მთავარი მწვრთნელი იონ კარასი კი ახლაც იგივეს ამბობს, რასაც სამი წლის წინ. საინტერესოა, ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ რით გაუმასპინძლდა იქაური ფედერაციის პრეზიდენტი თავის შეგირდებს? ალბათ, მხოლოდ კრიტიკით. იმედი გვაქვს, რომ 24-ში სალამოსაც ასე იქნება. თუმცა, იქნებ კრიტიკაც გადაჭარბებული იყოს, ისევე, როგორც ოცლიტრიანი ბოცა. კარასის არ იყოს, ეთქვათ, ქართველებთან ორი გამარჯვება ნამდვილად შემთხვევითობა გახლდათო...

მოლდოველთა მთავარ მწვრთნელს გაუშინ ტელეფონით შევეხმიანეთ. ტაქტიანი საუბარი იონ კარასს არც ადრე ეშლებოდა.

**— ბატონო იონ, გამარჯობათ, თბილისიდან „სარბიელი"...**

— აა. ძალიან სასიამოვნოა, რა ხდება თბილისში?

**— მშვიდობაა. შეიძლება, ინტერვიუ...**

— 24 მოახლოვდა, არა?

**— დიახ, მომავალ თამაშზე გკითხავთ.**

— მძიმე მატჩი გველის. ქართველებს ფსიქოლოგიური უპირატესობა გაქვთ. როგორია, იტალიელებთან ფრედ ითამაშეთ, ჩვენ კი უსახიზლრესად დავმარცხდით ინგლისში. ეგეც რომ არა, მოლდოვურ ფეხბურთს ახლა მძიმე ჟამი უდგას. ნაკრების ფეხბურთელები ისე ვერ გამოიყურებიან, როგორც უნდა იყვნენ. მათ უმეტესობას თავიანთ კლუბებში ძირითადშიც არ ათამაშებენ. ეს განსაკუთრებით „ზიმბრუზე" ითქმის, რომელსაც ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ოპტიმალური შემადგენლობის გამოძახებას ვერც ამჯერად მოვახერხებ. ცუდადაა ჩვენი საქმე, ცუდად. თანაც ჯგუფში ბოლო ადგილზე ვართ, ქართველებს კი 4 ქულა მაინც გაქვთ. იტალიელებთან თქვენი თამაშის ვიდეოფირი ჩამივარდა ხელთ. სიმართლეს გეტყვით, ნამდვილად იყავით ფრეს ღირსნი. ისეთი მონდომებით თამაშობდით, თქვენი წაგება საცოდაობა იქნებოდა. კარგად ვიცი ქართული ფეხბურთის ძალა, ბევრი ინფორმაცია მაქვს თქვენზე და ამიტომ ვამბობ, მართლაც კარგი გუნდია საქართველოს ნაკრები. ესეც უდავოა: 24-ში გამარჯვების მეტი შანსი თქვენ გაქვთ. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მასპინძელი მოლდოვაა თუ საქართველო, კლასი მაინც კლასია.

**— ადრეც ასე ამბობდით, საბოლოოდ კი გამარჯვება თქვენ გრჩებოდათ.**

— მართალს არ ვამბობდი? მე რეალურად ვმსჯელობ. ობიექტური კაცი ვარ. ჩვენი ორივე გამარჯვება შემთხვევითობა იყო, ეს ბათუმის მატჩმაც გამოავლინა. ქართველები უფრო ძლიერები ხართ და ეს თქვენც მშვენივრად იცით. მერწმუნეთ, გადაჭარბებული ნათქვამი არ არის. თუმცა, ისე არ გამიგოთ, თითქოს ყველაფერს წინასწარ ვიყო შეგუებული. როგორც შეგვიძლია, ისე დაგხვდებით, უბრძოლველად არ დაგნებდებით.

**— ცუდადაა ჩვენი საქმეო, თქვით. კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ცუდადაა, აბა, სხვა რა ვთქვა. ექვს თამაშში სულ 2 გოლი გავიტანეთ, 17 გავუშვით, არც ერთი ქულა არ გვაქვს. ძალიან სუსტად გამოიყურება დაცვის ხაზი. ყველა მატჩში გოლს ვუშვებთ. რა ვქნა, აღარ ვიცი. მესმის, რომ ჯგუფი, სადაც ჩვენ მოვხვდით, ყველაზე ძლიერია. დამეთანხმებით, ინგლისთან, იტალიასთან, საქართველოსთან ერთად თამაშს გაცილებით აჯობებდა სხვა გუნდებთან მეტოქეობა. ამ ჯგუფში ჩვენ აშკარა აუტსაიდერები ვართ. თანაც, კარგად იცით, როგორი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული ახლანდელი ნაკრები. სამწუხაროდ, მეტის საშუალება არ გვაქვს, უკეთესი ფეხბურთელები მოლდოვაში არც არიან. ყველა საუკეთესო მყავს მოწვეული, მაგრამ მაინც არაფერი გამოგვდის. აი, ქართველებისნაირი არჩევანი რომ მქონდეს და ჯგუფშიც სხვა გუნდებთან მოვხვედრილიყავით, მაშინ საწუწუნოც არაფერი მექნებოდა. შედეგი, ნაწილობრივ, მოლდოვის ჩემპიონატის ხარისხის პროპორციულია. ჩვენისთანა ჩემპიონატის მქონე ქვეყანას ბევრიც არაფერი მოეთხოვება.

**— შემადგენლობაში რაიმე ცვლილებები არაა მოსალოდნელი?**

— ინგლისელებთან ისე ცუდად ვითამაშეთ, აუცილებელიც იყო შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები. თუმცა, მნიშვნელოვანი და საყურადღებო არაფერი. რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი მოვიწვიე — ჩემი ვაჟი დინუ კარასი, სერგეი კირილოვი, სერგეი ბელოუსი და ვასილი ცხვირილიუკი. [illegible] გლისთან რომ ემზადებოდნენ.

**— ინგლისში კლემენკოს არ უთამაშია...**

— ორი გაფრთხილება ჰქონდა. თქვენებთან აუცილებლად ვათამაშებ.

**— ქართველები კიშინიოვში სარევანშოდ მოდიან. თქვენ რას ფიქრობთ?**

— გამარჯვების მართლაც მცირე იმედი მაქვს. ძალიან გამიხარდება, ფრეს თუ მივაღწევთ და მთლად უქულოდ არ დავამთავრებთ შესარჩევ ჯგუფში თამაშებს. ეს მატჩი თქვენთვის მნიშვნელოვანია, გამარჯვების შემთხვევაში მესამე ადგილზე გასვლის შანსი გაქვთ, მერე ხომ პოლონელებს მასპინძლობთ. მესმის, როგორი განწყობითაც ჩამოხვალთ. ადრე საქმე სხვაგვარად იყო. კიშინიოვის თამაში არაფერს წყვეტდა, ისედაც გარანტირებული გქონდათ მესამე ადგილი. ამიტომაც შესაძლებლობების მინიმუმი გამოავლინეს.

**— თქვენი აზრით, მაშინდელი საქართველოს ნაკრები უფრო ძლიერი იყო თუ ახლანდელი?**

— იცით, მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შედარებაც არ შეიძლება. ახლა ხომ სულ 4 ქულა გაქვთ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინა ციკლში გაცილებით სუსტი გუნდები მონაწილეობდნენ, თანაც ექვსნი ვიყავით. ერთი გერმანიასთან უჭირდა ყველა დანარჩენს თამაში. ისე, მგონია, 94-95 წლების ნაკრები უკეთესი იყო, მაგრამ არც ეს ჩამოუვარდება დიდად. დრო გავიდა, ქინქლაძემ, ქეცბაიამ, არველაძეებმა და საერთოდ, ყველა ფეხბურთელმა მნიშვნელოვნად მოუმატა. პრესტიჟულ ევროპულ კლუბებში თამაშობენ.

ვარჯიშიდან ახალდაბრუნებული მოლდოვის ნაკრების მწვრთნელი მეტად აღარ შეგვიწუხებია. თანაც უკვე საკმაოდ გვიანი იყო...

**კობა ინასარიძე**

# ყრილობა არ შედგება

ამ „ბოევიკების" ხანაში, დავიჯერო, ერთი ფილმი არ გინახავთ? გინდა-არ გინდა, ნანახი გექნებათ.

როგორც ფეხბურთის მოყვარულები, ორი უცხო გუნდის თამაშს არ გადაყრიხართ? გამორიცხულია.

ჰოდა, ახლა ვთქვათ — ორივე რომ სულერთი იყო, მაინც, თქვენდაუნებურად, ერთ-ერთი მოპაექრის, უფრო მოხერხებულის მხარე არ დაგიჭერიათ? მეეჭვება. არადა, ისეცაა, არც ერთ პოზიციას რომ არ იზიარებ და ეს მესამე პოზიციაა.

ხუთშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ. ჰოდა, აქ ეს შესავალი რა მოსატანი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — პრესკონფერენციას ორიოდ კვირით ადრე მიღებული სპორტის დეპარტამენტის დადგენილება უძღოდა. დადგენილებას, ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობას რომ შეეხებოდა, სარბიელისეული შეფასება მოჰყვა. ჩვენდა გასაკვირად, ზოგმა ეს შეფასება ფედერაციისადმი „უკლონიზმში" ჩამოგვართვა და ახლა, წესით, უნდა ვაბათილებდეთ ჩვენს „პროფედერაციულ" განწყობას, მაგრამ...

ჩვენ არც ფედერაციას ვემხრობით და არც დეპარტამენტს. უნაკლოდ რომ მუშაობდნენ, ვერც მაშინ მივემხრობოდით — ასეთია ჩვენი პროფესია. ამათ დავაში ჩვენ ფეხბურთის მხარესა ვართ. მასზე შეგვტკივა გული, რაც ორივეს მეტწილად ავიწყდება. აბა, ამის შემდეგ რომლის კმაყოფილი უნდა იყო, რომლის მოკავშირე? ბუნებრივია, არცერთის, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ოდნავი სიმპათიაც არ დაუმსახურებიათ. დეპარტამენტის დაუდევარ განცხადებაზე ადრე მოგახსენეთ, ახლა კი იმაზეც ვთქვათ, რა პასუხი გასცა მას კვინიკაძის პირით ფედერაციამ.

დავით კვინიკაძე ხუთშაბათს ჩვეულად მშვიდი და უჩვეულოდ მობილიზებული დაგვიხვდა. მას თანვე ჰქონდა ლამის ყველა საბუთი დეპარტამენტის ბრალდებათა გასაბათილებლად. და თუ ეს საბუთები ბოლომდე არ გამოიყენა, ეს პრესის პასიურობას უნდა დავაბრალოთ. უფრო სწორად, ეს არა იმდენად პასიურობა გახლდათ, რამდენადაც სიტუაციის არგამწვავების სურვილი და კიდევ უჩინარი აღთქმა — თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ყოველი კითხვა-პასუხი ფედერაციის წისქვილს დაასხამდა წყალს, რაკი იგი დეპარტამენტთან მართლაც მართალია.

ჩვენი რესპოდენტის სიმშვიდე იმანაც განაპირობა, რომ მოწინააღმდეგე ბოლომდე შესწავლილი ჰყავს, საკუთარ უფლებებსაც მეტოქეზე უკეთ იცნობს და თავდაცვის ხერხების საძიებლად არც დრო დაუკარგავს და არც გონება დაუძაბავს.

— უეფას მიერ ვითომდა „ცხუმისთვის" გადმორიცხულ ფულზე ლაპარაკი, ჩვენს წინააღმდეგ დევნილთა ამხედრების მცდელობაა.

— „ბათუმის" საქმე კლუბის დანაშაულია, ამაში ბრალი „კოლხეთსაც" მიუძღვის.

— დეპარტამენტს ჩვენს დასახმარებლად 103 ათასი არ გადმოურიცხავს და არც ხელშეკრულების მისეული ვარიანტი შემოუთავაზებია.

— ყველაფერი გავაკეთეთ, რომ „დინამოს" წლევანდელ ჩემპიონატში ეთამაშა, „მრეტების" ვალი მას დაქვეითებით ემუქრებოდა.

და მთავარი:

— ყრილობა არ ჩატარდება!

მეტიც:

— დეპარტამენტის კოლეგია ოფიციალური სხდომაა, ჩვენ ვიყავით ოფიციალურად მიწვეული. ჩვენ რომ მიგვეღო მონაწილეობა, სწორედ ეს იქნებოდა საქართველოს კანონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ და ჩვენი ფედერაციის წესდების უხეში დარღვევა. ესე იგი, ჩვენ მართლაც ვერ ვფლობთ სიტუაციას და პირველივე დაძახებაზე მივდივართ და ვიღებთ მონაწილეობას სხვა, ამ შემთხვევაში დეპარტამენტის კოლეგიის მუშაობაში".

ამ განცხადებათა სარჩული ფიფადან და უეფადან მოსული მხარდამჭერი წერილებია, რომელთაც აქვე ხედავთ. ესენივე ფედერაციას საპასუხო სარჩელის შესატანად აქეზებენ. ვნახოთ, რას იზამს დეპარტამენტი. მანამდე კი ამის თქმა შეიძლება: ორივე მოდავე ჩვენთვის ერთ სიბრტყეში განიხილება. როგორც ხედავთ, დეპარტამენტის განცხადებამ ისედაც ფიფა-უეფასგან ხელშეუხებლობით აღჭურვილ ფედერაციას კოზირები შემატა. ამიტომაც ვიდრე რამეს წამოვისროდეთ, სათქმელს კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ. სხვაგვარად, დეპარტამენტის მიერ წაყენებული ბრალდებები ისეთივე პატარა ბავშის ჭირვეულობაა, როგორიც ფედერაციის ხბოს აღფრთოვანება. რამდენიმე უმოტივაციო მატჩის მოგებაზე დაყრდნობით იმის თქმა, ქართული ფეხბურთი არ კვდებაო, დემაგოგიაა. უფედერაციოდაც და უდეპარტამენტოდაც ქართული ფეხბურთი ყოველთვის მონახავს თავში იმდენ ძალას, რომ არ მოკვდეს. მას ერთი რამ ემუქრება — სპორტის მამათა დაუოკებლობის შემთხვევაში ფიფა-უეფას სანქცია. აი, რა წაშლის ქართულ ფეხბურთს მსოფლიო საფეხბურთო რუკიდან. გვსურს ეს? რა თქმა უნდა არა. მაგრამ ჩვენ არც უკვდავი, მაგრამ უძალო ფეხბურთი გვსურს. ჩვენ გამარჯვებათა ხილვა გვწადია, მანამდე კი იმ მონდომების დანახვა, რომელსაც ფედერაცია და დეპარტამენტიც წარმატებათა მისაღწევად გამოიჩენს.

რა დაგვრჩენია? საქმიანი ლოდინი.

უნდა ველოდოთ, როდის მოისურვებს ფედერაცია ცივილიზებული ფორმით მუშაობას, თორემ პირისმლა რომ ლამის მისი მოგონილია, ამაში გუშინწინაც დავგარწმუნა: საჯაროდ გაიოცეს — ფედერაციის წესდების გაცნობა მოითხოვეთ და დაგიკავეთო? მოთხოვნისთანავე კი მოგვიგდეს — აქვე გაეცანით გამოქვეყნებაზე კი ბოდიში მოიხადეთო. მიღებული წესია, ნებისმიერი კანონი ძალაში მისი გამოქვეყნებიდან შედის. ფეხბურთის ფედერაციის ძირითადი კანონი, კონსტიტუცია, მისი წესდებაა. ჰოდა თუკი შესწორებებით ერთხელაც არ გამოუქვეყნებია პრესაში, როგორ მოქმედებს, გაუგებარია.

**ვახტანგ ბზიძაძე**

P.S. უეფასა და ფიფას მიერ გამოგზავნილი წერილების ფედერაციაში ქართულად თარგმნილ ასლებს ყოველგვარი სტილისტური ჩარევის გარეშე გთავაზობთ. ისე, თუ იქიდან მიღებულ ყველა საბუთს ასეთივე წარმატებით აქართულებენ ჩვენს ფედერაციაში, გასაკვირი აღარაა, რომ ვერავის გაუგია, კომისარმა უნდა გააფრთხილოს კლუბი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის თამაშზე თუ ფედერაციამ.

## წერილი ფიფადან

*სფფ-ს პრეზიდენტს*
*ბატონ ხოდარ ახალკაცს*
*ციურიხი. 11 სექტემბერი. 1997 წელი*

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში თქვენი ქვეყნის სპორტის დეპარტამენტი ცდილობს ჩაერიოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში.

ამასთან დაკავშირებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ასეთი ქმედება გახლავთ ფიფას წესდების დარღვევა. ეს ნიშნავს, თუ ადგილობრივი ხელისუფლება თავს ნებას მისცემს შემდგომშიც ჩაერიოს სფფ-ს საქმიანობაში, ჩვენ მეტი არა დაგვრჩენია რა, საქმე გადავცეთ ფიფას აღმასკომს, რომელსაც მოყვება ფიფას მხრიდან უმკაცრესი სანქციები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. აშკარაა, ასეთი ზომები უაღრესად არასასურველია თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისათვის.

ჩვენ გთხოვთ თქვენ ამ წერილის ასლები გადასცეთ ადგილობრივი ხელისუფლების კომპენტენტურ ორგანოებს და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდგომი სიტუაციის შესახებ.

მადლობას გიხდით ზემოხსენებული წერილის ცნობად მიღებისათვის და ვრჩებით თქვენდამი მეგობრული განწყობილებით.

*გენერალური მდივნის მაგივრად ერვინ რ. შმიდი*
*დირექტორი*

## წერილი უეფადან

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენი ფაქსის კვალდაკვალ, რომელიც გამოგზავნილია 1997 წლის 4 სექტემბერს ბატონ ეპლეს სახელზე, აგრეთვე, ამ უკანასკნელის სატელეფონო საუბრის შემდეგ დ. პეტრიაშვილთან გუშინ, გიგზავნით წერილის ასლს დღეს ფოსტით ბატონო ნ. ლეკიშვილთან.

რადგან ჩვენ არ გვაქვს მისი ფაქსი და აგრეთვე დსთ-ს ქვეყნებთან შეფერხებებია კორესპონდენციების დროულად ადგილზე მისვლისა, თქვენ გთხოვთ წერილის ასლი წინასწარ გადასცემთ მის აღმატებულესობას ბატონ ნ. ლეკიშვილს და დაიტოვოთ ერთი ასლი თქვენთან ფაილებში.

ვიმედოვნებთ, რომ დაგვეხმარებით თქვენ და გთხოვთ გვაცნობოთ მოვლენათა განვითარების ამ საკითხთან დაკავშირებით.

თქვენო აღმატებულებავ.

უეფას ყურადღება მიპყრობილი იქნა იმ მდგომარეობაზე, რომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოითხოვა საგანგებო ყრილობის მოწვევა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის.

ამასთან დაკავშირებით, გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტზე, რომ ამგვარი მოთხოვნა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს მცდელობას, რათა ის ჩაერიოს ნაციონალური ასოციაციის საქმიანობაში, რაც ფიფა-უეფას წესდების დარღვევაა, ასეთი დარღვევის შედეგად უეფა შეიძლება იძულებული გახდეს შეაჩეროს სფფ-ის აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს წევრობის სტატუსი, რაც უარყოფითად იმოქმედებს საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას, ზემოხსენებულის შემდგომ შეფასებაში, გულითადად ვიმედოვნებთ სიტუაციის დადებითად განვითარებას, სრულ მზადყოფნაში ვართ იმისათვის რომ საქმის კურსში ვიყოთ ამ საკითხებთან დაკავშირებით.

*გენერალური მდივანი გეჰარდ აიგნერი*

# ჩელსი vs არსენალი



რუუდ გულიტი

არცერთი სხვა მატჩი ისე არ ასახავს ინგლისის ფეხბურთში მომხდარ ბოლოდროინდელ ცვლილებებს, როგორც კვირის ლონდონური დერბი „არსენალსა“ და „ჩელსის“ შორის. ორივე გუნდის მწვრთნელები — ფრანგი არსენ ვენგერი და ჰოლანდიელი რუუდ გულიტი ცდილობენ, ინგლისის საფეხბურთო ისტორიაში დაიმკვიდრონ ადგილი — გახდნენ პირველი უცხოელები, ვინაც ჩემპიონატის მოგება შეძლო. საამისოდ ორივე ერთი გზა აქვს არჩეული.

„ჩელსიში“ ამინდს ქმნის 13 გადამთიელი, რომლებიც გუნდში ოდენობით ინგლისელებსაც კი ჭარბობენ. ამათში სამი იტალიელი — ძოლა, ვიალი და დი მატეო ყოჩობს. როდესაც გულიტი უცხოელთა სიმრავლის გამო გააკრიტიკეს, ჰოლანდიელმა უპასუხა, მერე რა, ახლა ყველანი ევროპელები ვართო.

მსგავს საკლუბო პოლიტიკას ახორციელებს ვენგერიც. მან უკვე 10 უცხოელი შეიძინა — ხუთი ფრანგი, თითოც — ჰოლანდიელი, ავსტრიელი, გერმანელი, პორტუგალიელი და ლიბერიელი.

„მოთამაშის ეროვნებას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. როდესაც იგი „არსენალის“ მაისურს ატარებს, იგი არსენალელია და არა ფრანგი ან ჰოლანდიელი“ — ამბობს მეთოფეთა თავკაცი.

ორივე მწვრთნელის მიერ ალებული გეზი ჯერჯერობით ამართლებს. „ჩელსიმ“ შარშან ინგლისის თასი მოიპოვა, წლევანდელი ჩემპიონატის საწყის ექვს მატჩში კი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. „არსენალი“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარ კონკურენტად ითვლება და წლეულს წაგება ჯერაც არ უწვნევია.

ასეა თუ ისე, კვირის მატჩი ნამდვილად განსხვავებული იქნება „ჩელსის“ „სტემფორდ ბრიჯის“ სტადიონზე აპრილში გამართული შეხვედრისაგან, რომელშიც „არსენალმა“ 3:0 გაიმარჯვა. მაშინ „ჩელსის“ ჩემპიონატის მოგების ყველა შანსი დაკარგული ჰქონდა და მთელი ყურადღება „უიმბლდონთან“ თასის ნახევარფინალურ მატჩზე ჰქონდა გადატანილი, ამიტომაც მეთოფეებს თავი არ შეაკლეს. სამაგიეროდ, ნახევარფინალში სულ სხვანაირად ითამაშეს და „უიმბლდონს“ 3:0 აგემეს. წელს მასპინძელთა მთავარი მიზანი ჩემპიონობაა და გულიტიც ძალზე კმაყოფილია თავისი გუნდის თამაშით. მიაჩნია, რომ თასის მოგებამ მისი ფეხბურთელები ერთობ შეაგულიანა. „ადვილად შესამჩნევია, რომ მათ საკუთარი ძალების რწმენა საგრძნობლად მოემატათ. კლუბს დიდი ხნის განმავლობაში არაფერი მოეგო, ამ ტიტულმა კი ყველაფერი შეცვალა. ახლა მათ სწამთ, რომ შეუძლიათ დიდი გამარჯვების მოპოვება, მათ შორის, ჩემპიონობისაც.“

ბოლო მატჩი „ჩელსიმ“ თასების თასზე გამართა ბრატისლავის „სლოვანთან“ და დამაჯერებლად გაიმარჯვა 2:0. ლონდონელებმა ხუთშაბათს სამივე წინა მატჩში დასვენებული იტალიელი ითამაშებს, ახლა კი „არსენალთან“ თავდამსხმელთა როგორ დუეტს ან ტრიოს გამოიყვანს გულიტი, მის გარდა, ალბათ, არავის მოეხსენება. ერთი კი ცხადია,



არსენ ვენგერი

რომ „არსენალი“ ბრატისლავაზე გაცილებით ძლიერი მეტოქეა.

ისევე, როგორც თასის მოგებამ გაალაღა „ჩელსი“, ხუთმა გოლმა და ფეხბურთის ასოციაციის მიერ საქმის განხილვამ მთლად გადარია ან რაიტი. გიჟმაჟმა თავდამსხმელმა ათი დღის წინ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში დუბლი გააკეთა, გასულ უიკენდზე კი — ჰეთ-თრიქი, რითაც „არსენალის“ ყველა დროის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გახდა. ხუთშაბათს რაიტი „ლესტერთან“ შეხვედრისას მომხდარ ინციდენტშიც გაამართლეს. მოკლედ, საქმე კარგად მიუდის და ყველა პირობა აქვს შექმნილი საიმისოდ, რომ უკეთ ითამაშოს, ვიდრე უეფას თასზე სალონიკის პაოკთან წაგებულ მატჩში.

„ჩელსისთან“ რაიტს გვერდში ამოუდგება შესანიშნავ ფორმაში მყოფი ჰოლანდიელი დენის ბერხკამპიც, რომელმაც საბერძნეთის მატჩი ფრენის შიშის გამო გამოტოვა. მეთოფეთა ერთადერთი დანაკლისი კი მარტინ კიოუნი იქნება, რომელიც კვლავ ტრავმირებულია.



ინგლისის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გარი ლინეკერმა საზოგადოების ყურადღება კვლავ მიიპყრო მას შემდეგ, რაც ჯგუფ SPICE GIRLS-თან ერთად ფულის იოლად შოვნის შესანიშნავი საშუალება გამონახა: გარიმ და SPICE GIRLS -ის ლამაზმანებმა „ვოლკერის“ ფირმის ჩიპსების ღირსებათა ქება-დიდება გადაწყვიტეს.


სარეკლამო სააგენტო
**კოკი და კომპანია**
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
**25% ფასდაკლებით!!!**
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56


FRANCE 98

შესარჩევი ტურნირი

**აზია**

საამიროები 0:0 იაპონია

ირანი 1:1 საუდის არაბეთი

0:1 ალ სვაიედი (35), 1:1 ბაგჰერი (63)

ყატარი 0:2 ქუვეითი

**17 წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი**

გერმანია 0:4 ბრაზილია

განა 2:1 ესპანეთი

**სამხრეთი აფრიკა** ინგლისის ნაკრებს ამხანაგური თამაშის გასამართად თავისთან ეპატიჟება. იქაური ფეხბურთის ასოციაციის გეგმით, ეს მატჩი გაისად მაისში, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაიმართება. თამაში პრეზიდენტ ნელსონ მანდელას საპატივსაცემოდ მოეწყობა, მისი თანამდებობაზე არჩევის ოთხი წლის თავზე. წინა წლებში მანდელას წინაშე ქედი არგენტინამ, ბრაზილიამ და ჰოლანდიამ მოიხარეს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ მიპატიჟება მიღებული აქვთ, მაგრამ პასუხი ჯერ არ იციან და არც ეცოდინებათ, სანამ არ გაარკვევენ, მიდიან თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე. საამისოდ, მოგეხსენებათ, ინგლისს 11 ოქტომბერს რომში იტალიასთან ფრეც ჰყოფნით.

**გაწელი** ტონი იებოას „ლიდსიდან“ „ჰამბურგში“ გადასვლა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მიზეზი ძველი ვალები ყოფილა — იებოას გერმანიის საგადასახადო ორგანოებისა ერთი მილიონი მარკა (551 ათასი დოლარი) მართებს. ეს ფული მისი ფრანკფურტის „აინტრახტთან“ კონტრაქტის დროინდელია. მისმა მენეჯერმა იოახიმ ლიუკელმა უარყო ხმები იმის შესახებ, იებოა შაბათს განაში გაფრინდება, თუ „ჰამბურგთან“ შეთანხმებას ვერ მიაღწიათ. მენეჯერის თქმით, ის და ფეხბურთელი ფრანკფურტში ჩასვლასა და საგადასახადო პრობლემის რაც შეიძლება მალე მოგვარებას აპირებენ.

**იტალიის** ყოფილი საფეხბურთო გრანდის „ტორინოს“ წარმომადგენლებმა ოთხშაბათს განაცხადეს, რომ ისინი დაინტერესებულნი არ ყოფილან „ჩელსისგან“ ვიალის ყიდვით. „ჩვენ აღფრთოვანებული კი ვართ ვიალით, მაგრამ სულაც არ ვაპირებთ მის „ტორინოში“ გადმოყვანას და ეს არასოდეს ყოფილა ჩვენი მიზანი“ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა მასიმო ვიდულინმა. იტალიური პრესა ბევრს წერდა ვიალის ტურინში შესაძლო დაბრუნების თაობაზე მისი 1996-97 წლების უიღბლო ჩელსური სეზონის შემდეგ — იმხანად ვიალი საკმაო ხანს იჯდა სათადარიგოთა სკამზე.

**ფრანგთა** ნაკრებისა და პსჟ-ს მეკარე ბერნარ ლამა შოტლანდიის ჩემპიონ გლაზგოს „რეინჯერსში“ გადადის. სქოთებმა ლამას გლაზგოში გადასვლა სეზონის ბოლოსღა შესთავაზეს, რადგან მანამდე მას მადრიდის „რეალში“ გადასვლა უნდოდა. ლამამ ბოლო სეზონი მტკივანი მუხლის მკურნალობით და მარტო ვარჯიშით ჩაამთავრა. პარიზელებთან მის კონტრაქტს ერთი წლის მერე გასდის ვადა, ხუთშაბათს იგი ისევ გუნდთან ერთად სავარჯიშოდ იბმეს, მაგრამ კლუბის უფროსობის განცხადებით, მათ ლამასთვის სიკეთე სურთ და მასში გადასახდელი თანხის — მილიონ 300 000 დოლარის შემცირებაზეც ყაბულს იქნებიან, ოღონდ მას სწრაფი ტრანსფერი გაუხერხდეს.

**ინგლისის** ნაკრებისა და „ნიუკასლის“ თავდამსხმელს ალან შირერს პარასკევს ტრავმირებულ მარჯვენა ფეხზე სახვევები ახსნეს. ექიმების თქმით, მისი გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის. შირერი, რომელიც „ევერტონთან“ სეზონისწინა საწვრთნელ მატჩში დაშავდა, ალბათ 1998 წლის დასაწყისამდე ვერ ითამაშებს, მაგრამ იმედოვნებს, რომ საკმარისად კარგ ფორმაში იქნება მაშინ, როცა ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოუწევს თამაში.

**ესპანურმა** „ვალენსიამ“ „ფიორენტინას“ ყოფილი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ჩაიყენა სათავეში. კონტრაქტი ორწლიანია. რანიერი, რომელსაც კლუბს დღეს წარუდგენენ, შეცვლის არგენტინელ ხორხე ვალდანოს. ვალდანო ესპანური სეზონის პირველი სამი მატჩის წაგებისთვის დაითხოვეს.

**გერმანიის** ჩემპიონატის მატჩს კიოლნში მიუნხენის „ბაიერნი“ ნაკრების ნახევარმცველ მარიო ბასლერის გარეშე ჩაატარებს — მიზეზი ფეხის ტრავმაა.

**ბულგარეთის** საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ივან სლავკოვი, ბულგარეთის კომუნისტი დიქტატორის ტოდორ ჟივკოვის სიძე. ბულგარულ ფეხბურთს სლავკოვი 1995 წლიდან თავკაცობს. ამავე დროს იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია.

## ფეხბურთის რუკასთან

**აშშ-ში** გამგზავრების გამო ჟან-პიერ პაპენმა შესაძლოა გამოტოვოს უეფას თასის პირველი წრის საპასუხო მატჩი ინგლისის „ასტონ ვილასთან“. „ბორდოს“ თავდამსხმელი კლუბის ხელშეწყობით პერიოდულად მიემგზავრება ხოლმე ამერიკაში თავისი ინვალიდი ქალიშვილის სამკურნალოდ. მკურნალობის მორიგი ციკლი ბირმინგემის მატჩს ემთხვევა, თუმცა „ბორდოს“ კაპიტანი ვარაუდობს, რომ ექიმები ამერიკაში მოგვიანებით ჩასვლის ნებას დართავენ და „ვილა პარკზე“ თამაშსაც შეძლებს.

**შოტლანდიის** ჩემპიონ „რეინჯერსთან“ დაკავშირებულმა ბრიტანეთის საინვესტიციო კომპანიამ განაცხადა, რომ აგრძელებს საქმიანობას ხელშეკრულებაზე, რომელიც ბერძნული საფეხბურთო კლუბის აეკ-ის აქციათა საკონტროლო პაკეტს შეეხება. ამ კომპანიის ბერძენი წარმომადგენლის თქმით, მათ ურთიერთობა ჰქონდათ მიქალას ტროხანასთან, რომლის კომპანიაც აეკ-ის აქციების 79%-ს აკონტროლებს. თავად ტროჰანასმა უკვე განაცხადა, რომ საბოლოო შეთანხმება მიღწეულია. აეკ-ის პრეზიდენტმა ალექსის კოჟიასმა კი თქვა, ჯერ მხოლოდ წინასწარი, მაგრამ აუცილებელი შეთანხმებაა ხელმოწერილი. აეკ-ის წარმომადგენლების თქმით, კონტრაქტი 9 მილიონამდე დოლარი ეღირება, საბოლოო დეტალები კი მალე გამოქვეყნდება. ივლისში ბრიტანელებმა იტალიის თასის მფლობელი „ვიჩენცას“ აქციების 30%-ის შეძენა მოახერხეს. მათი კამპანიის ერთ-ერთი მფლობელია მილიონერი ჯო ლუისი, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე ცხოვრობს და წელს „რეინჯერსის“ აქციების 25% იყიდა.

**გერმანიის** ნაკრების კარს მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში ალბანეთის წინააღმდეგ მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი დაიცავს — განაცხადა ბერტი ფოგტსმა. ეს მატჩი ჰანოვერში 11 ოქტომბერს გაიმართება. 28 წლის მეკარემ ნაკრებში ექვსჯერ ითამაშა, ფოგტსის გუნდში კი მუდამ მეორე იყო ანდრეას კეპკეს შემდეგ.

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა“ და „ფეიენოორდმა“ გადაწყვიტეს, აუკრძალონ თავიანთ გულშემატკივრებს მათ შორის შეხვედრაზე დასწრება — განაცხადა პარასკევს „აიაქსის“ წარმომადგენელმა. ამ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება გამოწვეულია ამ ორი კლუბის ფანებს შორის ურთიერთობის დაძაბვით, რომლის კულმინაცია მარტში „აიაქსის“ ქომაგის მკვლელობა იყო. „აიაქსმა“ „ფეიენოორდს“ 26 ოქტომბერს უნდა უმასპინძლოს, როტერდამს კი აპრილში ეწვევა. სტუმრად თამაშის ხილვის მსურველ გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ უყურონ მატჩებს თავიანთ სტადიონებზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანებზე. კლუბები ვარაუდობენ, რომ შემდეგი სეზონიდან კვლავ დაუშვებენ საკუთარ გულშემატკივრებს სტუმრად თამაშებზე.

**საფრანგეთის** ნაკრების თავდამსხმელის, ესპანეთის „ესპანიოლში“ მოთამაშე ნიკოლა უედეკის გადაბირება გადაწყვიტა მარსელის „ოლიმპიკმა“, რომელმაც წინა სეზონი წარუმატებლად დაასრულა. გასულ სეზონში უედეკმა ჩინებულად ითამაშა ესპანეთის ჩემპიონატში. იგი კარგად შეეწყო „ესპანიოლს“ და ამ კლუბში დარჩენას ფიქრობდა მანამ, სანამ მას მარსელელთა მწვრთნელი როლან კურბისი არ დაუკავშირდა. „ოლიმპიკმა“ უამრავი შანსი გაუშვა ხელიდან მონაკოში 0:2 წაგებულ მატჩში, მის თავდამსხმელებს ტიტი კამარას და მილადინ ბესანოვიჩს კი ჯერ გოლიც ვერ გაუტანიათ პირველ შვიდ ტურში. იმასაც იტყობინებიან, რომ მარსელელებს გადაწყვეტილი აქვთ, მიმართონ „ესპანიოლს“ თხოვნით, უედეკის გარკვეული ვადით თხოვების შესახებ. თავად უედეკის თქმით, მას უნდა საფრანგეთში დაბრუნება, მით უმეტეს, რომ ამით მეტი შანსი მიეცემა, მოხვდეს საფრანგეთის ნაკრებში და ითამაშოს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფავორიტთა ძლიერების დემონსტრაცია

CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მიმოხილვა

A ჯგუფი

### გალათასარაი 0:1 დორტმუნდი

ჩემპიონთა თასის მფლობელმა ახალი სეზონის პირველი გამოცდა სტამბოლში წარმატებით ჩააბარა. პირველ ტაიმში „გალათასარაიცა" და „ბორუსიაც" დაკვირვებით იცავდნენ თავს და ერთმანეთის თავდასხმას სჯობდნენ, მეორეში კი მომენტებმა იმრავლა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 73-ე წუთზე შვეიცარიელმა შტეფან შაპუიზამ გაიტანა. მან თურქთა კაპიტნის, ბულენთ ქორქმაზის უყურადღებობით ისარგებლა, მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეიჭრა და მარჯვენა ფეხით გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

„გალათასარაიმ" ანგარიშის გასათანაბრებლად ყველა ღონე იხმარა, მაგრამ გერმანული დაცვა და მეკარე კლოსი ვერაფრით დაამარცხა. რაც შეეხება სტამბოლელთა მთავარ თავდამსხმელ ჰაქან შუქურს, ერთხანს „ტორინოშიც" რომ გამოდიოდა, მან დორტმუნდის გუნდის ბრაზილიელი მცველის ჟულიო სეზარის მარწუხებს თავი ვერაფრით დააღწია.

— რა მეთქმის. ბედმა არ გაგვიღიმა, მორჩა და გათავდა — თქვა მატჩის შემდეგ „გალათასარაის" მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა.

### სპარტა 0:0 პარმა

შეხვედრაში, რომელშიც ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა, ყველაზე თვალშისაცემი ის ათი ბარათი გახლდათ, არბიტრმა რომ დაარიგა. მასპინძლებს შეტევაში სიმწვავე აკლდათ, ძალიან ხშირად ფლანგიდან მაღალ ჩაწოდებებს მიმართავდნენ. „პარმა" ორგანიზებულად იცავდა თავს და არცთუ იშვიათად სახიფათო კონტრშეტევას ახერხებდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე იტალიელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ერთობ გააკრიტიკა ჰოლანდიელი არბიტრი ჯოლ დიკი:

— თამაში საკმაოდ კარგი გამოდგა. სამწუხაროა, რომ მსაჯი ვერ გაისარჯა ისევე კარგად, როგორც მოთამაშეები. ათი ყვითელი ბარათი მეტისმეტი გახლდათ.

იგივე აზრი გაიზიარა ჩეხთა გუნდის თავკაცმა იოზეფ ხოვანეცმა, შემდეგ კი დასძინა:

— ვგონებ, გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. შედეგით სანახევროდ ვართ კმაყოფილნი.

„სპარტამ" თამაში მეტოქეზე ენერგიულად დაიწყო და პირველი 20 წუთის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა. პრაღელები ბურთს აკონტროლებდნენ, ცდილობდნენ, სწრაფი შეტევისთვის შეერჩიათ მომენტი, მაგრამ იმთავითვე გამოჩნდა, რომ სტუმრები მწვავე კონტრშეტევებისთვის იყვნენ შემართულნი.

მე-15 წუთზე დინო ბაჯოს საუცხოო პასით არგენტინელი ერნან კრესპო მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ მარტინ ჰაშეკმა ბოლოწამს ბურთს ფეხი გაუკრა. 27-ზე პიეტრო სტრადას ალშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა — პარმელი პენალტის დანიშვნას ითხოვდა. საგულისხმოა, რომ თამაშის შემდეგ პრაღელთა მწვრთნელმაც აღიარა, მეც პენალტი მეგონაო.

ტაიმის მიწურულს ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ, „სპარტა" საჯარიმოს მიაჯაჭვეს და რამდენიმე კუთხური მიაყოლეს ერთმანეთს.

მასპინძლების და, შესაძლოა, მთელი თამაშის ყველაზე სახიფათო მომენტი 58-ე წუთზე შეიქმნა: კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი „პარმას" მცველებმა ხეირიანად ვერ მოიგერიეს, გაბრიელმა იგი თავით შეაბრუნა საჯარიმოში, სადაც ზინგლმა მაკრატელა დასცხო, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონმა ჩინებული ნახტომით მოიგერია.

72-ე წუთზე ბენარივოსაც ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმული „სპარტას" მეკარემ ტომაშ პოსტულკამ უკუაგდო.

B ჯგუფი

### კოშიცე 0:3 მანჩესტერი

დენის ირვინმა, ჰენინგ ბერგმა და ენდი კოულმა სლოვაკთა იმედებს ძირი გამოუთხარეს.

— დღეს მშვენიერ შედეგს მივაღწიეთ, შეჯიბრების ასე დაწყება მართლაც საუცხოოა — თქვა „იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — განსაკუთრებით ძლიერად პირველი ტაიმი ჩავატარეთ. მომეწონა, როგორ ვასრულებდით პასებს.

— ჩვენთვის კი სასტიკი შედეგი გამოდგა — ჩამოართვა კოლეგას სიტყვა იან ბონდარმა, რომელიც „კოშიცეს" მწვრთნელად თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე დანიშნეს. მან ამ თანამდებობაზე საქმის ვეტერანი იან კოზაკი შეცვალა, რომელსაც მუშაობაში გულის დაავადებამ შეუშალა ხელი.

— თამაში მეტისმეტად მორიდებულად დავიწყეთ და სწორედ ამიტომ დავუშვით ისეთი შეცდომები, როგორსაც სლოვაკური ლიგის უიოლეს შეხვედრებშიც კი არ ვუშვებთ — დასძინა ბონდარმა უცნაური ფრაზა.

„კოშიცეს" თავიდან მეტი გამბედაობა ჰქონდა, მაგრამ თანდათან ინგლისელებმა იწყეს მოედანზე მბრძანებლობა. 30-ე წუთზე „იუნაიტედის" მონდომება დაფასდა: მარცხენა მცველმა ირვინმა მეტოქის დაცვაში ხვრელი მოძია, საჯარიმოს მარცხენა ნაწილში კოულის პასი მიიღო და ლადისლავ მოლნარის კარი დალაშქრა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „კოშიცემ" ისევ მოინდომა, მაგრამ შმაიხელის შეწუხება დიდად ვერ მოახერხა. 61-ე წუთზე კი ბექჰემის ჩაწოდებული ჯარიმა ნორვეგიელმა ბერგმა მათ კარში მეორე გოლად აქცია. და ბოლოს, კოულმა, ტრავმის გამო სათუოდ რომ ჰქონდა ამ მატჩში მონაწილეობა, საბოლოო წერტილი დასვა.

—კოულმა გამოიყენა თავისი შანსი და სამომავლოდ საქმე გაიკეთა. მეორე ტაიმში „კოშიცე" უკეთ თამაშობდა. მათ საწინააღმდეგო დავალებას წარმატებით ასრულებდა პობორსკი. მეორე გოლმა კი ისინი მოჰკლა — თქვა ფერგიუსონმა.

### იუვენტუსი 5:1 ფეიენოორდი

ეს თამაში „იუვენტუსის" ძლიერების დემონსტრაცია გახლდათ. ანკი სხვა რა უნდა ვუწოდოთ შეხვედრას, რომელშიც გამარჯვებულმა მხარემ ბოლო ორი გოლი რიცხობრივ უმცირესობაში მყოფმა გაიტანა: ანჯელო დი ლივიო საკუთარი კარის ხაზზე ხელით თამაშისთვის 57-ე წუთზე გააძევეს მოედნიდან.

ტურინელთათვის ოთხშაბათის შეხვედრა საიუბილეო იყო — მეასე ჩემპიონთა თასზე. პირველი „იუვემ" 1958 წელს ავსტრიულ „რაპიდთან" გამართა.

მესამე წუთზე ზიდანმა ჩააწოდა, „ფეიენოორდის" მცველმა ჰენკ ფრაზერმა ბურთის განზე გაგდება სცადა, მაგრამ ფეხი ააცილა და დელ პიეროს ჩემპიონთა ლიგაში გატანილ 10 გოლს უიოლესი მეთერთმეტე დაამატებინა. დელ პიერომ მალე კიდევ ერთი შეაგდო, ამჯერად პენალტით, რომელიც ზიდანის წაქცევისთვის დაინიშნა. შემდეგი ინძაგიმ გაიტანა. ჰოლანდიელმა მცველებმა მას ყურადღება არ მიაქციეს და დიმაშის პასის მიღება აცალეს.

მეორე ნახევარში დი ლივიოს ხელბურთმა „ფეიენოორდს" პენალტი, ანგარიშის შემცირება და რიცხობრივი უპირატესობა მოუტანა. ამის შემდეგ, ცოტა ხნით, „იუვენტუსმა" წაიფორხილა, მაგრამ გაუძლო და დეშამპ-ზიდანის კომბინაციით მეოთხე შეაგდო. ბოლოს კი „ბებერი ქალბატონის" მარცხენა მცველმა, სერია C-დან ახლახანს აყვანილმა ალესანდრო ბირინდელიმ 20 მეტრიდან შესრულებული ჯარიმით დააგვირგვინა როტერდამის გუნდის რბევა.

თამაშის შემდგომ „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ამ სეზონში მისი მთავარი მიზანი ჩემპიონთა თასის დაბრუნებაა.

C ჯგუფი

### ეინდჰოვენი 1:3 დინამო

კიეველების ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება ეფექტური გამოდგა. გეხსომებათ, 1995 წელს უკრაინის ჩემპიონი ესპანელი არბიტრის მოქრთამვის ბრალდებით მოხსნეს შეჯიბრებიდან. მას მერე „დინამო" წელში გაიმართა, მწვრთნელად ცნობილი ვალერი ლობანოვსკი დაიბრუნა და...

### ნიუკასლი 3:2 ბარსელონა

როდესაც ორი წლის წინ „ნიუკასლმა" ფაუსტინო ასპრილიასთან გააფორმა კონტრაქტი, გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა ამ ნაბიჯის მართებულობაში ეჭვი შეიტანა. ასპრილია გახლდათ მოარული პრობლემა. პრობლემა პოლიციასთან, პრობლემა ქალებთან, პრობლემა ძველ კლუბ „პარმასთან". და მთავარი პრობლემა: ასპრილია თავით სუსტად თამაშობს, ინგლისში კი...

„ბარსელონას" კარში სამი, მათ შორის უმძლავრესი თაური გოლების გატანის შემდეგ ფაუსტინო ასპრილია ნიუკასლში ლეგენდარულ ადამიანად იქცა. ქალაქის გაზეთი „ჯორნალი" სწერდა, ცხოვრებაში მეტი გოლი რომ არ გაიტანოს, მან უკვე დაიმკვიდრა ადგილი დიდი ნიუკასლელების — ჯეკი მილბერნისა და ჰიუ გალაჰერის გვერდით. „ასპრილიამ სენსაცია მოახდინა — განაცხადა კევინ კიგანმა, კაცმა, რომელმაც იგი გუნდში მოიყვანა — ტინოს ჩემპიონობის ხელიდან გაშვებაში სდებდნენ ბრალს, მან კი ქალაქს უდიდესი სალამო აჩუქა."

ორივე გუნდს შეეძლო მეტი გოლის გატანა. ასპრილიას, მის ჩრდილოირლანდიელ თანაგუნდელ უიტ გილესპის და „ბარსელონას" ბრაზილიელ თავდამსხმელ რივალდოს ჰქონდათ საამისო შესაძლებლობანი.

„დღეს კლუბისა და მისი გულშემატკივრებისთვის დიდებული დღე იყო. ვფიქრობ, ჩვენი თავმჯდომარე სერ ჯონ ჰოლი ღირსეულად გავაცილეთ" — თქვა კენი დალგლიშმა.

„ჩვენ პირველ ტაიმში წავაგეთ თამაში — განაცხადა კატალონიელთა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა — ასეთ ნელ მოქმედებას ჩემი ფეხბურთელებისგან არ ველოდი. თამაშის ბედი ასპრილიამ და გილესპიმ გადაწყვიტეს, მეკარე გივენმა კი საუცხოოდ ითამაშა."

D ჯგუფი

### ოლიმპიაკოსი 1:0 პორტუ

თამაშამდე „პორტუს" მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა მისი გუნდის იოლ მოგებას წინასწარმეტყველებდა, თამაშის შემდეგ კი არაფერი ეთქმოდა, მიკროფონთან მისი კოლეგა — მეტოქე დუშან ბაევიჩი იდგა:

— თამაშებს ლაპარაკით ვერ მოიგებ, გამარჯვებას მოედანზე უნდა მიაღწიო. „პორტუ" ძალიან კარგ გუნდად რჩება, მაგრამ ჩვენ შეჯიბრება დიდებულად დავიწყეთ და იმედი მაქვს, რომ ასევე გავაგრძელებთ.

დიდებულად ითამაშა „ოლიმპიაკოსის" მეკარემ ტოჩოროღლუმ, რომელმაც მე-16, 29-ე და 54-ე წუთებზე „პორტუს" ბრაზილიელ ფორვარდ მარიო ჟარდელს საუცხოო დარტყმები აუღო. შეხვედრის კინკილა გოლი კი მე-6 წუთზე, 25 მეტრიდან იანაკოპულოსმა გაიტანა.

### რეალი 4:1 რუსენბორგი

მადრიდელ ქომაგებს გული დასწყდათ. ისინი თვლიან, რომ „რეალს" უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოეგო. ანგარიში მადრიდელთა იტალიელმა მცველმა კრისტიან პანუჩიმ მე-4 წუთზე გახსნა, მაგრამ მინი იაკობსენმა 11 წუთში გაათანაბრა. შესვენებამდე მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი შეაგდეს, მეოთხე გოლი კი საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე იხილა „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილმა საზოგადოებამ, იგი დავორ შუკერის შემცვლელმა ფერნანდო მორიენტესმა შეაგდო.

E ჯგუფი

### ბაიერნი 2:0 ბეშიქთაში

გერმანიის ჩემპიონმა პირველ ტაიმში თითო გოლი გაიტანა თავიდან, მესამე წუთზე თომას ჰელმერმა ივარგა. მას ამ ეპიზოდამდე უკვე მოესწრო ბურთის ძელისთვის გარტყმა. გოლის გატანისასაც ჯერ ძელს მოახვედრა, მაგრამ დამატება მოახერხა და თურქთა ვიცე-ჩემპიონის კარი დალაშქრა. ზეწოლით დაბნეულმა სტუმრებმა, რომელთაც უელსელი ჯონ ტოშაკი თავკაცობს, მე-17 წუთზე კინაღამ თავად გაიხლაფორთეს მეორე გოლი: ალფაიმ რატომღაც თავით საკუთარი კარისკენ გადააგდო ბურთი, მაგრამ გონს მოეგო და ბოლოწამს ხაზიდან გამოიტანა.



იუვენტუსი — ფეიენოორდი. სტუმრებმა ვერც ზიდანი შეაჩერეს

— ძალიან კმაყოფილი ვარ. პირველ 20 წუთში მართლაც ძალიან ძლიერად ვითამაშეთ. მართალია, შემდეგ „ბეშიქთაში" გონს მოეგო, მაგრამ მეორე ნახევარი მაინც ჩვენი იყო" — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბაიერნის" იტალიელმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

### პსჟ 3:0 გიოტებორგი

— „გიოტებორგი" ძალიან ორგანიზებული გუნდია. 3:0 ჩინებული დასაწყისია. ამდენს არ ველოდი, ერთითაც ძალიან მოხარული დავრჩებოდი — განაცხადა მატჩის შემდეგ პარიზელთა მწვრთნელმა რიკარდომ.

ანგარიში 28-ე წუთზე ბრუნო ნგოტიმ გახსნა. იმ ეპიზოდში ბურთს თითქოს მარკო სიმონე უნდა დაუფლებოდა, მაგრამ ნგოტიმ იტალიელ მეგობარს დაასწრო და დაბალი დარტყმით მიაღწია საწადელს. მეორე ტაიმის მე-6 წუთზე 2:0 გახდა: მცველმა ტედი ლუკიჩმა ფრანკ გავას შიშით საკუთარ კარში გაიტანა. ლუკიჩი იმ დღეს მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი — მალე საჯარიმოში მარკო სიმონე წააქცია. პენალტი რაიმ შეაგდო.

— პარიზელთა პასებმა, განსაკუთრებით შორეულმა პასებმა მომხიბლა. ჩვენზე ძლიერ გუნდთან წავაგეთ — აღიარა „გიოტებორგის" მწვრთნელმა მატს ინგბლადმა.

F ჯგუფი

### ლევერკუზენი 1:0 ლიერსი

„ბაიერის" ისტორიაში ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩი მისი გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა ბოლო 13 წუთი გამთამაშებლის, შტეფან ბაინლიხის გარეშე ითამაშეს. ბაინლიხი იმავდროულად „ლიერსის" კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორიც გახლდათ. მან ულფ კირსტენის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა.

— ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერს ქულები წყვეტს, ამიტომაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი სამი ქულის მოპოვება და გოლის არგაშვება გახლდათ — თქვა მატჩის შემდეგ თბილისელთა კარგმა ნაცნობმა, ლევერკუზენელთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.

— ვგონებ, დღეს დავამტკიცეთ, რომ სუსტი მეტოქე არ ვართ — ასეთი გახლდათ „ლიერსის" თავკაცის ჟოს დაარდენის აზრი.

### სპორტინგი 3:0 მონაკო

— საწყის წუთებში ორი გოლის გაშვებას არ ველოდით, ამან მოგვშალა — თქვა „მონაკოს" მეკარემ ბარტეზმა.

— ძალიან კმაყოფილი ვართ. დღეს პორტუგალიური ფეხბურთის დონე წარმოვაჩინეთ — დაიტრაბახა „სპორტინგის" მწვრთნელმა ოქტავიო მაჩადომ.

**ბაჩუნა ძიძია**

## ნიუკასლს მადა მოსვლია

*ნიუკასლის მატჩამდე სამი საათით ადრე როიტერის მიერ გავრცელებულ წინასწარ შემადგენლობებში შავით თეთრზე ეწერა, ქეცბაია ითამაშებსო. ამიტომ გაკვირვებული დავრჩი, ჩვენებურის ნაცვლად მოედანზე ჯონ ბარნსი რომ გამოჩნდა, თუმცა ჩემზე არანაკლებ გაოცებულნი ამ მატჩის ტელეტრანსლაციის მომწყობი ITN-ის კომენტატორები იყვნენ — ბარნსი ახლა ჩვენს გვერდით უნდა იჯდეს, შეგვპირდა, მატჩის წაყვანაში დაგვეხმარებითო. ყველაფერი თამაშის დამთავრებისთანავე გაირკვა, როცა ბარნსმა სიტყვის გატეხვა ასე ახსნა — რა ვქნა, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ძირითადში თამაშიო. ხუთშაბათს თემურისთან საუბარი სწორედ ამ ამბით დავიწყე.*



— როიტერი არ შემცდარა. მეც ვიცოდი, რომ უნდა მეთამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში დალგლიშმა თქვა, შენს ნაცვლად ბარნსი იქნებაო. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ მაშინ ახსნის დრო არ იყო, მატჩის მერე კი მწვრთნელმა მითხრა, ცუდი არ იფიქრო, უბრალოდ ბარნსი დაცვის მიხმარებაში მეტად გამოცდილია და ამიტომ ვამჯობინე მისი თამაშიო.

**— „უიმბლდონთანაც" რომ შეცვლაზე შეხვედი?**

— თბილისიდან ჩამოსვლისთანავე მითხრა დალგლიშმა, ძნელი მატჩი და ხანგრძლივი ფრენა გადაიტანე, ამიტომ, თუ გაჭირდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გათამაშებო. ასეთსავე სიტუაციაში იყო ასპრილიაც, მაგრამ მართლაც გაჭირდა და ორივე დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე შეგვიშვა. სამწუხაროდ, მატჩის შემოტრიალება ველარ შევძელით.

**— ეგებ მართლაც ბარნსს გამჯობინებს?**

— არა მგონია. ორი დღეა, იმას ჩამჩიჩინებს, ეგებ არ წახვიდე მოლდოვასთან სათამაშოდო. პირდაპირ ვუთხარი — შანსი არ არსებობს, ნაკრებს გამოვაკლდე-მეთქი. ახლა შაბათს ლონდონში ჩამოვალ „ვესტ ჰემთან" სათამაშოდ და მერე ეგრევე თბილისში მივფრინავ. კიშინიოვის მატჩის გამო ოთხშაბათსვე დანიშნულ „ევერტონთან" შეხვედრას გამოვტოვებ, მაგრამ შაბათს ისევ ლონდონში, ოღონდ „ჩელსისთან" თამაშზე აუცილებლად უნდა ვიყო.

**— ისევ ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდეთ. კიეველთა ჰოლანდიაში მოგებამ ხომ არ დაგაფრთხოთ?**

— ნამდვილად არ ველოდი უკრაინელთა ასეთ სტარტს, თუმცა ნამეტანი არც ჩვენი „ბარსელონასთან" გამარჯვებისა გვჯეროდა. საერთოდ, ოთხშაბათამდე, კლუბში და მის გულშემატკივრებში იმას ამბობდნენ, ვინაიდან პირველად ვართ ჩემპიონთა ლიგაში და ეგრევე ასეთ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, გავალთ — კარგია, არადა — არც არაფერიო. მაგრამ ესპანელებთან მოგებამ ყველაფერი შეცვალა. ნაღდად ვირწმუნეთ, რომ მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია. რახან „ბარსას" მოვუგეთ, ალბათ, არც „ეინდჰოვენის" და „დინამოს" შინ დამარცხება გაგვიჭირდება. აი, სტუმრად კი... აქამდე ვფიქრობდი, კიევში უპრობლემოდ მოვიგებთ-მეთქი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ იქაც დიდი ბრძოლა გველის.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

UEFA Cup Winners' Cup

# ანგარიში, რომელიც ცუდი არაა

## თასების თასის პირველი მატჩების მიმოხილვა

ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე", რუუდ გულიტის ქვეშევრდომთა საშინელი უპირატესობა, ნერვების მომშლელად გულცივმა ტაბლომ ასე ასახა — 2:0. ამ შეხვედრის მონაწილე მასპინძელი ვარსკვლავები ნაირ-ნაირ მომენტებს ატანდნენ ქარს. ბურთის ძელისთვის გარტყმა გნებავთ? კი ბატონო, ჯანფრანკო ძოლამ ორჯერ დაუმიზნა კარის ჩარჩოს. ახლოდან მიზნის ვერ მიგნებაც ხშირი გახლდათ. აცილებდნენ ყველანი, თავიდან ბოლომდე მოთამაშე ჯანლუკა ვიალის ჩათვლით. ზემოთქმული გადაჭარბებად რომ არ ჩაგვითვალოთ, სტატისტიკას მივმართოთ: „ჩელსიმ" „სლოვანის" კარში (აქ აცილებულებს აღარ ვგულისხმობთ) 29-ჯერ დაარტყა.

არადა, თავიდან სულ სხვა სურათი დაიხატა. რობერტო დი მატეომ მე-6 წუთზევე გახსნა ანგარიში. მის მიერ მარჯვენა ფეხით გასროლილი სტუმართა გოლკიპერს გასცდა და ბადეში შევარდა. შემდეგ კი ის საშინელება დაიწყო, თავიდან რომ მოგახსენეთ.

დრო გადიოდა, ანგარიში 1:0 იყო და შეცვლას არც აპირებდა. ლამის ჭკუაზე გადასულმა გულიტმა სამოქალაქო ტანსაცმელი გაიხადა, ბუცები მოირგო და მეოთხე მსაჯთან, მოედნის კიდეზე დადგა. უცნაური სანახავი გახლდათ აუტის ხაზთან მდგომი სათადარიგო ფეხბურთელის ხელების შლა და ყვირილი. მთავარ მწვრთნელს ახლა ბურთმა მოუღო ბოლო, მოედანს გარეთ ცოცხალი თავით არ მიგორავდა, თამაშში ჩართვის საშუალებას არ აძლევდა. აქეთ, ეს დრო, რომელსაც ვერ შეაყოვნებ... და სწორედ მაშინ, სიგიჟემ უმაღლეს მწვერვალს რომ მიაღწია, „ჩელსის" დებიუტანტთა დებიუტანტმა დენი გრენვილმა თავისი კარიერის პირველი გოლი გაიტანა. გულიტი ცივად მიტრიალდა და სათადირიგოთა სკამზე დაჯდა — 2:0-ს უკვე არა უშავდა.

2:0 მართლაც არაა ურიგო შედეგი. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის იტალიური „ვიჩენცას" მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინიც:

— ამ ანგარიშს წინასწარვე სიამოვნებით მოვაწერდი ხელს — თქვა მან ვარშავის „ლეგიასთან" მატჩის შემდეგ — მართალია მესამე გოლის გატანაც შეგვეძლო, რაც ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ შინ გოლი არ გაგვიშვია.

ინგლისურის მსგავსად, იტალიურმა გუნდმაც მალე გახსნა ანგარიში. გოლის ავტორი გახლდათ პასკუალე ლუიზო, ფეხბურთელი, რომელიც „ვიჩენცაში" „პიაჩენცადან" ახლახანს გალეულ ზაფხულს გადავიდა. მართალია, მას ადრეული გოლით გაუმართლდა, მაგრამ მეორე ტაიმში იღბალმა ზურგი შეაქცია. ისე კი, საქმე მარტო იღბალიც არ გახლავთ — პოლონელებმა არცთუ ურიგოდ დაიცვეს თავი და უნდა ითქვას, რომ ორ გაშვებულ გოლს შორის მონაკვეთში ინიციატივაც იგდეს ხელთ. მეორე გოლი კი „ლეგიას" კარში გაბრიელე ამბროზეტიმ შეაგდო.

პირველი გოლის არქიტექტორი არტურო დი ნაპოლი გახლდათ. მან მარჯვენა ფრთიდან გაარღვია ვარშაველთა დაცვა და ლუიზოს ახლო მანძილიდან თაური გაატანინა. მე-20 წუთზე კი სტუმრებს შეეძლოთ გათანაბრება. კომბინაცია 20 წლის ნიგერიელმა კენეტ ზეიგბომ წამოიწყო, მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილმა ტომაშ სოკოლოვსკის დაუგორა და დაინახა, სოკოლოვსკის დარტყმული ნამეტნავად როგორ აცდა მიზანს. სხვათაშორის, სოკოლოვსკი „ლეგიას" გოლკიპერ შამოტულსკისთან ერთად მონაწილეობდა პოლონეთის ეროვნული გუნდის იმ შეხვედრაში, საქართველოს ნაკრებს ბდღვირი რომ ადინეს.

24-ე წუთზე „ვიჩენცას" ურუგვაელი მცველი გუსტავო მენდესი გაემართა ვარშაველთა კარისკენ. მან ბურთი ფაბიო ვივიანის გადააწოდა, ვივიანიმ ამბროზეტის, ხოლო ამბროზეტიმ მეტოქეს ცენტრიდან განაახლებინა თამაში.

პოლონელებს კიდევ ერთხელ შეეძლოთ პიერლუიჯი ბრივიოს კარის დალაშქვრა, მაგრამ იაცეკ კასპერჩაკმა ძელი შეაზანზარა. შემდეგ მასპინძლებმა დაიწყეს მესამე გოლის ძიება. მეორე ტაიმი იყო, ლუიზომ შამოტულსკი რომ ვერ მოატყუა, დი ნაპოლის დარტყმულს მცველი ჩაუხტა, მასიმო ბეგეტოს კი საჯარიმოს გარედან სიზუსტე არ ეყო.

სევილიაში ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელის ალფონსოს ორმა გოლმა „ბეტისსაც" იმ ანგარიშით მოაგებინა, რომელიც, როგორც უკვე შევთანხმდით, ურიგო არაა. დამარცხებული გუნდი გახლდათ ბუდაპეშტის „ვაშუტაში", გამარჯვებულს კი გამარჯვება უთუოდ ერგებოდა. მაგრამ... მაგრამ ყველგან არის — ალფონსოს მეორე გოლი ოფსაიდიდან გავიდა, თან, ოფსაიდში მარტო ალფონსო რომ მდგარიყო, რა უშავდა.

პირველი გოლის დროს კი ალფონსო მეტოქის მცველებს უყურადღებოდ დარჩათ. მან რობერტ იარნის პასით ისარგებლა და უნგრელ გოლკიპერს შანსი არ დაუტოვა.

დიახ, 2:0 მართლაც არ გახლავთ ურიგო ანგარიში, თუმცა არც 3:1-ზე იტყოდა გუნდი უარს. მით უფრო, თუ 3:1 სტუმრადაა მოგებული. სწორედ ასე გაიმარჯვა გერმანიის თასის მფლობელმა „შტუტგარტმა", რომელიც ისლანდიაში „ვესტმანაეიარს" ხვდებოდა, საფრანგეთის თასის მფლობელმა „ნიცამ" კი 3:1 შინ მოიგო. რივიერიელთა მოწინააღმდეგე შოტლანდიური „კილმარნოკი" გახლდათ. ამ შეხვედრაში ბრიტანელებმა 18 წუთი უმცირესობაში გაატარეს, რადგან მეორე ყვითლის გამო მარტინ ბეიკერმა ადრე დასტოვა მოედანი.

ნიცელთა მთავარი მოქმედი პირი იმ საღამოს გერმანელი ვეტერანი შტეფან კონი გახლდათ. ესა ის კონია, რომელიც 1992 წელს, უკვე ფლობდა თასების თასს. მაშინ იგი ბრემენის „ვერდერში" გამოდიოდა, რომელმაც ფინალი „მონაკოს" მოუგო.



ამდენი მომენტის გამოუყენებლობამ ჩელსელთა ფრანგ მცველს ფრანკ ლებეფს თვალები დააჭყეტინა

მე-12 წუთი იდგა, როდესაც მარჯვნიდან ჩაწოდებულ კუთხურს კონი მაღლა აუხტა და თაურით ბურთი ხარიხის ქვეშ შეაგდო. მეორე ტაიმის დაწყებიდან სამი წუთის მერე გერმანელმა მეორე წარმატებული თაური დაჰკრა. საგოლე პასი იუგოსლავიელმა თანაგუნდელმა ზორან მილინკოვიჩმა ჩააწოდა. ამის შემდეგ იყო 2:1 — შოტლანდიელთაგან პოლ რაიტმა პენალტით მიაღწია მიზანს, მაგრამ ფრანგები უმალ მოეგენ გონს და ორბურთიანი სხვაობა აღადგინეს. გოლი ისევ თაურით გავიდა. ისევ მილინკოვიჩის ჩაწოდებით. შეიცვალა მხოლოდ საბოლოო დარტყმის ავტორი. კონის ადგილას ამ ჯერზე მიკაელ როლი აღმოჩნდა.

ზოგადად შეხვედრამ ფრანგული გუნდის თვალშისაცემი უპირატესობით ჩაიარა და მის კაპიტანს ფრანკ ვანდეკასტელეს ოდნავ იღბალი რომ წაშველებოდა, შესაძლოა მასპინძლებს ერთი-ორი გოლით მეტიც გაეტანათ.

ახლა ბელგიური „ეკერენისა" და იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდას" დუელზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. მასპინძლებმა 3:2 მოიგეს. მათი გამარჯვება დამსახურებული გახლდათ, „წითელმა ვარსკვლავმა" კი ახალ სეზონში პირველი მარცხი იწვნია. აქამდე მას შინაური ჩემპიონატის ხუთ ტურში ფეხი არ დასცდენოდა.

თავიდან „ეკერენი" 2:0-ს იგებდა. შესვენებამდე მასპინძლებს რამდენიმე გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მოწინააღმდეგის დაცვის შეცდომებით ერთზე მეტად ველარ ისარგებლეს. 3 700 გულშემატკივრის ხმაურში მათმა გამთამაშებელმა ვან გენეუგდენმა ჯარიმა შეასრულა. ბურთი ერვინ კოვაჩმა იგდო, გააჩერა, შეტრიალდა და დრაგოსლავ იევრიჩის კარი ისე დალაშქრა. მეორე ნახევრის საწყის მონაკვეთში გიუნტერ ჰოფმანსმა გაწოლილი თაურით გაორმაგა ანგარიში, მაგრამ იუგოსლავიელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და ხუთ წუთში ერთით უპასუხეს მასპინძლებს: პერიცა ოგნიენოვიჩმა მათი დაცვის მწკრივი გაარღვია და მიზანში დაარტყა. შემდეგ დეიან სტანკოვიჩმა საჯარიმო მოედნის კიდიდან ორჯერ შექმნა სახიფათო მომენტი, მესამედ კი მარჯვენა ფეხით გაათანაბრა.

3 700 ბელგიელი დადუმდა. „ცრვენა ზვეზდა" მოსაგებად შეიმართა, შეუტია და სწორედ აქ შეცდა ბელგრადის გუნდი. მანუ კარაგიანისმა მარცხნიდან ძელს გაარტყა, ასხლეტილს დუვემ დაამატა და ეშხში შესულ სტუმრებს გამარჯვება ხელიდან გამოსტაცა.

რაც შეეხება სენსაციას, ის უკრაინულმა გუნდმა, დონეცკის „შახტიორმა" მოახდინა. მიხეილ ფოცხვერიას გუნდმა პორტუში 3:2 სძლია სწორედ იმ „ბოავიშტას", რომელმაც შარშან თბილისის „დინამოს" 5:0 მოუგო. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა დღეს, ჩემპიონთა ლიგაში, კიევის „დინამომ" ასევე სტუმრად „ეინდჰოვენს" აჯობა, თამამად შეგვიძლია, მილეული კვირა უკრაინული ნათების კვირადაც მოვნათლოთ.

**ბაჩუნა ძიძია**

### თასების თასის მერვედფინალი
#### პირველი მატჩები. 18 სექტემბერი

Cup Winners' Cup

აეკ (ათენი, საბერძნეთი) — დინაბურგი (ლატვია) 5:0
**1:0, 2:0 კოპიცისი (32, 45), 3:0 კაცავოსი (63), 4:0 კალიცაკისი (66), 5:0 მარსელო (77)**

აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) — შტურმი (გრაცი, ავსტრია) 0:1
**0:1 შპიტერი (81)**

კოპენჰაგენი (დანია) — არარატი (ერევანი, სომხეთი) 3:0
**1:0 იონსონი (17), 2:0 ნილსენი (53), 3:0 ტური (87)**

აიკ (სტოკჰოლმი, შვედეთი) — პრიმორიე (სლოვენია) 0:1
**0:1 რუდონია (85)**

ქოჯაელისფორი (თურქეთი) — ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:0
**1:0 ერჰანი (41), 2:0 მოშეუ (45)**

სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — ლუცერნი (შვეიცარია) 4:2
**1:0 ასანინი (5), 1:1 ალექსანდროვი (7), 2:1 ვაჩა (14), 3:1 ვაგნერი (49), 4:1 ლაბანტი (54), 4:2 კოილოვი (76)**

ეკერენი (ბელგია) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) 3:2
**1:0 კოვაჩი (17), 2:0 ჰოფმანსი (57), 2:1 ოგნიენოვიჩი (59), 2:2 სტანკოვიჩი (63), 3:2 დუვე (71)**

ნიცა (საფრანგეთი) — კილმარნოკი (შოტლანდია) 3:1
**1:0, 2:0 კონი (12, 48), 2:1 რაიტი (77 პ), 3:1 როლი (79)**

ჰაპოელი (ბერშევა, ისრაელი) — როდა (კერკრადე, ჰოლანდია) 1:4
**0:1 ვან ჰუდტი (15), 0:2 ტორმა (24), 0:3 ვან ჰუდტი (31), 0:4 ტორმა (34), 1:4 ბენაიუნი (63 პ)**

ჩელსი (ინგლისი) — სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 2:0
**1:0 დი მატეო (6), 2:0 გრენვილი (80)**

ვიჩენცა (იტალია) — ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) 2:0
**1:0 ლუიზო (10), 2:0 ამბროზეტი (24)**

ვესტმანაეიარი (ისლანდია) — შტუტგარტი (გერმანია) 1:3
**0:1, 0:2 ბობიჩი (9, 11), 1:2 ოლაფსონი (39), 1:3 აკპობორი (69)**

ბეტისი (ესპანეთი) — ვაშუტაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 2:0
**1:0, 2:0 ალფონსო (58, 72)**

ბოავიშტა (პორტუგალია) — შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) 2:3
**0:1 ზუბოვი (24), 1:1 რუი მიგელი (34), 2:1 კარლოს მაგალიაეში (44), 2:2, 2:3 ატელკინი (62, 64)**

ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 1:2
**1:0 ხლებოსოლოვი (14 პ), 1:1 ლოსკოვი (49), 1:2 ბოროდიუკი (71)**

ზაგრები (ხორვატია) — ტრომსო (ნორვეგია) 3:2
**1:0 ლალიჩი (44), 2:0 სოპიჩი (50), 3:0 ბატურინა (52), 3:1 იოჰანსენი (56), 3:2 არსტი (80)**

---

ГОЛИАФА ДАВИД НЕ УВИДЕЛ

Руслан БАТЕНКОВ
Дмитрий НАВОША
Александр ШИРКО (фото)
из Мозыря

Кубок УЕФА. 1/32 финала.
МПКЦ (Мозырь, Беларусь) —
"ДИНАМО" (Тбилиси, Грузия) — 1:1

მპკც — „დინამოს" შორის 16 სექტემბერს [illegible] თასის პირველი შეხვედრის მცირე მიმოხილვა წინა „სარბიელში" შემოგთავაზეთ. დღეს კვლავ ვუბრუნდებით მოზირულ მატჩს და გთავაზობთ ბელარუსულ „პრესბოლში" დაბეჭდილ ვრცელ წერილს, რომელიც, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს.

# დავითს გოლიათი არ უნახავს

ტერმინი „მეტოქის შეუფასებლობა" მყარად ჩაიკირა საფეხბურთო ლექსიკონში და დიდი ხანია, ლამის ყველაზე მისაღებ (მსაჯობის შემდეგ, ცხადია) არგუმენტად გამოიყენება მწვრთნელთაგან, მათზე მინდობილი გუნდების ნეგატიურ შედეგთა გასამართლებლად.

უეფას თასზე მოზირელთა სადებიუტო მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ალექსანდრ ბუბნოვმა ახალი განსაზღვრება დააპატენტა: „ზედმეტად დაფასება". საამისო საფუძველიც ჰქონდა: მისი შეგირდები მართლაც მოჭარბებული მოწიწებით მოეპყრნენ მრისხანე მეტოქის იმ სახელს, რომელიც მხრებზე უმძიმეს ტვირთად დააწვათ. თუმცა, თბილისის „დინამო" უკვე ის აღარ იყო...

იმავე პრესკონფერენციაზე მატჩისწინა კვირაში ქართულ და ბელარუსულ მასმედიას შესაშური პირდაპირობით არიდებულმა დავით ყიფიანმა, როგორც იქნა, დაარღვია უტყვი აღთქმა. ამასთანავე სავსებით თავაზიან და ინტელიგენტ ადამიანად წარმოჩნდა, ისეთად, რომელთანაც ძნელი გასაიგივებელი იყო ტელეფონის ყურმილის არაინტელიგენტური დახეთქებანი და ეს მანამ, სანამ ვინმე, მწერალგადამღებთა საძმოდან, პირველი წინასამატჩო კითხვის ჩამოყალიბებას მოასწრებდა. ანდა „ნიღაბი", რომელიც დავიდ დავიდოვიჩმა უკვე მოზირში, უშუალოდ მატჩის წინ მოირგო? იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მას მუცელი ასტკივდა ანდა რატომღაც პირში წყალი ჩაიგუბა. საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" მწვრთნელმა უემოციობისთვის მოსაბოდიშებლად სიმართლეს მიმსგავსებული გამართლება მოძებნა: იტალიელებთან თამაშების შემდეგ ჩემი შეგირდების მდგომარეობა მაფრთხობდაო. მაფრთხობდა არა ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ამას თვალნათლივ ვხედავდი — გამუდმებული ხითხითი — არადა, არცთუ სუსტ მეტოქესთან თამაში გველოდაო.

სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში თავშეყრილთათვის სავსებით მოულოდნელად ყიფიანმა რისხვა დაატეხა იაშვილს, მუჯირს, კალაძეს, კიკნაძეს, რომლებიც მშვენივრად გამოიყურებოდნენ, თანაც, მათი დახასიათებისას კატეგორიულად „უმსგავსობას" იშველიებდა.

განსაკუთრებით მოხვდათ ყველაზე გამოცდილთ და (ჟურნალისტთა აზრით) არცთუ უსუსტესთ: მპკც-ს კარზე მიტანილი თითქმის ყველა იერიშის სულისჩამდგმელ კახი გოგიჩაიშვილს და ცეესკადან ცოტა ხნის წინ დაბრუნებულ ნუგზარ ლობჟანიძეს. „გოგიჩაიშვილი ლამაზად კი მოქმედებს, ბურთსაც კარგად ფლობს, მაგრამ ჩვენ ხომ კვადრატს არ ვთამაშობთ, არა? რამ შეუშალა 66-ე წუთზე ხელი შორეულ ძელთან მარტოდმარტო მოდარაჯე მუჯირისთვის მიეგორებინა ბურთი?! და ლობჟანიძე? არ მესმის, საერთოდ რას აკეთებდა ცეესკაში. დიდავა რომ დისკვალიფიცირებული არ ყოფილიყო, ასეთი დამოკიდებულებით ლობჟანიძე მინდორზე 20 წუთსაც არ დაჰყოფდა".

ამ კრიტიკული სიტყვის მოსმენისას ისლა დაგვრჩენოდა, ერთმანეთისთვის გადაგვეხედა, რამეთუ ჟურნალისტებს უკვე მოესწროთ აზრთა გაზიარება და ბევრად თავშეკავებული შეფასება. ჩვენც ამ შეფასებებს მივყვებით და მეტრის მომთხოვნელობას გავიკვირვებთ. წარმოიდგინეთ, რამდენი შეცვლა დასჭირდებოდა მას, მოზირელთა სკამზე მჯდომი მასპინძელთა თამაშს ისევე რომ მიდგომოდა, როგორც სავსებით დამაჯერებლად მოთამაშე საწყალი ლობჟანიძისას? სულ მცირე 9-10...

მპკც-მ დებიუტი საკმარისად სალად წარმართა და პირველი ათწუთეულის განმავლობაში მისი ლიბერო სისოევი სამჯერ დაემუქრა სტუმართა კარს, თუმცა ორი საჯარიმო დარტყმა ცოცხალ კედელს მიენარცხა, ერთიც ცაში ღრუბელთა გასაფანტად გაიჭრა. სისოევის გასროლათა ხმაში დინამოელებმა აუჩქარებლად დაზვერეს მეტოქე და მსუბუქი, მაგრამ დაჟინებული პრესინგით მყარად მოიკიდეს ფეხი მოედნის ცენტრში. და ეს იმის მიუხედავად, რომ ჭკვიანი და სასარგებლო მალეევი, ბზრიალა ბერიშვილი და დაუდეგარი გოროვოი დროდადრო ახერხებდნენ მეტოქის კართან სიტუაციის დაძაბვას. მე-15 წუთზე ამ უკანასკნელმა ეფექტურად გაარღვია სტუმართა დაცვის მარჯვენა ფრთა და ბურთი პენალტის ნიშნულთან კუშნირს მისცა, მაგრამ მან ისე შესცოდა, მოსწავლესაც რომ არ ეპატიება.

ტაიმის შუაგულში სტუმრებმაც გაიხსენეს მეტოქის კარის არსებობა. კიკნაძის დიაგონალმა გაევთან პირისპირ გაიყვანა ჩხაიძე, მაგრამ მეკარე თავგამეტებულად ჩაუხტა ფეხებში. ეს მომენტი სულაც არ გახლდათ სტუმართა ბოლო გამოხდომა. ამაში გოგიჩაიშვილის გამომგონებლობამაც დაგვარწმუნა. არასტანდარტული გადაწყვეტილებებით იგი უფრო მეტად ასულელებდა მოზირელ მცველებს, ვიდრე MMM თავის მეანაბრეებს. მისი ერთ-ერთი პასის ჩაჭრისას, 28-ე წუთზე, სისოევი სანტიმეტრებით გადაურჩა ათიანში გასულ ავტოგოლს.

თუმცა, ამ მატჩის ყველაზე სამწუხარო ეპიზოდი მოზირელებმა მანამდე იწვნიეს. სავსებით უწყინარ სიტუაციაში კუნთი დაიშავა და შეცვლა ითხოვა იური მალეევმა, რომლის დაკარგვამ მპკც-ს შუახაზი გაალარიბა. მითუმეტეს, რომ მისმა შემცვლელმა კუკარმა ნახევარ საათში ვერ მოახერხა მინდორზე თავისი ყოფნის მიზნის გარკვევა და იძულებული გახდა, თავადაც გასულიყო. ასე რომ, მინდვრის შუაგულში ქართველთა ბატონობა დამთრგუნავი გახდა. და არა მარტო ცენტრში. ლობჟანიძის და მუჯირის მიერ, შესაბამისად სისოევთან და აპანასთან მოგებულ საჰაერო დუელებს კიდევ ორი სახიფათო დარტყმა მოჰყვა. მე-40 წუთზე დაუღალავმა გოგიჩაიშვილმა ბოლოჯერ გააფრთხილა მოზირული დაცვა. მან დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა მუჯირი, რომელიც ბუცების ყვითელი ფერის თუ ჭაბუკური ასაკის გამო ადგილობრივმა მაყურებელმა ბარტყად მონათლა. ამჯერად ამ ბარტყმა დარტყმა ოდნავ ააცილა, 120 წამის შემდეგ კი იგივე დუეტმა შეტევა იგივე სქემით წარმართა. შეცვალა მხოლოდ ფლანგი და დარტყმის კუთხე, რომელიც არც ისე მცირე იყო შეტევათა მოგერიებით გადაღლილი გაევისთვის, მუჯირის დარტყმაზე რეაგირების შანსი რომ დაეტოვებინა — 0:1. ტაიმის დამთავრებამდე გაევმა მაინც გაამართლა კარში მისი დგომა და იაშვილის, მუჯირის და კიკნაძის შეტევები მოიგერია... მპკც ღრმა ნოკაუტს მსაჯის მაშველმა სასტვენმა გადაარჩინა.

მწვრთნელის შეფუცხუნებით მომართულ მოზირელებს მეორე ტაიმის დებიუტში შემტევი ზეწოლა გამოუვიდათ. ამის შედეგი იყო საგოლე კომბინაციაც. ბერიშვილს, მარცხნიდან ჩაკიდებას რომ ლამობდა, დიდად დაეხმარა ჯელაძეზე ბურთის ასხლეტა, რის შემდეგ საჯარიმოს ცენტრში დენისიუკმა მოათვინიერა კუშნირისთვის განკუთვნილი საჩუქარი და ამან 15 მეტრიდან აიღო ზოიძის კარი. საყაიმო შედეგით ბუბნოვის კმაყოფილება საპასუხო გოლამდე გახურებული ესაიაშვილის არგამოყვანით აიხსნა.

ყრუდ ჩაკეტილი (ჯელაძეს ბერიშვილისთვის თვალი არ მოუცილებია, ვერისთან გამკლავებულ კალაძეს კი დენისიუკის დაჭერა არ გასჭირვებია) თავდასხმის უკბილობა მოზირელთა უმთავრესი პრობლემა როდი გახლდათ. უფრო სახამუშო ნახევარდაცვის შემოქმედებითი იმპოტენცია იყო. რამდენიმე წუთში ლამის მარცხი შეიმთხვიეს საკუთარ საჯარიმოში სისოევმა და ლუკაშევიჩმა, რომელთაც გაევმა უშველა და იაშვილის შეტევა გაჭირვებით შეაჩერა. აუჩქარებელი, მაგრამ ზუსტი და მოკლე პასებით მოთამაშე სტუმრები მოზირელთა კართან სახიფათო მომენტებს რეგულარულად ქმნიდნენ. მუჯირის დარტყმები, გოგიჩაიშვილის გარღვევები მასპინძლებს ბევრ საფიქრალს უჩენდა.

ერთობლიობაში ქართველები გამარჯვების გოლს იმსახურებდნენ, მაგრამ მინდვრის ცენტრში ბურთთან „შენობით" მომპყრობნი კართან უგუნურებას ავლენდნენ. ეს საყაიმო ანგარიშისადმი მათ კმაყოფილებასაც აშველებდა — ევროთასების მასშტაბით ხომ გასვლაზე ფრე წარმატებულად ითვლება.

# ფეხბურთი, კოკაინი, ორი ესკობარი...

1994 წლის 22 ივნისი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფურ შეხვედრაში მასპინძელი ამერიკელები კოლუმბიას ამარცხებენ.

სამი დღის შემდეგ, 25 ივნისს, „სარბიელი“ წერდა: „35-ე წუთი, მარცხენა ფრთიდან ჯონ ჰარქსი ბურთს მეტოქის საჯარიმოში აწვდის და კოლუმბიელთა მცველი ანდრეს ესკობარი ისეთ რამეს აკეთებს, ამიერიდან, თავისი ცნობილი მაფიოზა მოგვარის არ იყოს, მასაც ნახევარი კოლუმბია მოსაკლავად ჩაუსაფრდება — ბურთი საკუთარ კარში გააქვს. ეს ხუმრობით ნათქვამი არ გეგონოთ“...

იმავე წლის 2 ივლისი. ანდრეს ესკობარი მოკლეს...



ანდრეს ესკობარის (№2) უკანასკნელი მატჩი

კოლუმბიაში, ისევე როგორც მთელ ლათინურ ამერიკაში, ფეხბურთი უპირველესი სახეობაა, მაგრამ აქ მას ერთი თავისებურება ახასიათებს — ნარკობიზნესი.

მედელინში, ნაცრისფერ და ჭუჭყიან ქალაქში, ფეხბურთის მოედნები ძნელად მოსაძებნია. სამაგიეროდ, თითქმის ყველა ქუჩა ბავშვებს ეკუთვნით. როდესაც ისინი არ ყიდიან ცხვირსახოცებს, გაზეთებს, ხილს ან კონტრაბანდულ სიგარეტებს, ბინძურ ტროტუარებზე ბურთს აგორებენ და ტრანსპორტის მოძრაობა დაბრკოლებას სულაც არ უქმნით. „მორიგი მანქანა, უბრალოდ, კიდევ ერთი მეტოქეა“ — ეს სიტყვები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მეკარეს — რენე იგიტას ეკუთვნის. ქუჩის საფეხბურთო სკოლა გაიარეს კოლუმბიის ნაკრების სხვა წევრებმაც — ლეონელ ალვარესმა, ლეონ ვილამ, ლუის ალფონსო ფახარდომ, კარლოს მარიო ხოიოსმა. და თუ მათ მიახერხეს კასტიას, ზამორას, ტრინადადის, კამპო ვალდესის თუ შაპინეროს — ამ ულარიბესი უბნების მიტოვება და წარმატების მიღწევა, სწორედ ქუჩის გაკვეთილებს უნდა უმადლოდნენ. „ჩემი ჟესტები, ჩემი მოძრაობა მოედანზე ახლაც იმ დროს მაგონებს, როდესაც მანქანებსა და ავტობუსებს შორის დავძვრებოდი ბურთის დასაჭერად“ — იგონებს ემილიო ალვარესი — „ჩემი მეგობრების უმეტესობა ღამითაც აგრძელებდა ქუჩურ ცხოვრებას, ნარკოტიკების გასაღებით შოულობდნენ ფულს, მე კი ყოველთვის სახლში ვბრუნდებოდი“.

80-იანი წლების შუა პერიოდში კოლუმბიაში ახალი თაობის, ახალი შეხედულებებითა და იდეებით სავსე მწვრთნელები გამოჩნდნენ, ლუი ალფონსო მაროკინი და ფრანცისკო „პაკო“ მატურანა. „ფეხბურთი გრძნობასავითაა, რომელიც სისხლში უნდა გქონდეს გამჯდარი, იგი ბედნიერებას უნდა განიჭებდეს“ — განაცხადა მაშინ მატურანამ, ლამაზი თამაშის მოყვარულმა და მომავალში კოლუმბიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. ეს დევიზი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა მაროკინმა კიდევ უფრო რომანტიკული სიტყვებით შეავსო: „ბურთი ქალივითაა, მას კი არ უნდა დაარტყა, უნდა მოეფერო“.

სწორედ ამ თაობამ, რომელიც „მზად იყო ეცხოვრა სწრაფად, კარგად და ცოტა ხანს“, მოიპოვა კოლუმბიის საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი დიდი გამარჯვება — მატურანას ხელმძღვანელობით მედელინის „ნასიონალმა“ 1989 წელს ლიბერტადორესის თასი მოიგო. ამ წარმატებას დიდი ამბები მოჰყვა — ორიოდ წელიწადში 18 ახალი სტადიონი აშენდა, ოლქის ლიგაში კი კლუბები ბუზებივით მომრავლდა. 90-იანების დასაწყისში ლიგა უკვე 210 გუნდს ითვლიდა. არადა, 10 წლის წინ სულ 65 ასპარეზობდა.

ფეხბურთი სოციალურ კიბეზე ამასვლისა და ძალაუფლების სინონიმად იქცა და ნარკობარონთა ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ნომერ პირველი სახეობა სწრაფად წალეკა ნარკოტიკებით ნაშოვმა ფულმა. ყველა დიდი კლუბი — „ამერიკა“, „ნასიონალი“, „მილიონარიოსი“, „სანტა ფე“, „ხუნიორი“ — ერთმანეთთან დაპირისპირებულ ნარკოკარტელების ხელში აღმოჩნდა.

მედელინის „ნასიონალის“ მფლობელი გახდა პაბლო ესკობარი, რომლის ქონება 1,3 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. „ელ დოქტორს“ ეკუთვნოდა ასევე საფეხბურთო კლუბ „ენვიგადოს“ აქციათა მეტი წილი. როდრიგეს ორეხუელა (800 მილიონი დოლარი) აკონტროლებდა კალის „ამერიკას“.

როდრიგეს გაჩა (500 მილიონი), იგივე „ელ მეხიკანოს“, ესკობარის მარჯვენა ხელს, ეპყრა ბოგოტის „მილიონარიოსი“. „სანტა ფე“ კოკაინის კიდევ ერთი ბოსის — კარილიო ვალეხოსი იყო, ბარანკილიას „ხუნიორი“ კი — ფუად შარის, იგივე „მარიხუანას პრინცის“. სხვებს ხომ არ ჩამორჩებოდნენ და, უმაღლესი ლიგის დანარჩენმა გუნდებმა — „ხერეირამ“, „ინდეპენდიენტემ“, „ტოლიმამაც“ გამონახეს კავშირები მაფიასთან.

კლუბების ახალი პატრონები არაფრის წინაშე არ იხევდნენ უკან. მოთამაშის, მსაჯის მოსაქრთამად ან ჩემპიონის ტიტულის საყიდლად ყველანაირი ხერხი გამოიყენებოდა. ამ არც ის დიდი ხნის წინანდელი ეპოქის გახსენება ბევრისთვის ძალზე მტკივნეულია. მაშინ უმოწყალოდ უსწორდებოდნენ იმათ, ვინც ნარკობარონების წინააღმდეგ გამოსვლას გაბედავდა, დაწყებული როდრიგო ლაპა ბონილიადან — იუსტიციის მინისტრიდან, დამთავრებული რიგით მოთამაშეებამდე. მთელი კოლუმბიური ფეხბურთი კორუფციის ბუდედ გადაიქცა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ როდრიგეს გაჩამ თავის კლუბ „მილიონარიოსისთვის“ ეროვნული პროფესიული ლიგისგან ორჯერ იყიდა ჩემპიონის ტიტული.

ამ უწესრიგობაში მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და მენეჯერებს ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა უხდებოდათ. სამაგიეროდ, მათ სარფიან კონტრაქტებს უფორმებდნენ. დანაშაულებრივ სამყაროსთან ნაცნობობა ზოგიერთი ფეხბურთელისთვის სარისკო საქმე აღმოჩნდა. 1991 წელს რენე იგიტა დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც შუამავლის ფუნქცია იკისრა პატარა ბავშვის მოტაცების საქმეში. საიდუმლო სამსახურებმა აღმოაჩინეს ლეონელ ალვარესის ფოტო, რომელიც ერთ-ერთი კარტელის ბანდის წევრებთან ერთადაა გადაღებული. არც ისე დიდი ხნის წინ დააფიქსირეს სატელეფონო საუბარი ფრანსისკო მატურანასა და როდრიგეს ორეხუელას შორის, რომელიც ახლა პატიმრობაშია.

ამ ინციდენტს მატურანას რეპუტაციისთვის არანაირი ჩრდილი არ მიუყენებია, იგი ხომ კოლუმბიური ფეხბურთის მთავარი შემოქმედია. სწორედ მას უნდა უმადლოდეს წარმატებას ბევრი ახლანდელი ლეგიონერი, რომლებმაც ადრე ჩანგლის ხეირიანად დაჭერაც კი არ იცოდნენ, კბილის ჯაგრისი კი თვალითაც არ ენახათ. მისი დამსახურებაა 1990 და 1994 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე კოლუმბიის ასპარეზობაც.

ბოლო ორი წლის განმავლობაში კოლუმბიის ლიგის გუნდებს ახალი თავკაცები გამოუჩნდნენ — როგორიცაა, მაგალითად, „სანტა ფეს“ ენერგიული პრეზიდენტი სამუელ კალდერონი — რომლებმაც ნარკობიზნესის ფეხბურთში ნაწილობრივ ბატონობა მაინც აღკვეთეს. ყველაფერი წესრიგში, რა თქმა უნდა, არც ახლაა: ამას წინათ ბარანკილიას „ხუნიორის“ უმდიდრეს პრეზიდენტ ფუად შარის ამერიკის შეერთებული შტატების ვიზა არ მისცეს. „მილიონარიოსი“, 1989 წელს მოკლული „ელ მეხიკანოს“ გუნდი, ახლა მისი ცოლ-შვილის ხელშია. საყოველთაოდ ცნობილ ფირმა “პარმალატს“ კლუბის შეძენა უნდოდა, მაგრამ ამ წამოწყებაზე უარის თქმა მოუხდა. რაც შეეხება კალის „ამერიკას“, მისი მფლობელები, ძმები როდრიგესები ციხეში არიან, მაგრამ გუნდს ახლა მათი ოჯახები პატრონობენ.

ჰოდა, რაღა გასაკვირი იყო ანდრეს ესკობარის ამბავი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო მედელინის ერთ-ერთ ბართან დაცხრილეს. ანდრესი მშობლიურ ქალაქში ძალიან უყვარდათ და კარგი თამაშის გამო „კაბიდადი“ — ხარისხი ერქვა მეტსახელად. ფეხბურთელის კუბოს 130 ათასი კაცი მიჰყვებოდა ხელში წითელი მიხაკებითა და თეთრი ცხვირსახოცებით, მშვიდობის მოთხოვნის ნიშნად.

კოლუმბიაში ძალიან უნდათ, რომ ამ ყოველივეს რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო, მაგრამ ვითარება კვლავაც მძიმეა. მაისის ბოლოს მთელი ქვეყანა შეძრა ერთ-ერთი სამხრეთული პროვინციის პატარა დაბის მერის მონათხრობმა. ამ მხარეში მოდებულმა ყაჩაღებმა რამდენიმე გლეხი მძევლად აიყვანეს. ერთ მათგანს დამორჩილებაზე უარი უთქვამს, რის გამოც მისთვის თავი მოუჭრიათ, მერე კი ამ უცნაური ბურთით ფეხბურთი უთამაშიათ. მართლაც ცოტათი ძნელია უკეთესი მომავლის იმედი გქონდეს, როდესაც ასეთი „ფეხბურთის მოყვარულები“ გვყავს ბლომად.

**ავთანდილ სვანიძე**



და მაინც, ცხოვრება გრძელდება

კოლუმბიაში სიხასტიკე ისტორიისა და, შესაბამისად, ფეხბურთის განუყრელი ნაწილია. 1993 წლის 7 სექტემბერს 70 კაცი დაიღუპა და 1 500 კაცი დაიჭრა — კოლუმბია არგენტინაზე საარაკო გამარჯვებასა (5:0) და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას ზეიმობდა.

1989 წლის 15 ნოემბერი: მსაჯი ალვარო ორტეგა სტადიონიდან გამოსვლისას მოკლეს, რადგანაც მედელინის „ინდეპენდიენტეს“ გოლი არ ჩაუთვალა და კალის „ამერიკას“ გაამარჯვებინა 3:2. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი ორივე მხარეს ჰყავდა მოქრთამული.

1990 წლის 24 იანვარი: დაჭრეს გერმან გომეს გარსია — ბოგოტის „მილიონარიოსის“ პრეზიდენტი. იგი ორი დღის შემდეგ გადადგა და ეს ორი სიტყვით ახსნა: „გაფრთხილება მიღებულია“.

1991 წლის 4 ოქტომბერი: ბარანკილიას „ხუნიორის“ პრეზიდენტი ანტონიო ფუად შარი თავდასხმას ცოცხალი კი გადაურჩა, მაგრამ რამდენიმე ტყვია მოარტყეს.

1992 წლის 21 ივნისი: „მილიონარიოსის“ პრეზიდენტი გილერმო გომეს მელგარო დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში მოკლეს.

1992 წლის 26 აგვისტო: რადიოს კონტატორი ლუის ფერნანდო მუნიერა, რომელიც მედელინის „ატლეტიკო ნასიონალს“ აქებდა ხოლმე გადაჭარბებით, ერთ-ერთი მატჩის შემდეგ დაჭრეს.

1993 წლის 24 აპრილი: ომარ დარიო „ტორიტო“ კანასი — მედელინის „ნასიონალისა“ და კოლუმბიის ნაკრების მოთამაშე საკუთარ სახლში მოკლეს.

1994 წლის 2 ივნისი: ანდრეს ესკობარი — კოლუმბიის ნაკრებისა და მედელინის „ნასიონალის“ ლიბერო ბარ-დისკოთეკის შესასვლელთან მოკლეს. მანამდე მკვლელებმა ირონიულად მიულოცეს საკუთარ კარებში გოლის გატანა.

1996 წლის 28 დეკემბერი: რენე იგიტას სახლში ბომბი აფეთქდა. მეკარე მცირე ტრავმებით გადარჩა.

1996 წლის 30 დეკემბერი: ციხიდან გამოსვლისას მოკლეს „ნასიონალის“ ყოფილი მოთამაშე ფელიპე პერესი.

1997 წლის 30 ივნისი: უიღბლო იგიტას სახლს კიდევ ერთხელ აფეთქებენ.



რენე იგიტას არა მარტო მოედანზე ებრძვიან

# რიოში ფეხბურთს ვერსად დაემალები

რას წარმოიდგენს ადამიანი, რიო დე ჟანეიროს რომ უხსენებენ? დაუსრულებელ კარნავალს, ფეხბურთზე გადარეულ მოსახლეობას, პალმებს, მზეს და ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩასაფრებულ ჯიბგირს.

სინამდვილეში ეგრე არ არის. იგივე კარნავალი, როცა მისი დრო დადგება, საგანგებოდ აგებულ „სამადრომზე“ ეწყობა. სადღაა ის დრო, ქალაქის ყველა ქუჩა ზეიმს რომ ჰქონდა დაპყრობილი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოველდღე სულაც არ ქეიფობს, სახლში ზის და TV გლობოს მიერ მირთმეულ ყოველგვარ გადაცემას უცქერს. მზიანი ამინდი არცთუ იშვიათად გულის შემაღონებელი წვიმებით იცვლება, მძარცველებიც პროზაულნი არიან — ფული უნდათ. ფსიქოპატებს ნაკლებად ნახავთ, ბრიტანეთისა და შეერთებული შტატებისგან განსხვავებით. ჩვეულებრივი ხალხი კი კეთილია. რომ უთხრათ, ავტობუსის ფული არ მაქვსო, ამოიღებენ და მოგცემენ. შეიძლება საკრედიტო ბარათიც გათხოვონ.

აი, ფეხბურთი კი ცოცხლობს. წაბრძანდით „მარაკანაზე“ ძლიერი დერბის დროს და დარწმუნებით. ხალხი ორი საათით ადრე ტრიბუნაზეა. ტორსიდა დახტის, ლამისაა ნაგებობა ჩაანგრიოს, ირგვლივ მაშხალები ანთია. ფეხბურთის მოძულეებმაც კი იციან, რომ იმ დღეს თამაშია.

ბარები ადრიდანვე იჭედება. ქუჩებში უამრავი მანქანიდან გადმოყოფილ დროშებს ჰკიდებთ თვალს. რომ სცადოთ სახლში დარჩენა და ტელევიზორის სულ სხვა არხზე გადართვა, მაინც გაიგებთ, ვინ მოიგო. ბოლოს და ბოლოს, ვიწრო ქუჩები მოგიტანენ ამბავს.

მაგრამ ეს, რაც აღვწერეთ, დიდ თამაშებზე ხდება. პატარა თამაშები პატარა სტადიონებზე იმართება, საღამოს ათის ნახევარზე. ტრიბუნები ცარიელია და ფეხბურთელებიც ისე იქცევიან, თითქოს შინ სხედან და ტელესერიალს უცქერენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ბრაზილიელები ცვალებადი ხასიათის ხალხია. ისინი ზედმეტად თავს არ შეიწუხებენ და ინგლისელებივით, შუა კვირის ყოვლად უაზრო თამაშზე, თავის საყვარელ გუნდს სტუმრად არ გაჰყვებიან. ისინი არც საშუალო გუნდს დაუჭერენ მხარს. 20 წელიწადში ერთხელ მოგებული ჯილდო არაფრად სჭირდებათ. „ვესტ ჰემის“ ნაირი გუნდების, მაგალითად, „ბანგუს“ ან „ამერიკას“ თამაშს ძალიან კარგ ამინდში, დიდი-დიდი, ორი-სამი ათასი კაცი დაესწროს.

სხვა ამბავია „ფლამენგო“, „ფლუმინენსე“, „ბოტაფოგო“ და „ვასკუ და გამა“. მათ სოფლებშიც კი ქომაგობენ. ტრადიცია ასეთია: „ფლამენგო“ ღარიბებს უყვართ, „ფლუმინენსე“ მაღალი საზოგადოების გუნდია, „ვასკუ და გამას“ კი პორტუგალიელთა ჩამომავლები ქომაგობენ, თუმცა ისინი დროთა განმავლობაში ბრაზილიელთა ძირითად მასას ერევიან და ქრებიან. დიდი ოთხეული რიოს პირველობასა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს. მათ შემდეგ მოდიან „ბანგუ“ და „ამერიკა“ — ქალაქის ჩემპიონატისა და ქვეყნის, უფრო ხშირად მეორე ლიგის წარმომადგენელნი. მათ გარდა შემოგარენის პატარა სტადიონიანი პატარა გუნდებიც არსებობენ, მაგალითად: „მადურეირა“, „ოლარია“, „სან კრისტოვაუ“ და „კამპო გრანდე“. ისინიც რიოს პირველობაზე მონაწილეობენ, პროფესიული კლუბებიც არიან, მაგრამ მათი ფეხბურთელები ორას-სამას დოლარს იღებენ და ხშირად სხვაგანაც მუშაობენ, ოჯახები რომ შეინარჩუნონ.

ეს კლუბები, როგორც წესი, დიდი გუნდების მომმარაგებლები არიან. თუ მათთან ვინმე ფეხბურთელი თავს გამოიჩენს, ხელად მიჰყავთ. ბოლო 20 წელიწადში გარეუბანთა კლუბები ყოველმხრივ ჩამორჩნენ რიო დე ჟანეიროს შტატის პატარა ქალაქების კლუბებს, რომელთაც, როგორც წესი, სახელის განთქმის მიზნით ადგილობრივი ბიზნესმენები აფინანსებენ.

ასეთთა შორის ყველაზე გამოჩენილნი „ვოლტა რედონდა“ და „ამერიკანო“ არიან. მათ გარდა შეიძლება „ფრიბურჟენსეს“, „კაბოფრიენსეს“ და „ენტრერიენსეს“ დასახელებაც.

„ვოლტა რედონდა“ საძაგელი, მეტალურგიული ქალაქის გუნდია. ქალაქსაც ვოლტა რედონდა ჰქვია. ის რიოდან 90 კილომეტრშია.

„ამერიკანო“ კი რიოდან 150 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კამპოსს ეკუთვნის. სწორედ აქ იყო ორი წლის წინ თამაშების ჩაწყობის ცენტრი. შემდეგ დიდი სკანდალი მოხდა, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

**გიგა ძოწახიძე**

# სპორტული ლატარია "CROCO"

## გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — ვოლფსბურგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| შალკე — ჰამბურგი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| კიოლნი — ბაიერნი | 4,0 | 2,8 | 1,7 |
| არმინია — ლევერკუზენი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ვერდერი — დორტმუნდი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| ჰანზა — ჰერტა | 1,5 | 3,1 | 4,7 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — მიონხენგლადბახი | 1,25 | 3,6 | 7,0 |

## გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცვიკაუ — ფორტუნა | 2,0 | 2,7 | 3,0 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — კიკერსი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| უნტერჰახინგი — კოტბუსი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| მეპენი — ნიურნბერგი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| მაინცი — დიუსელდორფი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| გიუტერსლოო — კარლ ცაისი | 1,6 | 3,1 | 4,0 |

22 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ფრაიბურგი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — დერბი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ბოლტონი — მანჩესტერი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ევერტონი — ბარნსლი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ვესტ ჰემი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ლიდსი — ლესტერი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| ტოტენჰემი — ბლექბერნი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| უიმბლდონი — კრისტალ პალასი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| შეფილდი — ქოვენთრი | 1,4 | 3,1 | 5,6 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,0 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VIII ტური

22 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — ასტონ ვილა | 1,4 | 3,1 | 5,6 |

## ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VIII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — ბრედფორდი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ქრიუ — ქუინზ პარკი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| იფსვიჩი — სტოკი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| სიტი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| მიდლსბრო — ბირმინგემი | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ნოტინგემი — პორტსმუთი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოქსფორდი — შეფილდი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| პორტ ვეილი — ბერი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სტოკპორტი — ჰადერსფილდი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| სანდერლენდი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ტრანმერი — რედინგი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ვესტ ბრომი — სვინდონი | 1,5 | 3,2 | 4,4 |

## საფრანგეთის ჩემპიონატი. VIII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გინგამი — ნანტი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| სტრასბური — ბორდო | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| მარსელი — შატორუ | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| კანი — რენი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ლე ავრი — პსჟ | 3,8 | 3,2 | 1,6 |
| ლანსი — ტულუზი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ოსერი — ლიონი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — მეცი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| მონპელიე — მონაკო | 1,8 | 2,8 | 3,4 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია A. III ტური

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — სამპდორია | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ბარი — ბოლონია | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ემპოლი — ლაციო | 2,9 | 3,0 | 1,9 |
| ინტერი — ფიორენტინა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| იუვენტუსი — ბრეშია | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| პიაჩენცა — პარმა | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| რომა — ლეჩე | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| უდინეზე — მილანი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ვიჩენცა — ნაპოლი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IV ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვენეცია — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,0 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ფ. ანდრია | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ფოჯა — რეჯინა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ჯენოა — კიევო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ლუკეზე — პადოვა | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| პესკარა — ტორინო | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| რავენა — ანკონა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სალერნიტანა — რეჯანა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ტრევიზო — მონცა | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ვერონა — კალიარი | 2,0 | 2,7 | 3,0 |

## პორტუგალიის ჩემპიონატი. IV ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რიუ ავე — ბენფიკა | 5,0 | 3,3 | 1,4 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამადორა — ბელენენსეში | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ლეცა — პორტუ | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| კამპომაიორენსე — ვარზიმი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სეტუბალი — მარიტიმუ | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| აკადემიკა — სალგეიროში | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| სპორტინგი — ბოავიშტა | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ბრაგა — გიმარაეში | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ფარენსე — შავეში | 1,3 | 3,4 | 6,5 |

## რუსეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო —როტორი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ლოკომოტივი — ტორპედო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ბალტიკა — ჩერნომორეცი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| ნოვგოროდი — შინიკი | 2,1 | 2,7 | 2,7 |
| კრილია — კამაზი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ზენიტი — ცსკა | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| როსტსელმაში — სპარტაკი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ტიუმენი — ალანია | 2,5 | 3,0 | 2,1 |
| ფაკელი — ჟემჩუჟინა | 2,3 | 2,9 | 2,3 |

## ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — სპარტა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ტილბურგი — ვოლენდამი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ტვენტე — მაასტრიხტი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალვაიკი — უტრეხტი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ნაიმეგენი — აიაქსი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ფეიენოორდი — ბრედა | 1,15 | 4,4 | 9,0 |
| გრონინგენი — ვიტესი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| როდა — ჰერენვენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

## ბელგიის ჩემპიონატი. VI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტერლოო — ანტვერპენი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| ლოკერენი — გენტი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ეკერენი — შარლერუა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ლომელი — გენკი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სტ. ტრიუდენი — ლიერსი | 2,5 | 2,8 | 2,2 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — მოლენბეკი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ჰარელბეკი — ბევერენი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ალსტი — სტანდარდი | 1,9 | 3,0 | 2,9 |

## ავსტრიის ჩემპიონატი. XII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუსტენაუ — გრაცერი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| რიდი — ლინცერი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ადმირა — რაპიდი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| აუსტრია — ზალცბურგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტურმი — ტიროლი | 1,3 | 3,4 | 6,5 |

## შვეიცარიის ჩემპიონატი. XI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრინსი — ქსამაქსი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ლოზანა — არაუ | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სიონი — სტ. გალენი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ციურიხი — გრასჰოპერი | 3,8 | 3,2 | 1,6 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარუჟი — სერვეტი | 4,4 | 3,2 | 1,5 |

## შოტლანდიის ჩემპიონატი. VI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — აბერდინი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| მოზერველი — ჰიბერნიანი | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| სტ. ჯონსტონი — რეინჯერსი | 7,0 | 4,2 | 1,2 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — კილმარნოკი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

## თურქეთის ჩემპიონატი. VII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — ისტანბულსფორი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| გენჩლერბირლიგი — ტრაბზონსფორი | 4,4 | 3,2 | 1,5 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — გალათასარაი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| დარდანელსფორი — ბურსასფორი | 3,1 | 3,1 | 1,8 |

# CROCO-2

## ტირაჟი №64

1. არმინია — ლევერკუზენი
2. ვესტ ჰემი — ნიუკასლი
3. ჩელსი — არსენალი
4. ტოტენჰემი — ბლექბერნი
5. ბასტია — მეცი
6. ატალანტა — სამპდორია
7. უდინეზე — მილანი
8. ლოკომოტივი — ტორპედო

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფინალში უნდა ვითამაშოთ!

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები 22 სექტემბრიდან სეზონში პირველად შეიკრიბება ბესიკ ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე, რომელიც ნოემბერში დაიწყება, არც ისე ბევრი დრო დარჩა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი იტალიის, თურქეთის, ლატვიის, ჩეხეთისა და შვედეთის გუნდებთან ერთად იასპარეზებს. ნაკრების მომავალი გეგმების თაობაზე **ბესიკ ლიპარტელიანმა** ეს გვითხრა:

— ჩვენი ამოცანა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა, უკვე საკმაო გამოცდილება შევიძინეთ და, ჩემი აზრით, შეგვიძლია, ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვითამაშოთ. საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. პირველ შეკრებაზე, ჯერჯერობით, თბილისში დარჩენილი ნაკრების წევრები იქნებიან. შარშანდელ მოთამაშეებთან ერთად მოვიწვიეთ რუსთაველები — ვლადიმერ ბოისა და რამაზ გოგობერიშვილი. ნოემბრამდე დარჩენილ დროში კი ოპტიმალური შემადგენლობაც დადგინდება.

## სახელმწიფო უნივერსიტეტი მოღონიერდა

შარშანდელ სეზონში დავით ალმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტელთა გუნდის წარმატებულმა თამაშმა, ალბათ, სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის მესვეურებზეც იმოქმედა. უნივერსიტეტმა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში პირველობისთვის ბრძოლა არ იკმარა და წელს მეტად სერიოზული გეგმებით ჩაებმება ეროვნულ ჩემპიონატში. უკვე ცნობილია, რომ ამ გუნდში სათამაშოდ გადავიდნენ დინამოელები — არჩილ ქლენტი, შალვა ცხვედიანი, ვასილ ოთიურიძე და ირაკლი ხოშტარია. თსუ-ში ითამაშებს „ჩხიროც“ — საქართველოს ნაკრების წევრი, ყოფილი ვითელი რეზო ჩხეიძე.

# ნაცვლიშვილმა ბულგარელები ახეირა, ქარაბაქმა — ფინელები



ნაცვლიშვილისთვის მეტოქის კალათის ამოვსება ჩვეული ამბავია

ჩვენი კალათბურთის იმედებმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა და ლევან ქარაბაკმა უცხოეთის გუნდებს მიაშურეს.

ნაცვლიშვილით, მოგეხსენებათ, თელ ავივის „მაკაბი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ ბულგარეთში შესანიშნავი თამაშის შემდეგ ვატოს ქალაქ ვარნის „ჩერნომორეცმაც“ დაადგა თვალი. ნაცვლიშვილისთვის ბულგარელთაგან შეთავაზებული ვარიანტი უფრო მისაღები აღმოჩნდა და ვარნის გუნდში გადავიდა. ვატოს დებიუტი მეტად შთამბეჭდავი გამოდგა: კორაჩის თასზე იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში ნაცვლიშვილმა თავის ახალ გუნდს 37 ქულა მოუტანა და 26 ქულით გაამარჯვებინა.

ლევან ქარაბაკი, რომელსაც საბერძნეთის პაოკ-თან ჰქონდა მოლაპარაკება, სამხრეთის ნაცვლად ჩრდილოეთში, ფინეთის ქალაქ კოპიაში აღმოჩნდა. პირველი თამაში ქვეყნის თასის ფინალს დაემთხვა. ლევანმა თავის გუნდს 26 ქულა შესძინა და თასი მოაპოვებინა!

**ძოტე მგალოგლიშვილი**



ქარაბაკმა საქართველოს ჩემპიონობას ფინეთის თასიც დაურთო



# დღემდე უთქმელი ამბავი

*სხვისა რა მოვახსენოთ და, სპორტის ფასი და ყადრი ნაღდად იცის ქართველმა კაცმა. ღვთის მადლით, ქართველი სპორტსმენები არანაირ ტიტულს არ მოისაკლისებენ და სხვა რა დაგვრჩენია, უკეთესი მომავლის იმედით გარდასულ დიდებას შევხარით. ქართული სპორტის წარმატებაში ტანმოვარჯიშეებმა დიდი წილი დაიდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ოლიმპიური ჩემპიონები რად ღირან. ძნელია მათგან ვინმეს გამორჩევა, მით უმეტეს, ტიტულოვანთაგან, რომელთაც ქართული სპორტის სადიდებლად არაფერი დაიშურეს, მაგრამ მაინც იყვნენ რჩეულნი და გამორჩეულნი, ზოგნი — ტიტულით, ზოგი პირადი ღირსებებით...*

*პაატა შამუგია არავის ჰგავდა. გამიგონია — პაატა ტანმოვარჯიშე რომ არ ყოფილიყო, ნებისმიერ საქმეში არანაკლებ წარმატებას მიაღწევდაო. ტიტულიც სხვათაგან გამორჩეული აქვს — პაატა არც ოლიმპიური ჩემპიონია, არც მსოფლიოსი და არც ევროპისა, ეგ არის, მხოლოდ მსოფლიო თასი მოიგო, მაგრამ საქმე სწორედ ეს თასია. პაატა ერთადერთი ქართველი ტანმოვარჯიშეა, რომელიც პირად პირველობაში ესოდენ მაღალ ტიტულს შესწვდა. დანარჩენ ქართველ ტანმოვარჯიშეებს კი ოლიმპიური თუ მსოფლიოს ჩემპიონობა მხოლოდ საბჭოთა გუნდებთან თუ მოუგიათ. ისიც ხშირად მსმენია — პაატა შამუგია დამარცხებული ხშირად გვინახავს, რა დასამალია, ზოგიერთ იარაღზე ვარჯიში ხშირადაც წაუგია, მაგრამ მისებრი მხტომელი სადღეხოდაც კი სანთლით საძებარიაო. არა, საქართველოს ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს არ ვგულისხმობ — მსოფლიოს სატანვარჯიშო სამყაროზე მოგახსენებთ. უშეღავთესი სილამაზის ილეთებს ასრულებდა პაატა შამუგია, იქნებ ზოგჯერ ტექნიკურად ხარვეზებიანს, მაგრამ გამგები გაიგებს — სილამაზე ხომ მარტო ქულებით არ ფასდება, თუნდაც სპორტულ ტანვარჯიშში. ამიტომაც არის, პაატა შამუგია ქართულ ტანვარჯიშს არა მარტო თავისი განსაკუთრებული ტიტულით რომ შემორჩა, არამედ მხოლოდ მისთვის ჩვეული ხელწერითა და გამორჩეული ოსტატობით.*

*პაატა შამუგიას დევნას არაერთი დღე შევწირე, ვერ მოვიხელთე და ის იყო, ხელი ჩავიქნიე, სამომავლოდ მოვინახულებ-მეთქი, რომ ტანვარჯიშის ფედერაციის დარბაზში შემთხვევით შევხვდი. ზუსტად ისეთივე უბრალო და უპრეტენზიო აღმოჩნდა, როგორსაც დაუსწრებლად ვიცნობდი. არც ინტერვიუზე გამოუღია თავპატიჟი.*

**— ტანვარჯიშის ჭეშმარიტ გულშემატკივარს, რა თქმა უნდა, მოენატრეთ. რა ხანია, სპორტს ჩამოსცილდით და რატომღაც დღემდე არავის გახსენებიხართ. არადა, ბევრმა იქნებ არც იცის, რომ ქართველ ტანმოვარჯიშეთაგან განსაკუთრებული წოდებით გამოირჩევით. მოდით, საუბარიც აქედან დავიწყოთ და 1975 წლის ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო თასის გათამაშება გავიხსენოთ.**

— განსაკუთრებული ტიტულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ 1975 წელს მსოფლიოს თასი მართლაც მოვიგე. ეს ინგლისში მოხდა, ლონდონში. ეს ტურნირი იმით იყო გამორჩეული, რომ მაშინ პირველად ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება. ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, საამაყო იყო, რომ ამ ახალი, დიდი ტურნირის პირველ გამარჯვებულებში მოვხვდი და იმ ხუთ ტანმოვარჯიშეს შევუერთდი, ვინც სათავე დაუდო ამ დიდ ტრადიციას.

**— მსმენია, პაატა შამუგია იმდენად დიდი ტალანტი იყო, რეჟიმის დაუცველად, ნახევარი ძალით ვარჯიშით იგებდა დიდ შეჯიბრებებსო...**

— არა, რეჟიმს ყოველთვის ვიცავდი. დისციპლინის და ვარჯიშის მოყვარული ვიყავი, ალბათ, ნიჭიც არ მაკლდა და წარმატებებსაც ვაღწევდი. სხვამ რა გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ 1975-79 წლებში 15-ჯერ ვიყავი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი, მაშინდელ ხალხთა სპარტაკიადებს ხშირად ვიგებდი და არც ევროპულ და მსოფლიოს მასშტაბის ტურნირებზე დავრჩენილვარ ხელმოცარული.



პაატა შამუგიას ახალგაზრდობის წლები

**— როცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე იყავით, არაერთმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატმა ჩაიარა უთქვენოდ. არც ყველა სპორტსმენის სანატრელ ოლიმპიადაზე მოგიწიათ ასპარეზობამ. რატომ?**

— ეს გრძელი ისტორიაა და თუ თავს არ მოგაბეზრებთ, გიამბობთ. მით უმეტეს, დღემდე ეს საქვეყნოდ არ მითქვამს და, ალბათ, ტანვარჯიშის ქომაგთაც აინტერესებთ.

1975 წელს, იცით, მსოფლიო თასი მოვიგე, ამას ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობა და მრავალი საერთაშორისო ტურნირის მედლები მივამატე. შესანიშნავ ფორმაში ვიყავი. მსოფლიო თასი რომ მოვიპოვე, ჩემმა თანაგუნდელმა ანდრიანოვმა ინგლისში გამართულ ბანკეტზევე თქვა — დროა, შამუგიას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მისცენო. მეგობარი იყო, გული შესტკიოდა და რაც ემეტებოდა ჩემთვის, თქვა ამ კაცმა. მაშინ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იური ტიტოვი იყო. ისიც, რა თქმა უნდა, ესწრებოდა ლონდონურ ბანკეტს. მან ანდრიანოვის სიტყვა შორს დაიჭირა — შამუგიას ოლიმპიადა წინ აქვს, მოდით, ვაცადოთ, იქაც თავი გამოიჩინოს და დამსახურებული ოსტატობა სად წაუვა, მერე ვუბოძოთო. ერთი მხრივ, მეწყინა, რომ იმდროინდელი საბჭოელი სპორტსმენის უმაღლესი წოდების გარეშე დავრჩი, მაგრამ ტიტოვის სიტყვამ შემაგულიანა, მონრეალის ოლიმპიადაც კარს იყო მომდგარი და თავგამეტებით განვაგრძე ვარჯიში. ამასობაში საბჭოთა კავშირის ნაკრები ავსტრალიაში წავიდა, იქ საჩვენებელ გამოსვლებს ვატარებდით. ავსტრალიაშიც არაერთი ბანკეტი გაგვიმართეს მასპინძლებმა. ერთ-ერთზე ლამის მთელი საბჭოთა დელეგაცია გამოთვრა, შემიძლია დავიფიცო, ჩემს გარდა ყველა ნასვამი იყო. ბანკეტის შემდეგ სასტუმროში ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ლეონიდ არკაევი მოვიდა ჩემთან და აგდებულად დამელაპარაკა. მეწყინა, მაგრამ პირველად გადავყლაპე, არადა, ვიცი, რომ არკაევია შეზარხოშებული და მე — სრულიად ფხიზელი. ჩემმა გარეგნულმა სიმშვიდემ, ეტყობა, მეტად გაალიზიანა და უფრო ხმამაღლა და უფრო შეურაცხმყოფელი ტონით იგივე გამიმეორა. აღარ მეყო მოთმინება, რა მექნა, ის, რაც რუსს ხილად უჩანს, ჩემთვის დედის გინებაა, დედაჩემის აუგად ხსენება კი დღემდე არავისთვის შემირჩენია. არც არკაევი იყო გამონაკლისი. ოსტატ-შეგირდის კვალობაზე, რაც შევძელი იმ წუთას, სამაგიერო გადავუხადე, სიტყვითაც და საქმითაც. ამის შემდეგ ამითვალწუნა და აღარ გამახარა, იმ წელს არც ევროპისა და არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ წამიყვანა. ერთ-ერთი იაპონური ტურნირის წინ კი შარი მომდო — წონაში 300 გრამით მეტი ხარო და ჩემს მაგივრად სხვა, „მსუბუქი წონის“ ტანმოვარჯიშე გაუყენა იაპონიას. სასაცილო არ არის? ზოგჯერ მოჭიდავესა და ძალოსანს პატიობენ 300 გრამს. ზედმეტი წონა და ტანვარჯიში? — ეს რებუსი დღემდე ვერ ამომიხსნია.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ოლიმპიადამდეც თოვედით. ოლიმპიადის წელს 1976-ის აპრილში, მამა დამეღუპა, აღარ მევარჯიშებოდა და ფორმიდან ამოვვარდი. შემდეგ ნაუცბათევი ვარჯიშებით ფორმა, ასე თუ ისე, აღვიდგინე და საბჭოთა კავშირის თასზე ვიასპარეზე. აქ საოლიმპიადო გუნდის წევრები უნდა შეერჩიათ. მე-6 ადგილზე გავედი უვარჯიშებელი. ოლიმპიადაზე 7 კაცი უნდა წასულიყო და თავი ქუდში დავიგულე. ბოლო შეკრება ნაკრების კანდიდატებს მინსკში გვქონდა. გასარკვევი თითქოს აღარაფერი იყო, მაგრამ აქაც საკონტროლო შეხვედრები გაგვიმართეს. ჩემს გარდა ყველა კანდიდატს საკუთარი მსაჯი ჰყავდა. პირველ დღეს მეორე ვიყავი, მაგრამ მეორე დღეს იმდენი ქნეს, მეოთხე ადგილზე ჩამომაგდეს. მეტი ვეღარ შესძლეს, იმდენად კარგ ფორმაში ვიყავი და უკეთ ვასპარეზობდი. რაღა გზა ჰქონდათ, მონრეალში წამიყვანეს, მაგრამ სჯობდა დავრჩენილიყავი. ოლიმპიადის ტანმოვარჯიშეთა ტურნირის წინა დღეს მითხრა არკაევმა, ხვალ შენ არ იასპარეზებ, შენს ნაცვლად საშა კრისინი გამოვაო. რატომ-მეთქი — ვკითხე. რა შენი საქმეა, რასაც მინდა, იმას გავაკეთებო — უხეშად მიპასუხა.

**— ვიცი, ოლიმპიადაზე რომ არ გამოგიყვანეს, ეს არკაევსა და სხვებსაც სანანებლად გაუხდათ.**

— სინანულისა რა გითხრათ, მაგრამ ფაქტია: მონრეალში ჩემპიონები იაპონელები გახდნენ. საბჭოელები თავიდან დიდი უპირატესობით უგებდნენ, მაგრამ შემდეგ ბეჯენით ხტომებში იმდენი ქულა წააგეს იაპონელებთან, რომ დარჩენილ იარაღებზე ვარჯიშით დანაკლისი ვეღარ აინაზღაურეს. არადა, ბეჯენითი ხტომები ჩემი საყვარელი ვარჯიში იყო, ამ სახეობაში ძლიერიც ვიყავი და მიმართლებდა კიდეც. მით უმეტეს, მაშინ ბევრი ვერ შემეძრებოდა. ჩემი ყოფნა ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლიდა გუნდში.

**— კრისინის გარდა, ვინ იყო მაშინდელ საბჭოურ ნაკრებში?**

— ანდრიანოვი, დიტიატინი, მარკელოვი, მარჩენკო და ტიხონოვი. უძლიერესი ბიჭები იყვნენ, მათთან მუდამ იმედიანად ვგრძნობდი თავს.

*პაატა შამუგია სულით და გულით სპორტსმენი იყო. ნიჭი და ტალანტი უხვად ჰქონდა, მაგრამ რაც ეკუთვნოდა, იმის ნახევარიც არ ერგო, უფრო სწორად, არ არგუნეს. დღეს ბევრი უჩივის სპორტის მაშინდელ რუს ჩინოვნიკთა შოვინისტურ გამოხდომებს, ბევრ არარუსს ეროვნების გამო მოსაგები დაურჩა უამრავი ტიტული და მედალი, არადა, ნაკლებ ნიჭიერი სპორტსმენები ამაოდ ეპოტინებოდნენ მათს მოსაგებს. თუ ვინმე დაჩაგრულა საბჭოური სპორტის უკუღმართი პოლიტიკით, ერთ-ერთი პაატა შამუგიაც იყო — უნიჭიერესი, შრომისმოყვარე ტანმოვარჯიშე, ზოგთათვის ახირებული და ქედმოუხრელი ქართველი. ასეთად დარჩა ბოლომდე, ასე გაუტეხელმა, სხვათათვის სახვეწარი რომ არ ჰქონია, მიატოვა სპორტი და რასაც თავისი უბადლო ოსტატობითა და ჟინიანი ხასიათით მიაღწია, ის იკმარა. სულით და გულით სპორტსმენი იყო-მეთქი, მოგახსენეთ. ერთ ამბავსაც გეტყვით და თუ ასე არ არის, თავად განსაჯეთ.*

*პაატა შამუგიამ მსოფლიო თასი რომ მოიგო, მასპინძლებმა, ინგლისელებმა გულუხვობა გამოიჩინეს და გამარჯვებულ ტანმოვარჯიშეთა დაჯილდოება განიზრახეს. თანაც, სპორტსმენებს უფლება მისცეს, საჩუქარი თავად აერჩიათ. ბევრმა გულხარბმა საბჭოელმა თუ უცხოელმა შეირცხვინა თავი, მაგრამ შინ მშვენიერი ნოშათით დაბრუნდა. რიდი და მოკრძალება იმ მომენტში ყველამ დაივიწყა. პაატა შამუგიას ჯერიც დადგა და ინგლისელებმაც ჰკითხეს, შენ რას ირჩევო, არჩევანი კი დიდი იყო... ბევრს ახლაც არ სჯერა, მაგრამ ასეა: პაატამ ჩემპიონატის მასპინძლებს ის სახტომი „ბოვი“ სთხოვა, რომლითაც წინა დღეს მსოფლიო თასი მოიგო. თვალებგაფართოებული ცივსისხლიანები გაოცებით შეაჩერდნენ ერთმანეთს და პაატას კითხვა გაუმეორეს — საჩუქრად რა გსურსო. შამუგიამ მათ კვლავ „ჩემპიონი ბოვი“ სთხოვა. ინგლისელებსაც რაღა დარჩენოდათ, გამოატანეს თბილისში ნარჩევი საჩუქარი. ის „ბოვი“ დღესაც დგას სანაპიროზე ტანვარჯიშის დარბაზში, როგორც სიმბოლო ქართველი სპორტსმენის დიდი გამარჯვებისა.*

**— ხტომები თქვენი საყვარელი სახეობა იყო, მაგრამ, ალბათ, ყველა იარაღს ერთნაირად ვერ ფლობდით...**

— ძელზე და ტაიჭზე ვარჯიში ნაკლებად მემარჯვებოდა და ამის გამო ბევრიც დამიკარგავს, მაგრამ არც ისე უნუგეშოდ მიჭირდა ამ იარაღებზე. უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ასეა: ძელზეც და ტაიჭზეც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიყავი თავის დროზე.

**— ყოფილ მეტოქეთაგან ვის გამოარჩევდით?**

— საბჭოელ ტანმოვარჯიშეებზე აღარ მოგახსენებთ. მათზე ვთქვი უკვე. ზოგჯერ მეტოქენი ვიყავით, ზოგჯერ თანაგუნდელები. უცხოელთაგან ჩემს დროს იაპონელები გამოირჩეოდნენ, ეს ის გუნდი იყო, სადაც ცუკახარა და კასამაცუ ბრწყინავდნენ. უნგრელი მადიარი და გერმანელი ჰაიგნერიც დიდი სპორტსმენები იყვნენ. დიდი ბრძოლები გადაგვიხდია ერთად, ხან მე ვიმარჯვებდი, ხანაც ისინი. სხვათა შორის, ჰაიგნერი რუსულად კარგად ლაპარაკობდა და დავმეგობრდით კიდეც. ბოლოხანს აღარ მქონია მასთან ურთიერთობა, მაგრამ გერმანიაში როცა მოვხვდები, აუცილებლად შევეხმიანები.

**— გამორჩეული ტანმოვარჯიშე თუ გყავთ?**

— ვინც ჩემზე უკეთესი იყო, ყველა კერპად მიმაჩნდა, ყველა დიდ ტანმოვარჯიშეს ვეთაყვანებოდი, მაგრამ დრო გავიდა, ზოგ მათგანს ჩემს თვალში დიდება მოაკლდა, ზოგს ხიბლი დაეკარგა და მეხსიერებას გაუხუნრად მხოლოდ იური ბოგუსი, ნოდარ მაკალათია და იური ნინოშვილი შემორჩნენ.

**— სადღეისოდ რა გაკავშირებთ ტანვარჯიშთან?**

— ისევ ძველებური სითბო და სიყვარული. ჩემს მეგობართა უმეტესობა ტანმოვარჯიშეა. შინაურ ტურნირებსაც ხშირად ვესწრები, ზოგჯერ, როცა საქმისგან ვიცლი, საქართველოს ჩემპიონატებსაც ვმსაჯობ.

**— რა საქმეა ასეთი?**

— ბიზნესს მოვკიდე ხელი, ჯერჯერობით ჩემი საქმიანობა, ასე ვთქვათ, წვრილი ბიზნესია.

**— მწვრთნელობა ხომ არ გიცდიათ?**

— არა. საქართველოში ტანვარჯიშისთვის პირობები არ არის. მიკვირს, როგორ მუშაობს ზოგიერთი თვეში 12 ლარად. ან როგორ გინდა, ბავშვი დღეში 3-4-ჯერ ავარჯიშო, როცა იცი, რომ დაკარგულ ენერგიას ვერ აინაზღაურებს. ტანვარჯიშს ჯოჯოხეთური შრომა სჭირდება — მწვრთნელსაც და შეგირდსაც, უამისოდ შედეგი არ იქნება. ამიტომ, ვიდრე მეტნაკლებად არ გამოსწორდება სიტუაცია, მწვრთნელობაზე არ ვფიქრობ. ისე, ჩემი დიდი ხნის ოცნება ნორმალურ პირობებში ბავშვებთან მუშაობაა. ბოლოს და ბოლოს, თუ რამე ვიცი და დღემდე ყველაზე უკეთ მეხერხება, ეს ტანვარჯიშია.

**— სპორტული ტანვარჯიშის ქომაგები ილია გიორგაძისა და ალეკო თვაურის იმედად არიან. ხომ არ ცდებიან?**

— ილიაც და ალეკოც ნიჭიერი ბიჭები არიან. ქომაგთა დარად, მეც მათი მეიმედება. რაც შეუძლიათ, აკეთებენ. მეტის მიღწევაც ძალუძთ, ოღონდ ხელშეწყობა და პატრონობა სჭირდებათ. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს ტელეეკრანიდან ვადევნე თვალი, ასე თუ ისე, გარკვეული წარმოდგენა მაქვს მის დონეზე და დარწმუნებით ვამბობ, ილია გიორგაძეს შვეიცარიაში რომ ესპარეზა, უმედლოდ არ დაბრუნდებოდა, ერთ ვარჯიშში მაინც ისახელებდა თავს. სხვათა შორის, ჩემი არ იყოს, ილია გიორგაძეც საუცხოოდ ხტება.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ხახალეიშვილი კინაღამ ხოხლოვი გახადეს...

ქუთაისში ხმა დაირხა: დავით ხახალეიშვილი თბილისში, ოქტომბერში, სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთის სახელით გამოვაო...

საერთო რეაქცია: ვააა...

ეს რომ ჭორი იყო, ამაში ეჭვი ოდნავაც არ შემპარვია — დათოს ხასიათი ვიცი, მაგრამ ისეთი ხალხი მიმტკიცებდა, ჭკუა რომ მოეკითხებათ. ჰოდა, ვერ მოვისვენე...



ხახალეიშვილებს სახლში ვერ დაუკავშირდებით. ტელეფონი კი აქვთ, მაგრამ ორი წელიწადია არ მუშაობს. ამიტომ დათოს მწვრთნელს ომარ მერაბიშვილს მივაკითხე. ვასილიჩმა, ხახალეიშვილი თბილისში რომ მართლაც იჭიდავებს, ვიცი, ეგ ხმები კი მეც გავიგე, მაგრამ ვერაფრით დავიჯერებ. ორი კვირის წინ მითხრა, მოსკოვში უნდა წავიდე, რამდენიმე დღეში დავბრუნდებიო. მერე დათოს ძმას ლევანს მივადექი სამსახურში. მხრები აიჩეჩა: ეგ ამბავი პირველად თქვენგან მესმის. ისე, ერთი კვირის წინ შემომითვალა, სამბისტის სამოსი გამომიგზავნეო და მეც შევუსრულე დავალებაო... გაურკვევლობისგან ისევ ლევანმა მიხსნა — დათოს მოსკოვური ტელეფონი გამანდო. არ დამიხანებია, უმალ დავურეკე. არ მეგონა, თუ მოვიხელთებდი, მაგრამ გამიმართლა: ყურმილი დათომ აიღო.

მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ნელ-ნელა შევაპარე:

**— დათო, მოსკოვში რას აკეთებ?**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე საჭიდაოდ ვემზადები.

**— რაღა მოსკოვში?**

— აქ მეგობრების მოსანახულებლად ვიყავი ჩამოსული ორიოდე დღით, მათ კი მირჩიეს, ბარემ დარჩი და ივარჯიშეო.

**— მერე და ვარჯიშობ?**

— ვვარჯიშობ. „დინამოს" სპორტკომპლექსში დავდივარ. იქ ყველა პირობა მაქვს ნორმალური მომზადებისთვის.

**— ერთს გკითხავ, ოღონდ, არ გეწყინოს...**

— ცუდი ხომ არაფერია?

**— როგორ გითხრა... ჩვენთან ამბობენ, დათო თბილისში რუსეთის სახელით იჭიდავებსო. არავის გვჯერა, მაგრამ...**

— რაო? ეგღა მაკლია. ერთი ვიცოდე, ვის მოაფიქრდა...

**— კარგი, კარგი, ყველას დავამშვიდებ. ესაც მითხარი, ძიუდოს თუ...** (აქ რესპოდენტმა სიტყვა გამაწყვეტინა).

— მოდი, მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ჯერ ამ საქმეს უნდა მივხედო.

**— რა საქმეს?**

— თბილისში უნდა გავაორო, კიდევ ერთხელ უნდა გავხდე მსოფლიოს ჩემპიონი.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოს. შინ როდის ჩამოდიხარ?**

— ალბათ, თვის ბოლოს.

**— მოკლედ, ყველაფერი რიგზეა.**

— ჰო, ეგრეა.

ყურმილი გულდამშვიდებულმა დავდე. საჯაროდ გაცხადება არ მინდოდა, მაგრამ მაინც გეტყვით. სპორტულ ფორმასთან ერთად ბარსელონის ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ხახალეიშვილს ახლობლებისთვის ორასიოდე დოლარის გაგზავნაც შემოუთვლია. არა, მოსკოვში დათო დიდ პატივშია, მაგრამ სულ მეგობრების კისერზე ხომ არ იქნება...

არადა, 200 დოლარი რა ფულია? ისიც მოსკოვში...

**იუზა ძაძიტაძე**



# მედლები გაისად იყოს!

**პოლონეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების გამოსვლას, ყოველგვარი ყოყმანისა და მობოდიშების გარეშე, მარცხიანი და წარუმატებელი უნდა ეწოდოს. ამას არც ჭიდაობის ფედერაციისა და ნაკრების თავკაცები მალავენ. თუმცა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, მათ შორის ვროცლავში ქართველ ფალავანთა არასახარბიელო ჭიდაობას. მიზეზ-საბაბისა კი ყველაზე უკეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეჟან დარჩიას მოეხსენება, ჰოდა, მას მოვუსმინოთ.**

— ვროცლავში 8 მოჭიდავე წავიყვანეთ — ყველა წონით კატეგორიაში გვყავდა ფალავანი. თითოეულ მათგანზე დაწვრილებით მოგახსენებთ: ერიკ ხაჩატუროვი (54 კგ) შედარებით გამოუცდელი ბიჭია და მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის გამოჩენის შანსი მივეცით, მაგრამ ვერ გაამართლა. ისიც სათქმელია, რომ ხაჩატუროვს ოჯახური პრობლემები ჰქონდა. შეეძლო ერთი შეხვედრის მოგება, მაგრამ გამოუცდელობით დათმო. მეორეც წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

კობა გულიაშვილმა (58) ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ მხოლოდ გივი კარტოზიას ტურნირზე ისპარეზა და მოიგო. ჯერ ტრავმა ჰქონდა, შემდეგ მამა დაეღუპა და, ფაქტობრივად, ერთი წლის უვარჯიშებელი იყო, სატურნირო გამოცდილება აკლდა. თანაც, კობამ წონა დაიკლო, პირველად გამოვიდა 58 კილოში და ძალიან ღელავდა. კობამ მაინც შეძლო წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების — თურქი და ფრანგი მოჭიდავეების დამარცხება, მერე ლიტველ იანსონს სძლია. მეოთხე წრეში მოულოდნელად რუსეთის გუნდის წევრ სიმონიანთან წააგო, ბოლოს კი ბულგარელ ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონ ნაზარიანთან დამარცხდა და მერვე ადგილს დასჯერდა.

აკაკი ჩაჩუამ (63) ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიგო, მისი დიდი იმედი გვქონდა. აკაკიმ კარგად დაიწყო და ორი შეხვედრაც მოიგო. მესამე წრეში ოლიმპიურ ჩემპიონს ზავადსკის შეხვდა. ეს ის ზავადსკია, ატლანტაში კობა გულიაშვილთან მსაჯებმა რომ მოაგებინეს — 3-ქულიანი ილეთი ერთ ქულად შეუფასეს კობას. პოლონელს აკაკი 3:0-ს უგებდა, მაგრამ ზავადსკიმ გააყაიმა ანგარიში. დამატებით დროში ჩვენმა ფალავანმა ილეთი წამოიწყო, პოლონელმა კი აშკარად ფეხით შეაჩერა, მაგრამ მსაჯებმა თვალი დახუჭეს. ატლანტისგან განსხვავებით, ამჯერად გავაპროტესტეთ მარცხიანი შედეგი, მაგრამ ამაოდ — უცვლელი დატოვეს. მოკლედ, მსაჯთა დახმარებით ზავადსკიმ უკვე მეორედ დაგვაკარგვინა მედლის მოპოვების შანსი, ამის შემდეგ ჩაჩუამ ერთი შეხვედრა მოიგო, მერე წააგო და ბრძოლა შეწყვიტა.

გიორგი ჯინჭველაშვილიც (69) ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია. მისიც გვეიმედებოდა, მაგრამ ძლიერი მეტოქენი შეხვდნენ. პირველი ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ მეორე რუს ტრეტიაკოვთან დათმო. გეხსომებათ, ფინეთის ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ ტრესტიაკოვმა მოუგო გიორგის. ჩემპიონატიდან კი ატლანტის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პოლონელმა ვოლნიმ გამოთიშა.

ხვიჩა ბიჩინაშვილსაც (76) მეორე წრეში ოლიმპიური ჩემპიონი, კუბელი ასკუნი არგუნა ბედმა. ხვიჩა 3:0-ს იგებდა, მაგრამ კუბელმა გაყაიმება შეძლო და დამატებით დროში მოუგო. ხვიჩამ ორი ბრძოლის მოგების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ რემის ვერაფერი მოუხერხა და თანაგუნდელებს შეუერთდა.

ვერც ემზარ მახარაძემ (85) იხეირა. მასაც ძლიერი მეტოქეები შეხვდნენ, მაგრამ მსაჯებმაც დაჩაგრეს. მეტის მიღწევაც შეეძლო.

ბაკურ გოგიტიძე (95) პირველსავე შეხვედრაში მძიმედ დაშავდა და ვროცლავშივე მენისკის სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ხარჯები ფილა-მ გაიღო — ჩემპიონატის ყველა მონაწილე დაზღვეული იყო.

მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე კი ახალმოშუშებული ტრავმით წამოვიდა პოლონეთში — ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე მკლავი ამოუვარდა იდაყვის სახსარში. მირიანი ფრთხილად, თითქმის ცალი ხელით ჭიდაობდა. მართალია, ერთხელ გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ დამარცხდა თავისზე ტიტულოვან უკრაინელ კატოკთან და თურქ ფალავანთან. ამით დასრულდა ჩვენი ასპარეზობა მსოფლიოს ჩემპიონატზე. საქართველოს ნაკრებმა 51 გუნდში მე-17 ადგილი დაიკავა.

მოკლედ, პოლონეთში ჩვენს ფალავნებს არ გაუმართლათ. გამოცდილება არ ეყოთ, იყო ტაქტიკური ხარვეზებიც და არც იღბალი გვწყალობდა — ჩვენზე ცუდად კენჭისყრის შედეგებს არც ერთ გუნდზე არ უმოქმედია. ოთხი ოლიმპიური და ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ერგოთ ჩვენს ფალავნებს, თან გადამწყვეტ ორთაბრძოლებში და თანაც იმ მოჭიდავეებს, რომელთაგანაც მედლებს ველოდით. რასაკვირველია, ჩვენ, მწვრთნელებსაც გვქონდა მუშაობის პროცესში ხარვეზები, შეცდომები, მაგრამ დრო მკურნალია და ყველაფერს გამოვასწორებთ. ერთი-ორი წლის მუშაობით დიდ შედეგებს ძნელად თუ მიაღწევ. ამიტომ, თუ სპორტის დეპარტამენტის თავკაცებმა მომავალშიც ისეთი ყურადღება მოგვაქციეს, როგორიც წელს, გაისად უკეთესი შედეგები გვექნება.

ვფიქრობ, ჭიდაობის ქომაგთა ცნობისმოყვარეობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა. მარცხი მარცხად, მაგრამ არც იმის დავიწყება ღირს, რომ წელს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა უფროსთა გუნდს ევროპის ჩემპიონატის ორი მედალი ხვდა წილად. ახალგაზრდებმაც — დათო ბალავინოვმა და თამაზ გოგელიამ მათ მიბაძეს, ლევან კეზევაძემ და გოჩა მინაძემ კი ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს: ამით ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ქართველ სპორტსმენთა წლევანდელ მწირ მონაგარში თავისი წილი დაიდეს.

**ლევან ჯავახიშვილი**


იყიდება
თეთრი, გამჭვირვალე
ორგანული მინა.
3 და 4 მილიმეტრიანი.
ზომები: 90x120სმ და 120x180სმ
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 95-22-56
38-60-88 (საღამოს საათებში)


# ორსახელა კაცის ნიჭი და უიღბლობა

**ეს ბიჭი, ერთი შეხედვით, თბილისურ ბისტროებსა და კაფე-ბარებში გოგონებთან თავმოსაწონებლად მოხეტიალე მოცლილი სტუდენტი გეგონებათ. გარეგნობა და ჩაცმულობაც რომ ხელს უწყობს: ქერა, ცისფერთვალება, მხრებში ფართოდ გაშლილი, ისე, ფასონად შუბლზე მორგებული სათვალით, გახეხილი ჯინსებით და დაკუნთულ ტანზე მოტკეცილი მაისურით. სახელიც შესაფერისი აქვს — შაკო.**

**ორსახელა შაკო-ემზარ ბედინეიშვილი დღემდე ჩემი ნაცნობი ყველა მოჭიდავისგან რაღაცით გამოირჩეოდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ყურებიც კი — მოჭიდავეთა დამღა — სხვებზე ნაკლებად აქვს დამტვრეული. საუბრისას ესეც შევატყვე — ახალგაზრდა სპორტსმენი ცხოვრებაში მარტო ღონისა და კუნთების იმედად არ არის, წიგნიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. არც სიტყვას ეძებს ხოლმე ჯიბეში და ერთ საათზე მეტი რაზე აღარ ვისაუბრეთ, მაგრამ შაკოს ჩამჭრელ თემას ვერაფრით მივაგენი. აბა, ასტროფიზიკის პრობლემებს ხომ არ განვსჯიდი — ამისა შაკოზე მეტი არც მე გამეგება.**

**შაკო იმითაც გამოირჩევა, რომ მეტად ნიჭიერი ფალავანია, რამდენადაც ნიჭიერია, იმდენად უიღბლოა. ახალგაზრდულ ასაკში ევროპულ და მსოფლიოს სარბიელზე არაერთი ჯილდო მოიგო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახა თავისი წილი რუბიკონი — უფროსთა დიდ ჩემპიონატებზე თავი ვერ ისახელა.**



ემზარ ბედინეიშვილს ნადავლის შემატების იმედი აქვს

**— შაკო, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი უშენოდ ჩატარდა. არადა, აგერ ორი წელია, ვისაც ჭიდაობისა რამე გაეგება, შენი დიდი იმედი აქვს. შენ კი ან არ მიდიხარ დიდ შეჯიბრებებზე, ან ხელმოცარული ბრუნდები იქიდან.**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე მძიმე ტრავმის გამო არ წაველი. ახლაც მაწუხებს ეს ტრავმა — ხერხემლის მალა მაქვს დამჯდარი, ანთებითი პროცესიც მქონდა და ფეხის ტკივილს იწვევდა. სამსოფლიოსჩემპიონატოდ ყველაფერი ვიღონე, მაგრამ ვერ მოვასწარი გამოჯანმრთელება. სხვა გზა არ იყო — ჩემს მაგივრად დათო გაგიშვილი წაიყვანეს. დათოს საწყენად არ ვამბობ, მაგრამ შარშან ვახტანგ ბალავაძის ტურნირზეც მოვუგე და წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატზეც.

**— სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატზე იყავი პოლონეთში, მაგრამ არც იქ გაგიმართლა. ესაც ტრავმის ბრალი იყო?**

— ევროპის ჩემპიონატამდე ხომ მთლად დავიტანჯე. ერთ შეკრებაზე თვალების ანთება დამემართა, ბოლო შეკრებაზე კი წელი ამტკივდა. ნახევარი კაცი წაველი პოლონეთში. რაც შევძელი, გავაკეთე — 2 ბრძოლა მოვიგე. წელნატკენმა მეტი ველარ „გავქაჩე" — ზაზა ზოზიროვთან და საიტიევთან წავაგე და ჩემოდანიც ჩავალაგე.

**— ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა გიხილოთ დიდ ჩემპიონად? არადა, კარგად ვიცი, ნაკრების მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ თავის გამოჩენის არაერთი შანსი მოგცა, ყველა იმას გაიძახის — შაკო ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოჭიდავეა და დიდი მომავალი აქვსო. შენ კი, ვითომ არავის არაფერი დაებარებინოს, სულ ხელცარიელი ბრუნდები უცხოეთიდან. ვითომ, მარტო ტრავმების ბრალია ეს ხანგრძლივი წარუმატებლობა?**

— ისე მელაპარაკები, თითქოს ჩემზე მეტად გინდოდეს მედლების მოგება. დიახაც, ქრონიკული ტრავმების ბრალია ყველაფერი. მაგრამ, დედას ვუტირებ, წელს მოვირჩენ და მალე აღვიდგენ ფორმას. ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს. ბევრს, ვიცი, გულში ეცინება — შაკოს მზე ჩაესვენა გაუბრწყინებლადო. შაკო მოკვდება და თავის სათქმელს კიდევ იტყვის. თუ შეგიძლია, დაწერე — მთავარია, თანადგომა და ქომაგობა არ მომაკლდეს, ყველა ჩემს მოიმედეს გულით ვთხოვ — გაჭირვებაში ნუ მიმატოვებენ, ცოტაც მაცადონ და მალე დიდი გამარჯვებებით გავახარებ. წეღან ზაზა თურმანიძე ახსენე. ეს კაცი და ნაკრების სხვა თავკაცები — გია გალდავა, ჩემი მწვრთნელი კობა ლოჩოშვილი, გადაყოლილნი არიან ჩემზე, მათი დიდად მადლიერი ვარ. აი, ამგვარ თანადგომას ვითხოვ, მეტს არაფერს და ნახე თუ მალე სიტყვა საქმედ არ ვაქციო.

**— დათო პოღოსიანი შარშან რომ დაშავდა ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირზე, ჯერ აქეთ გამოსამგზავრებელი ბილეთი არ ჰქონდა აღებული და თბილისში სპორტის მესვეურებმა ხელფასი მოუხსნეს. ამდენი ხნით ტრავმირებულს, შენ როგორ გექცევიან?**

— არა, ტყუილს ვერ ვიტყვი, ქომაგიც ბევრი შემომრჩა და მეელი დანიშნული 200 ლარამდე ფულიც. დიდი მადლობელი ვარ გიორგი მაკასარაშვილისა — რითაც შეუძლია, მეხმარება.

**— მეტოქესთან ჭიდილისას შენს უპირატესობად რას მიიჩნევ?**

— თუ ჩემს ქომაგებს დავუჯერებ, ჩემი კოზირი ტექნიკაა. არც ძალა და ენერგია მაკლია, მაგრამ მაინც ტექნიკის წყალობით ვიმარჯვებ უმთავრესად. ჩემს უპირატესობად ისიც მიმაჩნია, რომ გვარსახელებისა და ტიტულების არასდროს მშინებია, ყველა მეტოქესთან მოსაგებად გავდივარ.

**— დიდ სარბიელზე კონკურენტებად ვინ გეგულება?**

— უპირველესად, ზაზა ზოზიროვი და სომეხი არაიკ გევორქიანი. მეტ-ნაკლებად, საიტიევიც საშიში მეტოქეა, ცოტათი კი არასტაბილურია. ძლიერია კუბელი იუსმან სანჩესიც, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ბიჭმა ფეხი იტკინა და ზოზიროვთან დამარცხდა. როგორც შევიტყვე, სანჩესი სერიოზულად დაშავებულა და სარბიელზე მობრუნება შესაძლოა მეც კი დავასწრო.

**— ექიმები რას გეუბნებიან, როდის დაუბრუნდები სარბიელს?**

— ახლა ვმკურნალობ, ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. ორი ვარიანტია — ოპერაცია ან დამჭირდება, ან არა. ისე, ექიმებმა რომც მითხრან, შენი კარიერა დასრულდაო და ხალიჩაზე გასვლაც ამიკრძალონ, რაღაცას ვიღონებ და მაინც ვიჭიდავებ.

**— ღმერთმა დაგიფაროს! ვახტანგ ბალავაძის საერთაშორისო ტურნირამდე თუ მოასწრებ ფორმის აღდგენას?**

— აი, ჩემი უახლოესი პატარა ოცნებაც ეგ არის, ძალიან მინდა, რომ ბალავაძის ტურნირამდე მოვასწრო გამოჯანმრთელება. ვნახოთ, არც ჩემი მკურნალი ექიმი, არც გუნდისა — ჯუმბერ ბრეგვაძე თავს არ ზოგავენ, რომ ეს საქმე მოესწროს.

**— მოკლედ, ბალავაძის ტურნირიდა გრჩება წელს ნუგეშად.**

— არა, თუ აქ ვიჭიდავე, შემდეგ ყვარლის მოჭიდავეთა კლუბში ვარ მიწვეული და ევროტურნირებზე ვიჭიდავებ. აი, სპორტკლუბ „შევარდენის" ძიუდოისტებმა რომ იასპარეზეს ხორვატ და ფრანგ ძიუდოისტებთან, იმგვარი ტურნირია.

**— გუნდში მეგობრად ვინმეს ხომ არ გამოარჩევდი?**

— არა, გამიჭირდება. ყველა ერთმანეთის ძმები და მეგობრები ვართ, გუნდში ყველა კარგი ბიჭია. ერთიმეორე ძალიან გვიყვარს და გატანითაც გაგვაქვს ერთმანეთი. ესეც ნაკრების ხელმძღვანელების დამსახურებაა — ახალგაზრდები არიან და არ გაუჭირდათ ბიჭებთან საერთო ენის გამონახვა და ჩვენი შეკავშირება.

**ლევან ჯავახიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაბაძე ბეკერისა და სამპრასის კვალდაკვალ

უკვე ორი წელია, ჩვენს ნიჭიერ ყმაწვილ ჩოგბურთელზე, 16 წლის ირაკლი ლაბაძეზე მხოლოდ შორიდან მოგვდის ინფორმაცია. მოგეხსენებათ, მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაში შესვლა მეტად ძნელი საქმეა. ამიტომ გაფაციცებით შევყურებთ სპორტის ამ სახეობის მიმდევარ ახალგაზრდებს და დღენიადაგ ვფიქრობთ, რომელი მათგანი გაიყვანს ჩვენს ჩოგბურთს დიდ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენი ყველაზე დიდი იმედი ირაკლია. ამჟამად



**კლოსტერი. ირაკლი ლაბაძე ევროპის ჩემპიონატში დაკავებული მესამე ადგილისთვის ჯილდოვდება**

იგი თბილისშია და ვისარგებლეთ შემთხვევით, უფრო დაწვრილებით გავიგეთ ბევრი რამ ჩვენი ჩოგბურთელის შესახებ.

ირაკლი ლაბაძემ შარშანდელი სეზონი შესანიშნავად წარმართა, თავის ასაკში ბევრი ძალზე პრესტიჟული ტურნირი მოიგო და ევროპის ჩემპიონიც გახდა. იტალიაში ამ ასაკის მოთამაშეებისთვის ოთხი დიდი ტურნირი იმართება. ირაკლიმ სამ მათგანში — მილანში, ტურინსა და რეჯო-ემილიაში პირველი ადგილები დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ მილანის საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატადაც ითვლება 16 წლამდე ჩოგბურთელთათვის. ლაბაძემ ბადენ-ბადენის ერთობ ძლიერი შემადგენლობის ტურნირიც მოიგო და შარშანდელი სეზონი მსოფლიო კლასიფიკაციით 16 წლამდე მოთამაშეთა შორის I ადგილით დაასრულა.

ასეთი წარმატებული სეზონის შემდეგ ირაკლი ამერიკელებმა მიიწვიეს. იგი ახლა ფლორიდაში, ქალაქ ტამპას საჩოგბურთო აკადემიაში ოსტატდება. მის მზადებას ამერიკელები აფინანსებენ. ეს საჩოგბურთო აკადემია მეტად დიდი საერთაშორისო ავტორიტეტისაა. საკმარისია ითქვას, რომ აქ აღიზარდნენ პიტ სამპრასი და ჯენიფერ კაპრიატი. სწორედ სამპრასის ერთ-ერთი მწვრთნელის, წარმოშობით კოლუმბიელი ალვეროს მეთვალყურეობით იმაღლებს ირაკლი ოსტატობას. ალვერო ჩვენი ცნობილი ჩოგბურთელის, ალექსანდრე მეტრეველის დროს თამაშობდა და თურმე, როგორც ამბობს, მეტრეველს შეხვედრია კიდეც კორტზე. რაც შეეხება პიტ სამპრასს, იგი ახლაც ხშირად ჩადის ტამპაში და სწორედ ალვეროსთან ერთად ვარჯიშობს. ირაკლის არაერთხელ მოუწია სამპრასის გვერდით ვარჯიში. როგორც თავად ხუმრობს, სამპრასი ძალიან უსალმო კაცია და ერთადერთი, ვისაც გულითადად ესალმება, მამაჩემიაო. ირაკლის მამა — გივი ლაბაძე მუდამ ირაკლის გვერდითაა და მისი დამსახურებაცაა ირაკლის ასეთი წარმატება. როგორც ბატონმა გივიმ გვითხრა, წლევანდელ სეზონში ირაკლის კიდევ უფრო დიდი გეგმები ჰქონდა დასახული, კერძოდ, თავისზე უფროს, 18 წლამდე ჩოგბურთელთა მსოფლიო ათეულში შესვლა, მაგრამ... თებერვალში, სამხრეთამერიკული ტურნეს დროს, ირაკლის რაღაც გაურკვეველი ინფექციური დაავადება შეეყარა. ოთხი თვის განმავლობაში ირაკლი შეუძლოდ იყო და ექიმებმაც ვერ დაადგინეს, რა დაავადებასთან ჰქონდათ საქმე. ამ დაკარგულმა ოთხმა თვემ, რა თქმა უნდა, ირაკლის თამაშზეც იქონია გავლენა და დაგეგმილი ათეულის ნაცვლად მან 18 წლამდე ასაკის მოთამაშეთა შორის მსოფლიოს 29-ე ჩოგნად დაამთავრა სეზონი. სხვისთვის ორი წლით უფროსებში ასეთი რეიტინგი წარმატება იქნებოდა, მაგრამ ირაკლი ლაბაძისთვის ეს არაა დამაკმაყოფილებელი შედეგი. პოტენციურად მას გაცილებით მეტი შეუძლია. თუმცა, მიუხედავად ავადმყოფობისა, ირაკლიმ მაინც შეძლო შვეიცარიის ქალაქ კლოსტერში 18 წლამდე ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილის მოპოვება (სხვათა შორის, აქ პირველი ფრანგი არნო დე პასკუალი იყო, რომელმაც ახლახან ამერიკის ღია პირველობა მოიგო ჭაბუკებში, როდესაც ფინალში უიმბლდონის ჭაბუკთა ტურნირის გამარჯვებული სამხრეთაფრიკელი ლესლი უაით-ჰაუსი დაამარცხა).

გივი ლაბაძის თქმით, ავადმყოფობამ მაინც თავისი დაღი დაასვა ირაკლის თამაშს. ამიტომაც ისინი თბილისში დაბრუნდნენ და უფრო შინაურულ გარემოში ცდილობენ სათამაშო კონდიციების აღდგენას. ირაკლის მეტად გადატვირთული დღიური გრაფიკი აქვს. თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება. საყვარელი ჭადრაკისთვისაც ძლივს იცლის — ჩოგბურთთან ერთად ხომ სასკოლო პროგრამასაც უნდა გასწვდეს. ამ ასაკში, ალბათ, ძალიან ძნელია ბევრ რამეზე უარის თქმა, მაგრამ სხვანაირად დღევანდელ სპორტში დიდი წარმატებების მიღწევა წარმოუდგენელია. ირაკლი ახლა მამის მეთვალყურეობით ყოველნაირად ემზადება ფიზიკურად მოსამაგრებლად. ფსიქოლოგიურ წრთობაში მას ფსიქოლოგი დავით ზესაშვილი ეხმარება.

წელს ირაკლი მიწვეული იყო უიმბლდონისა და როლან გაროსის ტურნირებზე ახალგაზრდათა შორის, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ გამოვიდა. ამავე მიზეზით ვერ იასპარეზა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასზე, სადაც მისი დიდი იმედი ჰქონდათ. მომავალ სეზონში მას ამ და ბევრ სხვა დიდ ასპარეზობაზე მოუწევს გამოსვლა. ამისათვის კი მართლაც საფუძვლიანი მომზადებაა საჭირო.

გერმანიაში ირაკლი იქ ვარჯიშობდა, სადაც სახელგანთქმული ბორის ბეკერი აღიზარდა, ფლორიდაში იქ, სადაც ახლანდელი პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი. მისი ნიჭიერება და ხასიათი (როგორც ახლობლები ამბობენ, ირაკლის ავტორიტეტები არ აშინებს) იძლევა იმის იმედს, რომ ამ დიდი ჩოგბურთელების გზას გაჰყვება. თუმცა, რა თქმა უნდა, დიდი ჯაფაც დასჭირდება.

იმედი ვიქონიოთ, რომ მალე საჩოგბურთო ელიტაში კარგა ხნის შესვენების შემდეგ ქართული გვარიც გაიჟღერებს.

**ილია მხეიძე**

DAVIS CUP "NEC"

გუშინ დაიწყო და შაბათ-კვირას გაგრძელდება ვაჟთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის ნახევარფინალური და საკვალიფიკაციო შეხვედრები.

ნახევარფინალში მსოფლიოს ორი უძლიერესი ნაკრები — აშშ და ავსტრალია შეხვდება ერთმანეთს ვაშინგტონში. აშშ-ის ნაკრები შემდეგი შემადგენლობით იასპარეზებს — პიტ სამპრასი, მაიკლ ჩანგი, ჯიმ კურიე და ტოდ მარტინი. ავსტრალიას ეყოლება — ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული პატრიკ რაფტერი, მარკ ფილიპუსისი, ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი.

მეორე ნახევარფინალში შარშანდელ ფინალში დამარცხებული შვედეთი სტოკჰოლმში იტალიას უმასპინძლებს. შვედეთის ნაკრებში იქნებიან: იონას ბიორკმანი, ტომას ენკვისტი, მაგნუს ლარსონი და ნიკლას კულტი. იტალია: რენცო ფურლანი, დავიდე სანგინეტი, ომარ კამპორეზე და დიეგო ნარგიზო.

დევისის თასის პირველ ჯგუფში ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად ერთმანეთს შეხვდებიან:

ზიმბაბვე — ავსტრია
ბრაზილია — ახალი ზელანდია
ინდოეთი — ჩილე
ბელგია — საფრანგეთი
გერმანია — მექსიკა
რუსეთი — რუმინეთი
კანადა — სლოვაკეთი
შვეიცარია — სამხრეთ კორეა

# აზია გაყოჩაღებულა

**ტოკიო. იაპონია. პრინცესას თასი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი.**

ტოკიოს ტურნირმა ჯერ კიდევ დაწყებამდე განიცადა მნიშვნელოვანი დანაკლისი. გრიპის გამო თამაშზე უარი განაცხადა მეექვსედ განთესილმა რუსმა ელენა ლიხოვცევამ. უფრო ადრე ასპარეზობას გამოაკლდნენ ასევე შეუძლოდ მყოფი ამერიკელი მერი ჯო ფერნანდესი და კიდევ ერთი რუსი — ანა კურნიკოვა (ფეხის ტრავმა). მოთამაშეთა გარდა ტურნირის ორგანიზატორებს ამინდმაც არანაკლებ გაუფუჭა ხასიათი. ტაიფუნ „ოლივას" მიერ გამოწვეულმა წვიმამ სამშაბათს ღია კორტებზე გასამართი ყველა შეხვედრა ჩაშალა — მატჩები დარბაზებში გაიმართა. მეხუთედ განთესილმა მსოფლიოს 22-ე ჩოგანმა — იაუკ ბაზუკიმ პირველ წრეში გაჭირვებით დასძლია ნაკლებად ცნობილი ფრანგის სარა პიტკოვსკის წინააღმდეგობა 7:5, 7:6 (7:3). პირველ სეტში ბაზუკი 2:5-სა და 15:40-საც აგებდა, მაგრამ გაჭირვება რომ ნახა, გაქცევაც იკადრა და ბადესთან გამალებული სირბილით მეტოქის დაბნევა და ხშირად გამოჭერაც მოახერხა, ზედიზედ ხუთი გეიმიც მოიგო და მთელი მატჩიც. კიდევ ერთი არასაჩოგბურთო ქვეყნის — ტაილანდის წარმომადგენელმა თამარინე თანასუგარნმა მალეევათა კლანის უმცროსი წევრი მაგდალენა დაამარცხა სამ სეტში 0:6, 6:4, 6:2. პირველ წრეში რამდენიმე განთესილიც გამოვარდა. შვეიცარიელი პატი შნაიდერი (7) ვენესუელელმა მარია-ალეხანდრა ვენტომ დაამარცხა 6:4, 6:0, ხოლო სლოვაკი ჰენრიეტა ნაგიოვა — იაპონელმა ნაოკო სავამაცუმ — 2:6, 6:4, 6:1. ყველაზე დიდი მოულოდნელობის ავტორი კი მასპინძელი შინობუ ასაგოე გახდა. კლასიფიკაციაში მე-3 ასეულში მყოფმა 21 წლის იაპონელმა, ვინც პროფესიონალი ამ თებერვალში გამხდარა, ერთ დროს ფერადი ამერიკის იმედს, ასევე ერთ დროს საუკეთესოთა ათეულში შემავალ ზანგ ჩანდა რუბინს მოუგო 6:4, 6:3.

**პირველი წრე:** მანა ენდო (იაპონია) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 6:4, 7:5; ნატაშა ზვერევა (8 ბელარუსი) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:2; ლი ფანგი (ჩინეთი) — მაგუი სერნა (ესპანეთი) 7:5, 7:5; აი სუგიამა (იაპონია) — ანაბელ ელვუდი (ავსტრალია) 6:3, 6:2.

პირველ წრეში თამაშისგან გათავისუფლებული ოთხი საუკეთესო განთესილი მეორე წრეში ჩაება ტურნირში. შარშანდელმა ჩემპიონმა — ამერიკელმა მონიკა სელეშმა (1) ტაილანდელ თანასუგარნს იოლად, ორ სეტში მოუგო — 6:1, 6:4. არანჩა სანჩესმა (2) თავისტ მთა წინაშე იაპონელი ასაგოე პირწმინდად დაჯაბნა — 6:0, 6:0. კიდევ ერთმა ესპანელმა — კონჩიტა მარტინესმა (3), მიუხედავად იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში ზურგის აუტანელი ტკივილები ჰქონდა, შანსი არ დაუტოვა ტაივანელ ვანგში ტინგს — 6:1, 6:3. ერთადერთი ფავორიტი, რომელმაც ხუთშაბათს საქმე გაიჯანჯლა, ამერიკელი კიმბერლი პო იყო. იგი როლან გაროსის შერეული წყვილების გამარჯვებულ იაპონელ ჰირაკისთან მეორე სეტში 2:5-ს აგებდა, მაგრამ რამდენიმე მატჩ-პოინტს დაუძვრა და თამაშის ბედიც შემოაბრუნა — 3:6, 7:6, 6:3.

**მეორე წრე:** ზვერევა — სუგიამა 6:2, 6:3; ფანგი — ვენტო 7:5, 6:2.

**მეოთხედფინალი:** სელეში — ზვერევა 6:1, 6:0, სავამაცუ — მარტინესი 7:6 (7:4), 6:4; ბაზუკი — პო 7:5, 6:3; სანჩესი — ფანგი 6:3, 7:5.

კვირის განმავლობაში უკვე მეორე ტაიფუნის გამო მატჩები კვლავ დახურულ კორტებზე გაიმართა. თუმცა, ტოკიოში სტიქიასთან ერთად ერთი ჩოგბურთელი — მონიკა სელეშიც ბობოქრობს. მან ჩვეულ სტილში — ოხვრა-კვნესითა და ორხელა უძლიერესი დარტყმებით ბელარუს ზვერევას გადაუარა — 6:1, 6:0. სხვა მეოთხედფინალები შედარებით დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. თუმცა, ყველა ორ ხელში მორჩა. იაპონელთა საუკეთესო ჩოგბურთელმა ნაოკო სავამაცუმ მესამედ განთესილი კონჩიტა მარტინესის წინააღმდეგობა პირველი სეტის ტაი-ბრეიკის მოგებით გატეხა და დონდლო ესპანელს თავისიანთა გასახარად აღარც მეორე ხელში მისცა გასაქანი. სამაგიეროდ, ნახევარფინალში გაარღწია მეორე ესპანელმა — არანჩა სანჩესმა, რომელმაც მილიარდიანი ჩინეთის ერთადერთი რიგიანი ჩოგბურთელი ლი ფანგი დაამარცხა 6:3, 7:5. იგივე ანგარიში, ოღონდ შებრუნებით, აღინიშნა იაუკ ბაზუკისა და კიმბერლი პოს მატჩში. ინდონეზიელმა ამ გამარჯვებით ქალთა საუკეთესო ოცეულში შესასვლელად დიდი ნაბიჯი გადადგა, მეტოქეს კი წარუმატებლობათა სერია მნიშვნელოვნად გაუგრძელა.

**ავთანდილ სვანიძე**

# ოზების დიდი იმედი

1950-დან დაწყებული 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ავსტრალიელი ჩოგბურთელები მსოფლიოს კორტებზე დომინირებდნენ — როი ემერსონი, ფრენკ სედგმენი, როდ ლეივერი, ფრედ სტოლი, ტონი როუჩი, ჯონ ნიუკომბი, კენ როუზვოლი. მერე მწვანე კონტინენტზე ახალი ტალანტები კარგა ხნით დაიკარგნენ. მხოლოდ 1987 წელს მოახერხა პეტ კეშმა უიმბლდონის მოგება, მაგრამ მისი ვარსკვლავი მალევე ჩაქრა. 90-იან წლებში ავსტრალიაში ახალი ნიჭიერი თაობა გამოჩნდა, თუმცა, „ვუდების" ყველაფრის მომგებ წყვილს თუ არ ჩავთვლით, რაც თავმომწონე ოზებისთვის ვერაფერი ნუგეში გახლდათ, სხვებმა — ჯეისონ სტოლტენბერგმა, რიჩარდ ფრომბერგმა, უელი მაზურმა — იმედები ვერ გაამართლეს. 1996-ში ავსტრალიის ღია პირველობაზე სამპრასს სძლია 18 წლის „სკადმა" მარკ ფილიპუსისმა, მაგრამ ისე მოხდა, რომ უდიდეს წარმატებას მან კი არა, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ყველასაგან მივიწყებულმა, „მუდმივად პერსპექტიულმა" პატრიკ რაფტერმა მიაღწია.



რაფტერი თითქოს იმისთვის იყო დაბადებული, რომ საშუალო დონის მოთამაშე ყოფილიყო. 1994-ში მან საუკეთესოთა ოცეულში მოახერხა შეღწევა, მაგრამ წინ ველარ წაიწია, მერე კი გაუთავებელმა ტრავმებმა მის კარიერას თითქოს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. 1997 წელი რაფტერმა კლასიფიკაციის მეშვიდე ათეულში დაიწყო, მერე კი ნელ-ნელა მოუმატა და როლან გაროსზე ნახევარფინალს მიაღწია. მკვდრეთით აღმდგარ ჩოგბურთელს წარსულის დიდმა ჩემპიონებმაც მიაქციეს ყურადღება და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფს ტელეფონით ხან ნიუკომბი შეეხმიანებოდა, ხან ლეივერი თუ როუჩი. ყველანი რჩევებს აძლევდნენ ამა თუ იმ დარტყმის და მოძრაობის თაობაზე, ან ამხნევებდნენ. რაფტერის თამაშიც სწორედ მისი ლეგენდარული მენტორების გამოსვლებს გავს მეტწილად — იგივე მძლავრი მოწოდება, ბადესთან ვირტუოზულობა და მეტოქის უკანა ხაზზე მიჯაჭვის სურვილი. კოლორიტული გარეგნობით გამორჩეული ავსტრალიელი დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე სანახაობრივ ჩოგბურთს თამაშობს და, რაც მთავარია, შედეგიანს. ქვემოთ შემოთავაზებული ინტერვიუს ფრაგმენტები ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვების მერმინდელია.

**— რას გრძნობთ „ოუფენზე" ტრიუმფის შემდეგ?**

— როდესაც თასი მომცეს, გავიფიქრე, ნეტავი კარგად გაერეცხათ, ახლა იმდენჯერ უნდა ვაკოცო-მეთქი. არასოდეს მიფიქრია, რომ დიდი სლემის ერთ ტურნირს მაინც მოვიგებდი, ვოცნებობდი, მაგრამ არ მეგონა. ჯერაც ვერ გამიაზრებია, რომ ორკვირიან ჯოჯოხეთს გამარჯვებული დავუძვერი.

**— როგორ აღნიშნეთ ჩემპიონობა, ეს ხომ თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული შემთხვევაა?**

— ის ღამე ავსტრალიელ გულშემატკივრებთან, მეგობრებთან და ჩოგბურთელებთან ერთად ბარში გავათენე. ჩვენთან როუჩი, ნიუკომბი და ლეივერიც იყვნენ, აგრეთვე მორაგბეები და გოგონები. ტელევიზორში ფინალური მატჩის გამეორებას უჩვენებდნენ. უცნაურია, კრიტიკულ მომენტებში ისევ ვნერვიულობდი. ყველაფერი ამის ხელახლა განცდა ძალზე სასიამოვნო იყო, განსაკუთრებით მატჩ-პოინტის. დილამდე ვერთობოდით.

**— სლემის ტურნირის მოგების შემდეგ თქვენს ცხოვრებაში რაიმე შეიცვლება?**

— სასაცილოა, რომ სულ ორი ტურნირი მაქვს მოგებული და ერთი მათგანი „ოუფენია". ასეთი რამ, ჩვეულებრივ, არ ხდება, მაგრამ წელს ხუთ ფინალში დავმარცხდი და ამდენი წაგება უკვე ყელში მქონდა ამოსული, გამარჯვება, ალბათ, ყველაზე მეტად მსურდა. არა მგონია, ოცნების ასრულებამ რაიმე კარდინალურად შეცვალოს ჩემს ცხოვრებაში, თუმცა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ვნახოთ.

**— რატომ აირჩიეთ ჩოგბურთი?**

— რაგბი რომ ამერჩია, მოედნის შუაგულშივე გადამთელავდნენ, გამძლედ და ამტანად არა ვარ დაბადებული და რაღა დამრჩენოდა — ჩოგბურთი.

**— რა შეიცვალა ამ სეზონში თქვენთვის, როგორ მიაღწიეთ ამგვარ პროგრესს?**

— როცა თებერვალში დევისის თასის გათამაშებაზე პირველი ორი სეტი წავაგე სედრიკ პიოლინთან, ნიუკომბმა შემახურა და კორტზე გაბოროტებული დავბრუნდი. ჩემს თავში ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც მანამდე არასოდეს მქონდა — ბრძოლა შემეძლო და თან ამ დროს თავს კარგად ვგრძნობდი. ასე რომ, ჩემი წარმატებისთვის უპირველეს ყოვლისა პიოლინს უნდა გადავუხადო მადლობა. მერე ავსტრიაში ფინალში რომ დავმარცხდი, მკითხეს, თუ შემეძლო როლან გაროსზე გამარჯვება. ვუპასუხე, არა-მეთქი, მერე კი ნახევარფინალამდე მივაღწიე. მაშინ ვუთხარი საკუთარ თავს, რომ თუ იგივე კითხვას დამისვამდნენ, სხვაგვარად ვუპასუხებდი. მე ხომ 128-დან 1 შანსი მაინც მაქვს, რაც არაზე მეტია.

**— მალე დევისის თასის უმნიშვნელოვანესი მატჩი გელით აშშ-ის ნაკრებთან.**

— დიახ, ახლა უკვე ვაშინგტონში უნდა ვყოფილიყავით და მზადება დაგვეწყო, მაგრამ „ოუფენზე" ჩემმა მოულოდნელმა „დაყოვნებამ" გეგმები აგვირია. ჩემთვის საკუთარ ქვეყანაში გამარჯვებაზე კარგი არაფერია. ...ისე, ამერიკის ღია პირველობის მოგებაც ძალიან კარგი იყო.

# შუმი თავს მოიკლავს

**ფორმულა 1**
**XIV ეტაპი**
**ავსტრიის დიდი პრიზი**

ავსტრიის დიდი პრიზი უკანასკნელად 1987 წელს ჩატარდა 5,852 კმ სიგრძის „ოსტერრეიხრინგის" ტრასაზე. წლეულს კი პირველად გაიმართება 4,33 კმ სიგრძის A-1 რინგზე.

1975 წელს „ოსტერრეიხრინგზე" დაიღუპა „პენსკეს" ამერიკელი პილოტი მარკ დონაჰიუ. 1976 წელს კი ინგლისელმა ჯონ უოტსონმა „პენსკეს" ერთადერთი გამარჯვება მოუტანა ფორმულა 1-ში.

შარშან A-1 რინგზე რამდენიმე პილოტმა ჩაატარა ტესტი. ყველაზე სწრაფი დეიმონ ჰილი გახლდათ 1.14,18. მას ოდნავ ჩამორჩნენ „მაკლარენის" პილოტები ჰაკინენი 1.14,53 და კულჰარდი 1.14,35. „ჯორდან-პეჟოს" ტესტ-პილოტმა ფაბრიციო დე სიმონემ დისტანცია 1.15,25-ში დაფარა. კომპიუტერზე გამოთვლილი 1.16,6-ზე უარესი დრო კი „ზაუბერის" პილოტებმა ჰერბერტმა (1.17,5) და ვურცმა 1.20,2 აჩვენეს. პილოტები კმაყოფილი დარჩნენ ახალი ტრასით და ჰილმა მისი ინფრასტრუქტურა ერთობ მოიწონა.

პილოტები თანაბარ პირობებში ირბოლებენ, რადგან ტრასა მათთვის ჯერ კიდევ უცნობია, ასე რომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ოსტატობას ექნება. მოწინავეთა შორის კვლავ „უილიამსის", „ფერარის", „მაკლარენისა" და „ბენეტონის" წევრები უნდა იყვნენ.

თუ შუმი და ვილნევი ჩემპიონატში პირველობისთვის იბრძვიან და მათთვის ყოველ წარმატებას ოქროს ფასი აქვს, ბენეტონელი ბერგერისთვის სამშობლოში ასპარეზობა და გამარჯვება სანუკვარი ოცნება გახლავთ და ეს დამატებით სტიმულს აძლევს ფორმულა 1-ის უხუცეს პილოტს.

ვილნევმა და „უილიამსმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ შუმახერის უპირატესობა შეამცირონ და ჩემპიონატში გამარჯვების შანსი შეინარჩუნონ. „ფერარის" გერმანელი პილოტი კი თავს მოიკლავს და კანადელის ჯობნას ეცდება, რათა ქულათა მარაგი გაზარდოს. ასე რომ, რბოლას დანატრებულ ავსტრიელ მაყურებელს საინტერესო სანახაობა ელის.




**21 სექტემბერი.**
**ოსტერრეიხრინგი — A1**

ტრასის სიგრძე 4.330 კმ.
დისტანცია 70 წრე — 301.00 კმ.
1987 წლის გამარჯვებული
ნაიჯელ მენსელი („უილიამსი)

**ალეკო ბაგუძიანი**

## დეიმონ ჰილი ჯორდანისაა

ინგლისელი დეიმონ ჰილის საქმეები უკან-უკან მაშინ წავიდა, თავისი ოცნება რომ აისრულა და ფორმულა 1-ის ჩემპიონი გახდა. ჯერ იყო და, ფრენკ უილიამსმა კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა, მერე კი თავად გააკეთა გაუგებარი არჩევანი და ერთ-ერთ უსუსტეს გუნდში — „ეროუზში" გადავიდა. მთელი წლის განმავლობაში დეიმონი თავისი ურჩი მანქანის მოთვინიერებას ცდილობდა, მაგრამ ტექნიკური გაუმართაობის გამო რბოლის დასრულებას იშვიათად ახერხებდა. ამავე დროს მსოფლიოს ჩემპიონი დაეუბრა გუნდის თავკაც ტომ ვილკინშოუს, რომელმაც ჰილს ჩემპიონისთვის უკადრის რბოლაში დასდო ბრალი. ინგლისელმა თავისი მაღალი კლასი ბოლოს და ბოლოს უნგრეთის დიდ პრიზზე დაამტკიცა, სადაც პირველი ადგილი მხოლოდ მანქანის უხეირობამ დააკარგვინა. ამის მერე ჰილს აღარც დაუმალავს, რომ საგაისოდ სხვა გუნდში სურდა გადასვლა. გასულ თვეში მან „მაკლარენის" მიწვევაზე განაცხადა უარი, თუმცა იმავე დროს „ჯორდანსა" და „პროსტთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას. ოთხშაბათს ფრანგულმა გუნდმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ამავე დღეს მსოფლიოს ჩემპიონი უკვე თავად „ეროუზმაც" გამოაპანღურა ზრდილობიანად. „ჩვენ მადლობელი ვართ ყველაფრისთვის, რაც ჰილმა ჩვენთვის გააკეთა წლეულს. მსოფლიოს ჩემპიონის გუნდში ყოლამ ფასდაუდებელი გამოცდილება შეგვძინა. დეიმონს კი სამომავლოდ მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ" — განაცხადა ტომ ვილკინშოუმ. „ეროუზმა" ჰილის ნაცვლად „ტირელიდან" გადმოიბირა 30 წლის ფინელი მიკა სალო, რომელიც გაისად გუნდის ძველ პილოტს, ბრაზილიელ პედრო დინიცს გაუწევს პარტნიორობას.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ დეიმონ ჰილმა „ჯორდანთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## ფორმულა ეკრანზე

ავტოსპორტის მოყვარულმა სილვესტერ სტალონემ 7 სექტემბერს ხელი მოაწერა კონტრაქტს ფორმულა 1-ის მმართველ ბერნი ეკლსტოუნთან, რომლის თანხმადაც იგი გადაიღებს ფილმს აირტონ სენას შესახებ. ფილმზე ევროპაში იმუშავებენ, მასში რეალური პილოტები მიიღებენ მონაწილეობას, ამასთან, შერონ სტოუნმაც განაცხადა, ამ ფილმში მეც სიამოვნებით ვითამაშებდიო.

ცნობილი „დიდი პრიზის" შემდეგ ეს იქნება პირველი ფილმი, რომელიც ფორმულა 1-ს მიეძღვნება.

## რონალდო ფერარიში

ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდო სისწრაფის მოყვარული მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე არ ყოფილა. გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ამ დღეებში ფორმულა 1-ის ორგზის ჩემპიონის, გერმანელი შუმახერის მიწვევით „ფერარის" შტაბ-ბინას ეწვია მარანელოში. „ინტერის" 20 წლის თავდამსხმელმა ორი სხვადასხვა მარკის სპორტული „ფერარი" გამოსცადა და ფირმის ტრეკზე გვარიანადაც ირბოლა.

## BMW ბრუნდება

2000 წლიდან „უილიამსის" ბოლიდებზე BMW-ს ძრავები დამონტაჟდება. ბავარიული ფირმა იმედოვნებს, რომ ორი წლის განმავლობაში შეძლებს კონკურენტუნარიანი მოტორის შექმნას. ახალი ძრავი მიუნხენში შეიქმნება პოლ როშეს ხელმძღვანელობით. ეს ინჟინერი 80-იან წლებშიც თაოსნობდა BMW-ს ფორმულა 1-ის პროგრამას. ამ პერიოდში გერმანული ძრავები ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე და 1983 წელს ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ „ბრებჰემ BMW"-თი ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ამ ძრავებით 1982-87 წლებში 9 გამარჯვებაა მოპოვებული.

ბავარიელთა ეს გადაწყვეტილება აიძულებს სხვა გერმანულ საავტომობილო ფირმებს, მიბაძონ მას და როგორც ამბობენ, უახლოეს მომავალში „აუდიც" აპირებს სპორტული პროგრამის გაფართოებას.

**ვკურნავ**

**მხოლოდ საკვები პროდუქტებით:**

სტომატიტს, ანგინას და ღრძილების ანთებას

☎ 37-06-53
თამრიკო



# ჩეხი დიდ ფულს ეთამაშება

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირაღა დარჩა, თავის კლუბებთან მოდავე ბევრი ვარსკვლავის ბედიღბალი ჯერ არ გადაწყვეტილა. გასულ დღეებში მხოლოდ ერთმა მათგანმა, ვინსენ დამფუსმა გააფორმა კონტრაქტი მონრეალთან. მას წელიწადში 2 მილიონ ამერიკულ დოლარს გადაუხდიან.

პრესაში გაიელვა ცნობამ იმის თაობაზე, თითქოს პიტსბურგმა და მისმა წამყვანმა ფორვარდმა იაგრმაც მიაღწიეს შეთანხმებას. თუ ეს მართლაც მოხდა, ჩეხი კიდევ 7 წლით დარჩება კლუბში და ამ ხნის განმავლობაში სარეკორდო 49 მილიონს მიიღებს. თუმცა, ეს მხოლოდ ხმებია და ჩვენც ოფიციალურ ცნობას დაველოდოთ.

სრულიად მოსალოდნელია, რომ სეზონს ბუფალოც თავისი ლიდერების გარეშე დაიწყებს. ვერა და ვერ მორიგდნენ მომავალ კონტრაქტზე მცველი ალექსეი ჟიტნიკი და 23 წლის თავდამსხმელი მაიკ პეკა, რომელმაც შარშან დაცვაში ყველაზე მარჯვე თავდამსხმელისთვის განკუთვნილი „სელკეს ტროფი" ირგუნა. პირველმა 2 მილიონი მოითხოვა და არაფრით იხევს უკან, კლუბი კი მას 400 ათასით ნაკლებს ჰპირდება. რაც შეეხება ბუფალოს ლიდერ პეტ ლაფონტენს, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ ჰოკეიში დაბრუნებას აპირებს, აქ უკვე საქმეში კლუბის ხელმძღვანელობა ჩაერია, რადგან ლაფონტენის მზადყოფნა არა კლუბის ექიმებმა, არამედ მოთამაშის პერსონალურმა ექიმებმა დაადასტურეს. ჰოდა, „სეიბრზის" მეპატრონეებიც ახალ გამოკვლევას ითხოვენ.

ამასობაში კი დაიწყო ლიგის „საგამოფენო" მატჩები, რომლებშიც ნჰლ-ის კლუბები, უპირველეს ყოვლისა, დებიუტანტებს ამოწმებენ. ახალწვეულებმაც პირველსავე მატჩებში გამოიჩინეს თავი: წლევანდელი დრაფტის საუკეთესო ევროპელმა ოლი იოკინენმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა ლოს ანჯელესისა და სან ხოსეს შეხვედრაში, რომელიც „მეფეთა" კლუბმა 4:3 მოიგო. ნამდვილი სენსაცია მოახდინა 18 წლის რუსმა სერგეი სამსონოვმა, რომელმაც დაცვაში ტრადიციულად ძლიერად მოთამაშე ფლორიდას ერთი შაიბა გაუტანა და ამას ორი პასიც მიაყოლა, ხოლო მასთან შეამხანაგებულმა ხრისტიჩმა 2 (1+1) ქულა დააგროვა. ეს მატჩი ბოსტონმა 4:2 მოიგო.

შარშანდელი დრაფტის პირველი ნომრის, 19 წლის ოტაველი კრის ფილიპსის (1+1) ძალისხმევით ოტავა ბუფალოსთან მატჩში 3:0 დაწინაურდა, მაგრამ უფრო გამოცდილმა მეტოქემ შემდგომ გაათანაბრა ანგარიში.

კარგი დებიუტი ჰქონდა ნორვეგიელ ესპენ კნუტსენს, რომელიც ანაჰაიმის თავკაცებმა სელიანესთან დააყენეს. ახალბედამ საგოლე პასიც კი გაუხერხა თავის ცნობილ პარტნიორს, მაგრამ დანარჩენმა „იხვებმა" მათ მხარი ვერ აუბეს და ედმონტონთან დამარცხდნენ — 1:7.

თავისი პირველივე მატჩი გოლით აღნიშნა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ახლა უკვე ტორონტოელმა მარტინ პროჰაზკამ. მისი ახალი კლუბისა და მონრეალის [illegible] 5:5 დასრულდა.

მონრეალის ორი გოლი მეორე დებიუტანტმა, „რეინჯერმა" მარკ სავარმაც გაუტანა, თუმცა, მისი გუნდი 2:4 დამარცხდა. ამის შემდეგ კანადელებმა 2:1 მოუგეს ტორონტოს და ჯერჯერობით ყველაზე უკეთ გამოიყურებიან. კლუბს უმალ დაეტყო ახალი მწვრთნელის — ალენ ვინიოს ხელი: მან მონრეალი ორგანიზებულ და მოწესრიგებულ გუნდად აქცია.

სრულიად უცვალა სახე პიტსბურგს ახალმა მწვრთნელმა კევინ კონსტანტინმა. ახლა გუნდი დაცვაში ფხიზელ თამაშს ამჯობინებს და თუ ფილადელფიასთან 1:3 წააგო, დეტროიტთან 2:0 გაიმარჯვა.

კაროლინამ ადგილსამყოფლის შეცვლა აილენდერზთან მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებითა (4:1) და მეტოქეებთან წაკინკლავებით აღნიშნა. ყველაზე მეტად ანაჰაიმიდან გადასულმა სტივ გრიმსონმა იაქტიურა: მან 41 (!) საჯარიმო წუთი დააგროვა.

და ბოლოს, გაუწყებთ, რომ 16 სექტემბერს ვანკუვერის რიგებში პირველად ითამაშა სახელოვანმა მარკ მესიემ, მასთან ერთად კი სასტარტო სამეულში პაველ ბურეც გამოვიდა. ისეთი პირი უჩანს, ბურესა და კლუბს შორის კონფლიქტი მალე დასრულდება.

სხვა მატჩები: კალგარი — ფინიქსი 6:7, ნიუ ჯერზი — ვაშინგტონი 4:1, ჩიკაგო — დალასი 2:5, რეინჯერზი — ტორონტო 3:2, კოლორადო — ლოს ანჯელესი 1:3, ტამპა — დალასი 5:5.

**სამველ ლარიბიანი**

## ამერიკამ ევროპა გამოიწვია

მოგეხსენებათ, ნჰლ-ის რეგულარული ჩემპიონატის შუახანში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ვარსკვლავთა მატჩი იმართება. ბოლო დროს რჩეულთა შეჯიბრებამ სახე იცვალა. იგი კარგავს მებრძოლ სულს და გასართობ სანახაობას ემსგავსება, რაც მაყურებლის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ამიტომ წელს ლიგის მესვეურებმა სიახლე შემოგვთავაზეს: ამჯერად ჩრდილო ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს გუნდები დაუპირისპირეს ერთმანეთს. ეს შეხვედრა 18 იანვარს ვანკუვერში ჩატარდება და ბრწყინვალე რეპეტიცია იქნება ლიგის ელიტისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, უკვე დასახელდა ორივე გუნდის კანდიდატები. ნაკრებთა სასტარტო ხუთეულების ამორჩევა კი ქომაგთა საქმეა: ყველაფერს მათი ხმების უმრავლესობა გადაწყვეტს. ორივე ნაკრებში 10 ქვეყნის — აშშ-ის, კანადის (ჩრდილო ამერიკის გუნდი), რუსეთის, ჩეხეთის, შვედეთის, ფინეთის, სლოვაკეთის, გერმანიის, ლატვიის, უკრაინის — წარმომადგენელია.

საინტერესოა, რომ დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებში ყველაზე მეტი — 20 მოთამაშე რუსია, 8-8 — ჩეხი და შვედი. რაც შეეხება ლიგის გუნდებს, ყველაზე მეტი წარმომადგენელი დეტროიტს, კოლორადოსა და ფინიქსს ჰყავთ — 7-7.

### ჩრდილო ამერიკა

**მეკარეები:** მარტინ ბროდო (ნიუ ჯერზი, აშშ), შონ ბურკი (კაროლინა, კანადა), გი ებერი (ანაჰაიმი, აშშ), მაიკ რიხტერი (რეინჯერზი, აშშ), პატრიკ რუა (კოლორადო, კანადა), ჯონ განზისბრუკი (ფლორიდა, აშშ).

**მცველები:** ბრაიან ბერარი (აილენდერზი, აშშ), რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი, კანადა), რეი ბურკი (ბოსტონი, კანადა), კრის ჩელიოსი (ჩიკაგო, აშშ), პოლ კოფი (ფილადელფია, კანადა), ერიკ დეჟარდენი (ფილადელფია, კანადა), დერიან ჰეჩერი (დალასი, აშშ), კევინ ჰეჩერი (პიტსბურგი, აშშ), ბრაიან ლიჩი (რეინჯერზი, აშშ), ელ შაკინისი (სენტ ლუისი, კანადა), სკოტ ნიდერმაიერი (ნიუჯერზი, კანადა), მეტიუ შნაიდერი (ტორონტო, აშშ), სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერზი, კანადა), გერი სუტერი (ჩიკაგო, აშშ), დერილ საიდორი (დალასი, კანადა).

**ცენტრალური თავდამსხმელები:** ვინსენ დამფუსი (მონრეალი, კანადა), დუგ გილმორი (ნიუ ჯერზი, კანადა), უეინ გრეცკი (რეინჯერზი, კანადა), ტრევორ ლინდენი (ვანკუვერი, კანადა), ერიკ ლინდროსი (ფილადელფია, კანადა), მარკ მესიე (ვანკუვერი, კანადა), მაიკ მოდანო (დალასი, აშშ), ადამ ოუთსი (ვაშინგტონი, კანადა), ჯერემი რენიკი (ფინიქსი, აშშ), ჯო საკიკი (კოლორადო, კანადა), დუგ უეტი (დეტროიტი, აშშ), სტივ აიზერმანი (დეტროიტი, კანადა).

**გარემარბები:** ტონი ამონტე (ჩიკაგო, აშშ), დინო სისარელი (ტამპა, კანადა), ადამ დიდმარში (კოლორადო, აშშ), ტეორენ ფლერი (კალგარი, კანადა), მაიკ გარტნერი (ფინიქსი, კანადა), ბილ გერენი (ნიუ ჯერზი, აშშ), ბრეტ ჰალი (სენტ ლუისი, აშშ), პოლ კარია (ანაჰაიმი, კანადა), ჯონ ლეკლერი (ფილადელფია, აშშ), სკოტ მელანბი (ფლორიდა, კანადა), ოუენ ნოლანი (სან ხოსე, კანადა), მარკ რექი (მონრეალი, კანადა), ჯეფ სანდერსონი (კაროლინა, კანადა), ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი, კანადა), რეი შეპარდი (ფლორიდა, კანადა), კეიტ ტკაჩუკი (ფინიქსი, აშშ), რიკ ტოკეტი (ფინიქსი, კანადა), პეტ ვერბიკი (დალასი, კანადა).

### ევროპა

**მეკარეები:** დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო, ჩეხეთი), არტურ ირბე (დალასი, ლატვია), ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი, გერმანია), ტომი სალო (აილენდერზი, შვედეთი), ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი), მიხაილ შტალენკოვი (ანაჰაიმი, ორივე — რუსეთი).

**მცველები:** ვიაჩესლავ ფეტისოვი (დეტროიტი), სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი), დარიუს კასპარაიტისი (პიტსბურგი), დმიტრი მირონოვი (ანაჰაიმი), ოლეგ ტვერდოვსკი (ფინიქსი), ალექსეი ჟიტნიკი (ბუფალო, ყველა — რუსეთი), იურკი ლუმე (ვანკუვერი), იანე ნიინიმა (ფილადელფია), ტუპო ნუმინენი (ფინიქსი, ყველა — ფინეთი), რომან ჰამრლიკი (ტამპა, ჩეხეთი), უვე კრუპი (კოლორადო, გერმანია), ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი), ულფ სამუელსონი (რეინჯერზი, ორივე — შვედეთი), რობერტ შვეჰლა (ფლორიდა, სლოვაკეთი), სანდის ოზოლინში (კოლორადო, ლატვია).

**ცენტრალური თავდამსხმელები:** სერგეი ფიოდოროვი, იგორ ლარიონოვი (ორივე — დეტროიტი), ალექსეი იაშინი (ოტავა), ალექსეი ჟამნოვი (ჩიკაგო, ყველა — რუსეთი), პეტერ ფორსბერგი (კოლორადო), მატს სუნდინი (ტორონტო, ორივე — შვედეთი), ბობი ჰოლიკი (ნიუ ჯერზი), პეტრ ნედვედი (პიტსბურგი), მიხაელ პივონკა (ვაშინგტონი), რობერტ რაიხელი (აილენდერზი, ყველა — ჩეხეთი), საკუ კოივუ (მონრეალი, ფინეთი), იოჟეფ შტუმპელი (ლოს ანჯელესი, სლოვაკეთი).

**გარემარბები:** დანიელ ალფრედსონი (ოტავა), მიკაელ რენბერგი (ტამპა), ნიკლას სუნდსტრიომი (რეინჯერზი, ყველა — შვედეთი), პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი), ზიგმუნდ პალფი (აილენდერზი, ორივე სლოვაკეთი), იარომირ იაგრი (პიტსბურგი), მარტინ რუჩინსკი (მონრეალი, ორივე — ჩეხეთი), ვალერი კამენსკი (კოლორადო), ანდრეი კოვალენკო (ედმონტონი), ალექსეი კოვალიოვი (რეინჯერზი), ვიქტორ კოზლოვი (სან ხოსე), ვიაჩესლავ კოზლოვი (დეტროიტი), ალექსანდრ მოგილნი (ვანკუვერი), გერმან ტიტოვი (კალგარი), პაველ ბურე (ვანკუვერი, ყველა — რუსეთი), დმიტრი ხრისტიჩი (ბოსტონი, უკრაინა), იერე ლეჰტინენი (დალასი), ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი, ორივე — ფინეთი).

16 სექტემბერს დაიწყო ევროლიგის მეორე გათამაშება. წელს შეჯიბრებაში 24 გუნდი ჩაება და დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი: მეოთხედფინალის საგზურები ექვსივე ჯგუფის გამარჯვებულებთან ერთად მეორე ადგილზე გასულმა ორმა საუკეთესო გუნდმა უნდა გაინაწილოს. ევროლიგის გათამაშების ისტორიაში პირველად ამოქმედდება ეგრეთ წოდებული „წითელი ხაზის" წესი, შესაბამისად, არც ერთი მატჩი არ დამთავრდება ფრედ. თუ ძირითადმა დრომ და ოვერტაიმმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული, დაინიშნება საჯარიმო დარტყმები — ბულიტები. „სუფთად" მოგებისთვის გუნდი 3 ქულას მიითვლის, ოვერტაიმში გამარჯვებისთვის — 2 ქულას, წაგება კი 1 ქულის ტოლფასი იქნება.

## ევროლიგამ წითელი ხაზი გაავლო

თავდაპირველად A, E და F ჯგუფების გუნდებმა იასპარეზეს. საყურადღებო შვედეთის „ფერიესტადისა" და ფინეთის „იოკერიტის" მატჩი იყო. ევროთასის ორგზის მფლობელმა და თავისი ქვეყნის ჩემპიონმა „იოკერიტმა" ვერაფერი მოუხერხა მასპინძელთა ორგანიზებულ დაცვას და დამარცხდა — 0:3. პირველი ორი შაიბა ფინელებს „ფერიესტადის" ლეგიონერებმა — ჩეხმა შპაჩეკმა და რუსმა ფოკინმა გაუტანეს. ჯგუფის მეორე შეხვედრაც სენსაციურად დამთავრდა: გერმანიის „კასელმა" 5:0 გაანადგურა ჩეხეთის „ვიტკოვიცე".

საერთოდ, ჩეხებმა ძალზე სუსტად დაიწყეს ტურნირი. F ჯგუფის ფავორიტების — პრაღის „სპარტისა" და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრაში უპირატესობა აშკარად რუსების მხარეს იყო — 4:0. ორი შაიბა კარცევმა შეაგდო, ხოლო ევროპიდან დაბრუნებულმა ლეონოვმა 3 პასი გაახერხა. ამ გამარჯვებით მოსკოვურმა კლუბმა, ფაქტობრივად, საქმე მოითავა, რადგან რუსთა სხვა მეტოქეები — იტალიის „ბოლცანო" და ინგლისის „მანჩესტერი" აშკარად სუსტები არიან. ამათ ორთაბრძოლაში კი იტალიელებმა ოვერტაიმში იმარჯვეს — 6:5. „ბოლცანოს" თავდამსხმელმა პავლუმ ჰეთ-თრიქიც გაახერხა, მისმა პარტნიორმა, ცსკა-ს ყოფილმა მოთამაშემ იგორ მასლენიკოვმა კი 5 (2+3) ქულა მიითვალა და კანადელ ბილ მაკდუგალთან ერთად ბომბარდირთა სიაში დაწინაურდა. მაკდუგალის გუნდმა, შვეიცარიის „ცუგმა" იოლად სძლია საფრანგეთის „ამიენს" — 8:1.

კიდევ ერთი ჩეხურ-რუსული დუელი რუსებმა მოიგეს. ჩეხეთის ჩემპიონ „ვეტინთან" გამარჯვება ტოლიატის „ლადას" ოვერტაიმში სერგეი გონჩარის შორეულმა დარტყმამ მოუტანა — 4:3.



# დაბრუნდი, ჯონა?

ზელანდიის „ოლ ბლექსის“ დამრტყმელი ძალა — 22 წლის გარემარბი ჯონა ლომუ საბოლოოდ მოკეთდა. მთაკაცი გასინჯა ნაკრების ექიმმა ჯონ მეიჰიუმ და ოთხშაბათს ოფიციალურად დაასკვნა, რომ დიდი მორაგბე გამოჯანმრთელებულა — თირკმლები მორჩენია. ამის გამგონე ქაუნთიზ-მანუკაუმ სათანადოდ უვარჯიშებელი ლომუ დაზოგა და ოთაგოსთან ხვალ გასამართი მატჩისთვის სამარქაფო სკამზე დაისვა.

„ოლ ბლექსი“ ულომუოდაც რომ უძლეველია, ივლის-აგვისტოში დამტკიცდა. აი, მანუკაუს კი მისი შემატება ალბათ ერთობ მოუხდება. ამ პროვინციამ, უწინ სამხრეთ ოქლენდად რომ მოიხსენიებოდა, შაბათს მე-18-ედ ცადა ზელანდიური სინის — რანფერლის ფარის დაუფლება, მაგრამ კვლავ ხელი მოეცარა, თუმც კი ბოზოლა ოქლენდს სტუმრად — „იდენ პარკზე“ მე-12 წუთზე 12:0 უგებდა.

მერე და მერე ბოლო ოთხი წლის ჩემპიონმა აიშვა. კრიტიკოსები ჩააჩუმა ბებერმა 8 ნომერმა ზინზან ბრუქმა: ერთი ლელო გააჩალიჩა, მეორე — პირადად გაიტანა. ამით ოქლენდი 17:12 დაწინაურდა და მეტი სხვაობითაც მოიგებდა, კარლოს სპენსერს 5 დარტყმა რომ არ გაცუდებოდა.

წვიმაში 9 დარტყმით ოდენ ორი გოლი შეაგდო ქენთებრის 10 ნომერმა ენდი მერთენსმაც, მაგრამ ლიდერთა გარემარბმა აფატო სოოალომ ორი ლელოც გაიტანა და ახლა 8-ით I ჯგუფის უპირველესი მელელოვეა. მეორეა თარანაქელი მარკ რობინსონი, ვინაც საუსლენდის რბევისას ერთბაშად 5 !) გაიტანა.

ოთაგოს სტუმრად, ველინგთონში გაამარჯვებინა „ოქროს ბიჭმა“ ჯეფ ვილსონმა, ვინაც ერთი ლელო თავად გაიტანა, ორიც ფიჩელ მანასა ბარის გაუხერხა და კიდევ თავისი გუნდი სასწაული ბოჭვით ორ ნაღდ ლელოს გადაარჩინა.

ლუკა ჯორჯიაშვილი

### ახალი ზელანდიის პირველობა

V ტური. 12-14. 09: ჩრდ. ნავსაყუდელი (ოქლენდი) 3 (0) — ქენთებრი (ქრაისთჩერჩი) 20 (3) (3ლ); რანფერლის ფარზე: ოქლენდი 27 (7) (5ლ) — ქაუნთიზ-მანუკაუ (პუკეკოე) 12 (12) (2ლ); თარანაქი (ნიუ-პლიმუთი) 74 (12ლ) — საუსლენდი (ინვერქარგილი) 43 (6ლ); ველინგთონი 27 (5) (4ლ) — ოთაგო (დანიდინი) 32 (18) (4ლ)

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქენთებრი | 5 | 4 | - | 1 | 4 | 186: 72 | 20 |
| ოქლენდი | 4 | 3 | - | 1 | 3 | 98: 79 | 15 |
| ვაიქათო | 4 | 3 | - | 1 | 2 | 113: 62 | 14 |
| ოთაგო | 5 | 3 | - | 2 | 2 | 136:127 | 14 |
| ქაუნთ-მანუკაუ | 5 | 3 | - | 2 | 1 | 113:120 | 13 |
| თარანაქი | 4 | 2 | - | 2 | 2 | 136:146 | 10 |
| საუსლენდი | 4 | 1 | - | 3 | 3 | 117:170 | 7 |
| ველინგთონი | 4 | 1 | - | 3 | 3 | 92:159 | 7 |
| ჩრდ. ნავსაყუდ. | 5 | - | - | 5 | 2 | 82:138 | 2 |

მსურველს შევასწავლით
**კომპიუტერს**
დარეკეთ 23 20 66. იკითხეთ
მარიკო ან ზაზა

### სამხრეთ აფრიკის ქარრის თასი

BANKFIN CURRIE CUP

12-14. 09: ჩრდ. ტრანსვაალი (პრეტორია) 40 (5ლ) — ალმ. კონცხი (პორტ-ელიზაბეთი) 9; ჩრდ. ნარინჯი (ველკომი) 32 (4ლ) — ბოლანდი (ველინგთონი) 75 (11ლ); ნატალი (დურბანი) 29 (17) (4ლ) — მპუმალანგა (ვიტბანკი) 19 (7) (3ლ); სამხრ. დას. კონცხი (ჯორჯი) 20 (13) (2ლ) — ჰაუტენგის ლომები (იოჰანესბურგი) 25 (13) (3ლ); ჰაუტენგის შავარდნები (ბრაკპანი) 3 — ნარინჯი (ბლუმფონტეინი) 38 (6ლ); დას. კონცხი (ქეიფთაუნი) 52 (8ლ) — ჩრდ. დასავლეთი (პოჩეფსტრუმი) 18 (2ლ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | + | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნატალი | 10 | 10 | 0 | 0 | 412:168 | 6 | 46 |
| დას. კონცხი | 10 | 9 | 0 | 1 | 453:220 | 8 | 44 |
| ნარინჯი | 9 | 7 | 0 | 2 | 404:185 | 6 | 34 |
| გრიკვალენდი | 10 | 6 | 1 | 3 | 349:244 | 7 | 33 |
| ბოლანდი | 10 | 5 | 1 | 4 | 385:289 | 10 | 32 |
| ლომები | 9 | 6 | 0 | 3 | 287:278 | 5 | 29 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 9 | 5 | 0 | 4 | 262:232 | 6 | 26 |
| სამხრ. დასავლ. | 10 | 5 | 0 | 5 | 261:287 | 5 | 25 |
| შავარდნები | 9 | 3 | 0 | 6 | 247:296 | 4 | 16 |
| ჩრდ. ნარინჯი | 9 | 3 | 0 | 6 | 263:439 | 2 | 14 |
| საზღვარი | 9 | 2 | 0 | 7 | 203:373 | 4 | 12 |
| ჩრდ. დასავლ. | 9 | 2 | 0 | 8 | 254:326 | 3 | 11 |
| ალმ. კონცხი | 10 | 1 | 0 | 9 | 190:360 | 2 | 6 |
| მპუმალანგა | 9 | 1 | 0 | 8 | 154:327 | 2 | 6 |

# დანიშნეს და აკრიტიკეს



ინგლისის რაგბის ნაკრების მწვრთნელობა ხუმრობა საქმე რომ არაა, სამშაბათს ამ პოსტზე დანიშნული ქლაივ ვუდვორდი უმალ დაასკვნიდა, რადგან რაგბის მამათა ეს გადაწყვეტილება უმალ გააკრიტიკა ექს-მოძღვარმა ჯეფ ქუქმა.

ქუქი „ვარდებს“ 1987-94 წლებში წვრთნიდა და მოთამაშეთა დომხალი გუნდს დააფერა. მისი წინამძღოლობით ინგლისი 1991 წლის მსოფლიო თასის ფინალში გავიდა, სადაც თვიქნემში ავსტრალიის „ვოლაბებთან“ 6:12 დამარცხდა. გარდა ამისა, ხუთი ერის პირველობაც ორჯერ მოიგო.

ქუქმა ინტერვიუ მიცა ინგლისურ ჟურნალ „რაგბი ნიუზს“ და შენიშნა, საზოგადოება ცდება, როცა გონია, რომ ვუდვორდს ფრიადი მორაგბეობა კარგ მწვრთნელად გახდომაში შეეწევა. დიდი მოთამაშეები ბუნებით ხომ თავკერძანი არიან, ამიტომ სიბერეში შეგირდებთან საერთო ენის გამონახვაც უნდა გაუჭირდეთ. გარდა ამისა, ვუდვორდის მოთამაშეობის დროიდან წესები ბარემ ათჯერ შეიცვალა. ამიტომ ძველი გამოცდილება მას ბევრ ვერაფერში არგებსო.

შუამარბი ვუდვორდი მართლაც კარგი მობურთალი იყო. 1979-85 წლებში „ლესთერში“ თამაშობდა. ნაკრებში 1980-84 წლებში 21 კეპი მოუხვეჭია და ინგლისის 1980 წლისეულ „დიდ სლემშიც“ უდევს წილი. გარდა ამისა, ორჯერ ყოფილა „ლომების“ ტურნეზე: 1980 წელს — სამხრეთ აფრიკაში, 1983 წელს კი — ახალ ზელანდიაში. ორივე ტურნე ბრიტთათვის მარცხიანი იყო. პირველ ჯერზე ქლაივმა ორი ტესტი ითამაშა, მეორეზე — ვერც ერთი.

მერე ვუდვორდი ოთხი წელი სიდნეის საკლუბო პირველობაზე თამაშობდა, 1990 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა და მწვრთნელობას მიყო ხელი. მსოფლიო თასის ფინალის წაგების შემდეგ ქუქსაც გადაწვდა და საჯაროდ განაცხადა, ინგლისელებმა ისტორიული შანსი გავუშვით ხელიდან; და საერთოდაც, თუ ათ-კაცა რაგბსა თამაშობ, ავსტრალიას როგორღა მოუგებო!

41 წლის ვუდვორდის კონტრაქტი სამწლიანია. მწვრთნელობის პარალელურად იგი აქამდე კომპიუტერების გაქირავების ბიზნესშიც მონაწილეობდა, მაგრამ ახლა ამ საქმეს და ცნობილ კლუბ „ბასსაც“ რაგბის კავშირის მოთხოვნით თავი მიანება. სამაგიეროდ, წლიური გასამრჯელო 150 ათასი გირვანქა (240 ათასი US$) ექნება.

ვუდვორდი გუნდს ოდენ გაწვრთნის. მას მენეჯერად შეუწყვილეს 48 წლის როჯერ ათლი, ვისი მონაგარიც ინგლისის 23, ხოლო „ლომთა“ 4 კეპია. ეს სპეციალისტი ქუქის ზეობისას ნაკრების მორკინალებთან მუშაობდა, მაგრამ წაგებული ფინალის შემდეგ გადააყენეს.

# მერთურთს აბრალებენ

კვირას, ევროპის თასზე მფლობელმა — საფრანგეთის „ბრივმა“ შინ 32:31 კი ძლია უელსის „პონტიპრიზი“, მაგრამ თამაშის შემდგომ წვეულებაზე სასტიკად გაილახა. ამით გაგულისებულმა ფრანგებმა უმალ პოლიცია იხმეს და სამი უელსელი მოთამაშე დააჭერინეს; ამასთან მოითხოვეს, ინგლისის ისტორიულ ქალაქ ბასში შაბათს გასამართი მატჩიც გადაგვიდეთ, რადგან სამი ძირითადი მოთამაშე მოედანს მიღმა რომ დაგვიშავდა, გამარჯვების შანსი ნაკლები გვექნებაო.

ევროპის თასის მამებმა საქმე ოთხშაბათს გაარჩიეს დუბლინში, მაგრამ განაჩენის გამოტანა საორშაბათოდ გადადეს. სამაგიეროდ „ბრივს“ უბრძანეს, თამაში არ ჩაშალოთ — ეწვიეთ „ბასს“, სადაც 8 300-იან „რიქრიეიშენ გრაუნდზე“ ყველა ბილეთი გაიყიდაო.

„ლეტუზაკის“ ბარში მომხდარის ფრანგული ვერსია წინა „სარბიელში“ გვეწერა. იმის მიხედვით დამნაშავენი უელსელები გამოვიდნენ. აკი „ბრივის“ პრეზიდენტმა პატრიკ სებასტიენმაც ბრძანა, ჩემი ბიჭები ახვრები არ არიან, მაგრამ როცა ყასბების ამქარი თავს დაესხმებათ, თავდაცვა მართებთო.

უელსელები მასპინძელთა ბრალდებებს უარყოფენ. მათი მტკიცებით ეროვნული ნაკრების წევრ სამივე ტრავმირებულ ფრანგს ცხვირ-პირი მოედანზე დაეჟეჟა, თორემ ბარში არაფერი დაშავებია და ჩხუბიც შეზარხოშებულ ბრიველებს წამოუწყიათ.

დუბლინელმა ბობოლებმა გუნდები გარჩევაზე მიიწვიეს და წერილობითი ჩვენებაც ჩამოართვეს. პოლიციამ სამივე დაკავებული უელსელი გაათავისუფლა. ამათ ტაქსი იქირავეს, 600 კილომეტრი გაიარეს და გუნდს პარიზის აეროპორტში დაეწივნენ.

გაფიცხდა საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე და „პონტიპრიზის“ თასიდან მოხსნა, ხოლო ჩხუბისთავთა სამუდამო დისკვალიფიკაცია მოითხოვა. მიუხედავად ამისა, სებასტიენი ლაპასეს მაინც შემოწყრა, ფრანგებს ბრიტები ეს უკვე მერამდენედ გვიბრიყვებენ, ეგ კი ისევ თვალს ხუჭავსო.

ნიკო ვეფხვაძე

### საქართველოს პირველობა

შემოდგომის სტადია — ა-ჯგუფი

II ტური. 18. 09

ქუთაისი. დინამოს სტადიონი

**აია-ჰეი 36:18 აზოტი**

(16:10). მსაჯი (დრო): პაატა ნარიმანაშვილი (88 წუთი)

აია-ჰეი — 4ლ: ხამაშურიძე (3), შერვაშიძე (58), შვანგირაძე (63), სოფრომაძე (79); 2გ და 3ს (6, 26, 31): ჩუბინიძე; ა (75): შერვაშიძე

რუსთავის აზოტი — 2ლ: მინდორაშვილი (36), რეხვიაშვილი (73); გ და 2ს (22, 48): ე. ძაგნიძე

თბილისი. ვაკე

ყოჩები 31 (12) (5ლ: ტყემელაშვილი, ზაზა ლეჟავა, ქელიძე 2, საკანდელიძე; 3გ: კობახიძე) — ასკ 3 (0) (ს: აბუსერიძე). მსაჯი გოჩა აბაშიძე

**გუმარი 16:16 ქორები**

(10:10). მსაჯი (დრო): რამაზ სანებლიძე (41 + 47)

გუმარი — ლ (25): ურჯუკაშვილი; გ და 3ს (11, 52, 83): მოდებაძე

ქორები — ლ (38): ალანია; გ და 3ს (16, 68, 86): კვინიხიძე

| (რჩება 7თ) | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 15 | 14 | 1 | 0 | 409:161 | 49-15 | 29 |
| აზოტი (რ) | 15 | 11 | 1 | 3 | 293:179 | 37-12 | 22 |
| ქორები | 15 | 8 | 1 | 6 | 283:204 | 31-10 | 17 |
| აია-ჰეი (ქ) | 15 | 8 | 0 | 7 | 245:243 | 30-25 | 15 |
| გუმარი | 15 | 5 | 1 | 9 | 260:263 | 29-25 | 9 |
| ასკ | 15 | 3 | 0 | 12 | 157:386 | 19-59 | 6 |

პლეი-ოფში ოთხი მოწინავე გადის

## ქიმია და ქიმიკატები

# სუსანთიკა დეზერტიროა!

20 წლის ლანკელმა ქალმა სუსანთიკა ჯაიასინგჰემ მძლეოსნობის ათენის მსოფლიო პირველობაზე 200 მეტრზე სირბილში თვით დიდი იამაიკელი მერლინ ოთი მოიტოვა უკან, მხოლოდ უკრაინელ ჟანა პინტუსევიჩს ჩამორჩა და ნახევარი საუკუნის შემდეგ შრილანკას მედალი მოუპოვა. მის დარად წინა თავგამოჩენილი ყოფილა მამალი ლანკელი დანქან ვაითი, ვინაც ლონდონის 1948 წლის ოლიმპიადაზე 400 მეტრზე თარჯრბენში მაშინდელი ცეილონის ღირსებას იცავდა და ვერცხლს გამოკრა ხელი.

სუსანთიკა სამშობლოში ფრიად დააფასეს. დედაქალაქ კოლომბოში ჩაფრენილს მანქანით ქალაქი მოატარეს. ხალხი გზად გამოეფინა და ეროვნულ გმირს თაიგულებს ესროდა.

შრილანკას პრეზიდენტმა ქალმა ჩანდრიკა ბანდარანაიკე კუმარატუნგემ მედალოსანი მიიღო და ერთი მილიონი რუპია აჩუქა. ქვეყნის მეთაურს არ ჩამორჩა სამხედრო უწყებაც. მან ქალი წოდებათა მინიჭების ზეიმზე დაპატიჟა, მაგრამ ჯაიასინგჰე ყველას გასაკვირად არ გამოცხადდა.

მიზეზი მალე გაირკვა. შრილანკაში სამხედრო ბეგარა დიაცებსაც ეხებათ. სუსანთიკა ორი წლის წინ ჯარში გაუწვევიათ, მაგრამ გამოპარულა.

მისნაირი ქვეყანაში თურმე მრავლადაა. ხელისუფლებას ქალ დეზერტირთა ამნისტია გამოუცხადებია, მაგრამ 12 ათასიდან ნაწილებს ოდენ მესამედი მიბრუნებია. ეს რომ იცოდნენ, სამხედროებმა ბრძანება გამოცეს, ჩვენი უპირველესი სპორტსმენი ქალი ვალმოხდილიაო, მაგრამ მძლეოსანი არც ამ ანკესს წამოეგებია.

რეზო ნემსაძე



# ლაფში ამოგვსვარაო!

დოპინგი თანამედროვე სპორტის ჭირია. თუ მავან სახეობებში უმისოდ ასპარეზობა ველარც მოიაზრება და ამათი მმართველი გაერთიანებებიც აპრიორი წაგებულ ანტი-სადოპინგო ლაშქრობაში ზრდილობის გულისთვისღა ჩაბმულან, არსებობს სპორტის სფერო, რომელშიც მეწამლეობა სულ ბოლო დრომდე არც გაგონილიყო.

ეს დარგია მოტოსპორტი. იგი თავისთავად იმდენად სარისკოა, რომ გაბანგული მრბოლი თავად ხომ ნაღდად დაიღუპება და არც მეტოქეებს დააყრის ხეირს. ამიტომაა, ამ სპორტის მამებმა ერთობ მძაფრად რომ განიცადეს სადოპინგო სკანდალი, რომლის მთავარი მოქმედი პირი ნორჩი ავსტრალიელი ენთონი გობერთია.

ეს სიდნეელი ბიჭი ახლა 22 წლისაა. თავიდან მოტო-კროსით დაიწყო, მერე სუპერბაიკში ცადა ბედი და სამი წლის წინ ეტაპის უმრწემესი გამარჯვებულიც შეიქნა, წელს კი ენთონი 500 კუბური სანტიმეტრის კლასში გადავიდა და საზოგადოებას თავი იმით გააცნო, რომ გამოლანძღა ვეტერანი თანამემამულე მაიქლ დუენი, ვინაც ახლახანს ზედიზედ მეოთხედ გახდა „500“-ის ჩემპიონი და ლეგენდარული იტალიელი ჯაკომო აგოსტინის რეკორდიც გააუმჯობესა — სეზონში 12 დიდი პრიზი მოიგო.

ლლაპმა გობერთმა ლვაწლმოსილი მრბოლის შესახებ განაცხადა, ერთობ მოსაწყენი ვინმეა და მოზარდთა „როულ-მოდელად“ (წასაბაძ ნიმუშად) ვერ გამოდგებაო. აი, მე კი სულ სხვა ვარო. ახლავე ვჯობივარ მაგ დუენს და თავად ნახავთ, რა დღეს დავაყრიო. ამაზე დუენმა მედიას უთხრა, გობერთი უთუოდ ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ჯერაც გრძელი გზა აქვს გასავლელი იქამდე, სადაც თავი უკვე მისული გონიაო.

გამართლდა ბებერი მიკის სიტყვები. ტრაბახა ენთონიმ სეზონისწინა ვარჯიშზე ლავიწი გაიტეხა და მსოფლიო პირველობის სამი ეტაპი ამად გამოტოვა. თავი დიდად ვერც მერე ისახელა: საუკეთესო შედეგს — VII ადგილს ავსტრიის დიდ პრიზზე მიაღწია, წინა კვირამდე კი „500“-ის ქულათა ცხრილში XIII ადგილზე ბრძანდებოდა. ასე იყო თუ ისე, გობერთს მარცხის ასახსნელად მიზეზი არ ელეოდა და ისევ ეპაექრებოდა დუენს, ოღონდაც ოდენ სიტყვიერად.

ენთონი „სუძუკის“ მრბოლი იყო. სწორედ რომ იყო, რადგან ამ ათიოდე დღის წინ გუნდმა ყინწის კვრით გააგდო. როგორც იაპონელთა განცხადებაშია ნათქვამი, გუნდის, მეტოქეთა და სრულიად მოტოსპორტის ინტერესები გვაიძულებს, ავსტრალიელი დაუყოვნებლივ დავითხოვოთო.

ასეთი რა მოხდაო, შეიცხადებს მკითხველი. რა და სწორედ ყინჩი გობერთი ალმოჩნდა პირველი მოტომრბოლი, ვინაც დოპინგზე ჩავარდა. ბიჭი „სუძუკიმ“ რომ დაითხოვა, იმას ნიშნავს, რომ მას არც სხვა იაპონური ქარხანა აიყვანს, რადგან აზიელები საზოგადოდ წესიერი ხალხია და მეწამლეებთან საქმის დაჭერას თავის გატეხვა ურჩევნიათ. მოკლედ, ავსტრალიელივე მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვეინ გარდნერის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, გობერთის კარიერა დასრულებულა, მოტოსპორტს კი მომავალი დიდი ჩემპიონი დაუკარგავს.

და მაინც, მთელ სკანდალს ერთობ უცნაური სურნელი უდის. საქმე ისაა, რომ ენთონის ჩაუფლავდა არა საერთაშორისო ფედერაცია ფიმ-ის, არამედ მისივე გუნდის მიერ მოწყობილი დოპინგ-ტესტი. „სუძუკის“ მენეჯერი გერი თეილორი ამბობს, მრბოლი ბრიტანეთის დიდ პრიზამდე (17. VIII) ორი კვირით ადრე გავაფრთხილეთ, გაგსინჯავთო და თუ მთლად წყალწაღებული არაა, ჭკუა უნდა ეხმარაო.

გობერთმა ჭკუა მართლაც იხმარა: ავსტრალიიდან ბრიტანეთს მიმავალ თვითმფრინავზე დააგვიანა, გამოუძინებელი ჩაება კვალიფიკაციაში, რბოლას კი V წრეზე შეეშვა, ესაო და ხელი მეკრუნჩხვებაო. თეილორმა აღიარა, ამის მერე კიდევ უფრო დავინტერესდი, ტესტი რა შედეგს გამოიღებდაო.

საეჭვო იყო თვით გობერთის დათხოვნის პროცედურაც. ბიჭი უმცროს ძმა აარონთან (!) ერთად სკუტერით ანცობდა იტალიის მავან აგარაკზე და ფეხი მოიტეხა. ამ დროს გამოცხადდა, „სუძუკიმ“ გობერთი ამხილა და აგდებსო. არადა, გუნდს დღესაც არ გამოუცხადებია, ავსტრალიელის სინჯში რა სახის დოპინგი აღმოაჩინა.

იმის გამო, რომ ტესტი თავად არ ჩაუტარებია, ფიმ-ი ცოტათი დაბნეულია. ეტყობა, აპელაციისა ეშინია, მით უფრო, რომ გობერთის მთელი ოჯახობა ბიჭის მეწამლეობას კატეგორიულად უარყოფს, ესაო და მანამდეც და მერეც გაგისინჯიათ ენთონი და ყოველთვის უმწიკვლო გამოსულაო. გობერთების ვარაუდით, „სუძუკი“ მარიხუანას ვერსიას ჩაეჭიდება, რაც აბსურდად მიაჩნია.

ასეა თუ ისე, გობერთს, როგორც დამწყებ ცთომილს, ორი წლით ელის მოკვეთა. ფიმ-ის წესებით ამგვარად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კი სტიმულატორებს, ნარკოტიკებს, ანაბოლიკებს, დიურეტიკებსა და ჰორმონებს მიეტანება.

თენგიზ არტამონოვი

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29